# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 20 მაისი 1999 №92 (865) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო გზას რომში მიდის

## მალიორკა 1:2 ლაციო

### ლაციომ ქმლეხში მოილხინა

ზურაბ მექვველია

ბირმინგემიდან



ინგლისური წესია — შუალამეს წუთი(ც) რომ გადაცდეს, უკვე, დილა მშვიდობისაო გესალმებიან. ამ სიტყვებით დამხვდა ბირმინგემის ერთ-ერთი სასტუმროს პორტიე თამაშის წინა ღამეს და მშვენიერ ოთახშიც დამაბინავა. ის იყო ადამიანურად მოსვენებას ვაპირებდი, რომ... „კი მაგრამ, ივან დელა პენიას არ უთამაშია თასების თასის ფინალში?“ — ვკითხე ჩემს თავს და მივხვდი, რომ დიდად შევცდი, როცა უეფას პრეს-რელიზიდან დაუფიქრებლად გადავწერე, მიგელ სოლერი ორივე გუნდიდან ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც თასების თასი უკვე მოუპოვებიაო. აქ მანჩინიც გავიხსენე. ერთი სიტყვით, მართალია, თავად უეფამ შეგვაცდინა (რაც ოთხშაბათს დილასვე აღიარეს), მაგრამ ინგლისურივე წესის თანახმად, პირადად ვითხოვ პატიებას. ისე, შეცდომა უეფას შესაბამისმა სამსახურმა ოთხშაბათის მატჩის ოფიციალურ პროგრამაშიც დაუშვა — 1981 წლის თბილისის „დინამოს“ კაპიტანი დავით ყიფიანი იყოო. ჩვენი გუნდის მაშინდელ ლიდერზე, ოღონდ, არა — კაპიტანზე, სხვაც ბევრი ითქვა, მაგრამ ამაზე შემდეგ რეპორტაჟში გეტყვით. ახლა კი ოთხშაბათის ბირმინგემს დავუბრუნდეთ.

იხილეთ მერვე გვერდი

ჩანართი თასების მფლობელთა თასზე იხილეთ მეშვიდე-მეათე გვერდებზე



REUTERS ბირმინგემიდან

წუხელ თასების თასი უკანასკნელად, ისევე როგორც პირველად, 1961 წელს, იტალიურმა კლუბმა მოიგო

# ტორპედო შეივერცხლა!

## ლოკომოტივი ბრინჯაოს დასჯერდა

*მეათე ჩემპიონატის დამთავრებამდე ტურიღაა და კიდევ ერთი, ოცდამეშვიდე ტურიდან სახვალიოდ გადმოტანილი მატჩი. გუშინ ბევრი რამ გაირკვა, მაგრამ არა — ყველაფერი.*

*პატრონი გაუჩნდა ვერცხლ-ბრინჯაოს: უფრო ძვირფასი ლითონი „გორდას“ 4:0 ძლევით ქუთაისის „ტორპედომ“ დაისაკუთრა და „სიონთან“ 3:0 გამარჯვებულ თბილისის „ლოკომოტივს“ ბრინჯაო დარჩა. ეს ამ გუნდებისთვის აქამდე მიუღწეველი სიმაღლე გახლავთ: იმერლები მანამდე ორჯერ იყვნენ მესამენი, რკინიგზელები კი მხოლოდ ორი სეზონია, პირველ ჯგუფში თამაშობენ და პირველად გაპრიზიორდნენ.*

*ჩემპიონი და ორი გავარდნილი წინა ტურშიც ცნობილი იყო, გუშინდელმა კი გადასათამაშებელი მატჩის სამი პოტენციური მონაწილეღა დაგვიტოვა. პლეი ოფებს თავი დააღწია „სამგურალმა“ და ეს „უფლება“ „გორდას“, თსუ-ს და „სიონისგან“ ორ უარესს დაუტოვა.*

*გუშინ ეროვნულ ჩემპიონატებში თავისი მეასე გოლი გაიტანა „გურიას“ ბომბარდირმა დავით მახარაძემ. სულ კი ამ ტურში ერთობ ბევრი, 37 გოლი გავიდა.*



საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“. დგანან: არჩილ ჩხაბერიძე, ზურაბ იონანიძე, ირაკლი მაღლაკელიძე, გიორგი მაზანიშვილი, ვახტანგ ხვადაგიანი. სხედან: დავით ჯანაშია, კახაბერ ჯანაშია, კონსტანტინე მეტრეველი, ზაზა ვაჩიბერაძე, ვახტანგ თურმანიძე (№18), გიორგი მეგრელაძე, ალექსანდრე შეყრილაძე (№6), გიორგი იმედაძე

### საქართველოს ჩემპიონატი — 29 ტური

18 მაისი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 9 |
| ოდიში | 0 |
| იბერია | 4 |
| თსუ | 2 |

19 მაისი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 1 |
| დინამო | 2 |
| ტორპედო | 4 |
| გორდა | 0 |
| ლოკომოტივი | 3 |
| სიონი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| კოლხეთი | 0 |
| გურია | 3 |
| მერანი | 7 |
| სამგურალი | 2 |
| არსენალი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 23 | 5 | 1 | 85:17 | 74 |
| ტორპედო | 29 | 20 | 4 | 5 | 71:26 | 64 |
| ლოკომოტივი | 29 | 17 | 10 | 2 | 39:13 | 61 |
| კოლხეთი | 29 | 14 | 7 | 8 | 54:35 | 49 |
| ბათუმი | 28 | 11 | 11 | 6 | 44:20 | 44 |
| მერანი | 29 | 11 | 9 | 9 | 33:29 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 29 | 13 | 5 | 11 | 39:28 | 41 |
| იბერია | 29 | 11 | 5 | 13 | 44:45 | 38 |
| არსენალი | 29 | 9 | 11 | 9 | 34:43 | 38 |
| დილა | 29 | 10 | 5 | 14 | 37:50 | 35 |
| სამგურალი | 29 | 10 | 3 | 16 | 32:51 | 33 |
| გორდა | 29 | 7 | 10 | 12 | 26:44 | 31 |
| სიონი | 29 | 7 | 7 | 15 | 26:50 | 28 |
| თსუ | 28 | 6 | 9 | 13 | 25:38 | 27 |
| ოდიში | 29 | 6 | 2 | 21 | 20:67 | 20 |
| გურია | 29 | 3 | 3 | 23 | 32:85 | 12 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

# ქართველთა მოგებები არ ილევა

ჩვენი იმედი, იქნებ ქართველმა კალათბურთელებმა ტურნირის მასპინძლები, შვეიცარიელები დაამარცხონ და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის მოგებით შეგულიანდნენო, არ გამართლდა.

გუშინ ეროვნული გუნდი, რომ იტყვიან, გვარიანად შეგვირცხვა — 66:85 წააგო შვეიცარიასთან, რომლის საკალათბურთო ტრადიციებზე (თუ საერთოდ აქვთ ასეთი) ჩვენში ცოტას თუ სმენია.

წუხელვე, ნამატჩევს, ჩვენებურებს სასტუმრო „დეს ალპეზში“ დავუკავშირდით და მთავარ მწვრთნელ ლევან მოსეშვილს კომენტარი ვთხოვეთ:

„შვეიცარიელები ზედმიწევნით კომბინაციურად თამაშობდნენ, დაახლოებით ბალტიისპირელთა მსგავსად. მაგალითისთვის ლატვიას გავიხსენებდი, ამას წინათ რომ გვესტუმრა თბილისში.

გამოჩნდა, რომ ჩვენი გუნდის თავდასხმა შეუთამაშებელია. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა. სწორედ ამ მიზეზით, კალათბურთელები ხშირად ცდებოდნენ და პირველ ნახევარშიც მხოლოდ 29 ქულას დავჯერდით. მეორე ტაიმში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, დაცვაც კარგად ათამაშდა და შეტევებსაც გამიზნულობა დაეტყო, მაგრამ ჩაფლავებული პირველი ტაიმის შემდეგ თამაშში გარდატეხა ველარ შევიტანეთ.

როგორც მოველოდით, მსაჯებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა: მათი სიმპათიები აშკარად მასპინძელთა მხარეს იყო, არაერთხელ უხეშადაც შეცდნენ და, რა თქმა უნდა, ჩვენს საზიანოდ.

ჩვენებიდან ყველაზე შედეგიანი ვახტანგ ნაცვლიშვილი იყო“.

დღეს ქართველი კალათბურთელები ირლანდიელებს შეხვდებიან.

გიორგი ბიქაშვილი

**გუშინდელი შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| დანია | 50:75 | ირლანდია |
| პორტუგალია | 59:71 | ბელგია |
| საქართველო | 66:85 | შვეიცარია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 29 ტური ჩემპიონატი

# მეორედ მოსვლა ტორპედო შეივერცხლა!


გიორგი მეგრელაძეს (№10) თავური დარტყმით გრიგოლ ბედიაშვილის კარში გოლი გააქვს

ქუთაისი
19 მაისი
18 საათი
გივი კილაძე
1 500 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 4:0 გორდა**

1:0 იმედაძე (10), მეგრელაძე (25), 3:0 იმედაძე (32), 4:0 იონანიძე (55)
ტორპედო: ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, მალლაკელიძე, მაზანიშვილი, ჩხეტიანი (ჩხაბერიძე 20), კვეტენაძე (იონანიძე 46), იმედაძე, დ. ჯანაშია (კ. ჯანაშია 58), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე
*სათადარიგონი:* სტურუა; კ. მეტრეველი
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (რ. მახარაძე 46), მ. მელაძე, ჩიგოშვილი, კიტეიშვილი, ლაბაძე (მ. სახვაძე 46), ლ. ალადაშვილი
გაფრთხილება: ლაბაძე (8), სახვაძე (70)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

მამუკა გიგიაძე წყალტუბოდან

ეს ადრე, ჭირმოჭმული საბჭოური პერიოდის ბოლო ოცდაათწლეულში ითვლებოდა „ტორპედო“ საქართველოს მეორე გუნდად (პირველი, ბუნებრივია, მაშინაც „დინამო“ იყო), თორემ ეროვნულ ტალღაზე გადართვამ ქუთაისურ ფეხბურთს ბევრი ვერაფერი შესძინა. მეორე და მეხუთე ჩემპიონატებში მოპოვებულ ბრინჯაოს ტორპედოელებს მიღწევაში დიდი გაჭირვებით თუ ჩავუთვლით. „ტორპედოს“ აქამდე არც მეორე ფრონტზე — თასის გათამაშებებში გამოუჩენია დიდად თავი, ორჯერ ესტუმრა ნახევარფინალს და, ეგ იყო. ჰო, კიდევ შარშანდელი ინტერტოტო, მაგრამ ქუთაისელებს ევროპაზე გასვლაც ხომ ბევრმა დაასწრო...

ხომ გაგიგონიათ, ყველაფერს თავის დრო აქვსო და, ჩანს, „ტორპედოსაც“ ეს დრო დაუდგა. დიდი დაგვიანებით, მაგრამ დაუდგა. ფინიშს მიახლოებული საიუბილეო მეათე გათამაშება ყველაზე წარმატებული გამოდგა ქუთაისელი ფეხბურთელებისთვის. დიახ, გუშინ „გორდას“ ძლევით გათამაშების დამთავრებამდე ტურით ადრე „ტორპედომ“ აქამდე მიუწვდომელს მიაღწია — ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსნობა გაინაღდა.

ქუთაისელთა მიერ ამ სეზონში სამჯერ (ორჯერ თასზე) საერთო ანგარიშით 16:1 ძლეულ „გორდას“, „გივი კილაძეზე“, მასპინძელთათვის მეტად მნიშვნელოვან მატჩში, ხეირის არავითარი იმედი არ ჰქონდა და 13 ფეხბურთელით, ფაქტობრივად, ქუთაისელთათვის გამარჯვების მისალოცად ჩამოვიდა.

თამაშისას გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ, აბა, ტორპედოელებს რა დააკავებდა, წვიმდა კი არა, ცაც რომ გამსკდარიყო, მასპინძლები მაინც გაიტანდნენ თავისას. „ტორპედო“ კარგა ხანია ვერცხლთან ახლო იყო და მეტის გადავადება აღარ იქნებოდა.

გასამარჯვებლად შემართულ „ტორპედოს“ ათი წუთი დასჭირდა ანგარიშის გასახსნელად, თუმც მანამდეც შეეძლო დაწინაურება. მე-4 წუთზე რუსთაველები ჩხეტიანის წაქცევისთვის დაჯარიმდნენ. დავით ჯანაშიამ მარცხნიდან კარგად ჩააწოდა და მეგრელაძემ თავურით ოდნავ გადააცილა ხარიხას. „გორდას“ კარში კი პირველი გოლი გია იმედაძემ მიითვალა. მან შესაშური ნებისყოფა გამოავლინა, სტუმართა საჯარიმოში ბოლომდე ებრძოლა მცველს, ბურთი აართვა და მერე თანაგუნდელის მისაშველებლად წინ გამოსულ მეკარესაც შორეულ კუთხეში დაურტყა. ბურთი ძელიდან შევარდა ბადეში.

სამ წუთში ტორპედოელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ჩხეტიანმა დაასრულა 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით, მაგრამ ბურთი მცველს შეეხო და კუთხურზე გადავარდა. იქედან ჩაწოდებულზე იმედაძე გავიდა კარგად, მაგრამ ხუთიოდე მეტრიდან კარს ზემოთ გაგზავნა. მსგავსი რამ კიდევ ბევრჯერ გამეორდა. სხვაზე რომ არ ვთქვათ, მაზანიშვილს და მეგრელაძეს მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ პირველ შემთხვევაში ბედიაშვილმა იმარჯვა, მეორედ კი მეგრელაძემ ორიოდ მეტრიდან დარტყმა დააზანა. თუმცა, მეგრელაძემ სულ მალე გამოასწორა ეს შეცდომა. გია დროულად გამოეხმაურა დავით ჯანაშიას მიერ სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულს და მაღალ ნახტომში თავურით ანგარიში გააორა.

28-ე წუთი იყო, რომ რუსთაველებმაც გამოიდეს თავი. ლაბაძემ 20 მეტრიდან შეამოწმა ჭანტურიას მზადყოფნა, ძლიერად და სახიფათოდ დაარტყა. მეკარე ფხიზლოლბდა და ეს ეპიზოდიც კუთხურით მორჩა. „გორდამ“ შესვენებამდე მხოლოდ ამ „გამოხდომით“ დაგვამახსოვრა თავი. ტორპედოელებმა კი საკუთარ გემოზე აგორეს ბურთი, ტექნიკის დემონსტრირებას მოუხშირეს, რაც ხშირ შემთხვევაში კარგადაც გამოსდიოდათ.

მესამე გოლი „გორდას“ კარში მასპინძელთა ელვისებური იერიშის შედეგად გავიდა. მეგრელაძემ მოედნის ცენტრიდან მარცხნივ ვაჩიბერაძეს გადააწოდა, ზაზა უმალ ფლანგზე გაიჭრა და კარის გასწვრივაც ეფექტურად ჩააწოდა. აქ კი მალალოსტატურად ითამაშა იმედაძემ, მის თავურს ბედიაშვილი ნამდვილად ვერ დაუდგებოდა.

მეორე ტაიმისთვის თამაშს პრაქტიკულად აზრი დაეკარგა და მასპინძლებმაც, ცოტა არ იყოს, უშელავათეს მეტოქეს, ისე ლაღად და მწვავედ აღარ უტევდნენ, თუმც კიდევ ბევრჯერ დააფრთხეს სტუმართა დაცვა. ტორპედოელთაგან გასატანად ყველაზე მეტად იონანიძე იყო მოწადინებული და ეს ერთხელ შეძლო კიდეც, 25 მეტრიდან „გასროლილი“ ცხრიანში მოარტყა (ეს ტორპედოელის 97-ე გოლი იყო ეროვნულ ჩემპიონატებში). ამ მატჩში მეტი აღარ გასულა, არადა, ახალგაზრდა იმედაძე ღირსი კი იყო ჰეთ თრიკისა. ბოლოსწინა წუთზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრმა მეგრელაძის ჩაწოდებულს სტუმართა საჯარიმოს წინა ხაზიდან ვარდნაში ულამაზესი მაკრატელა მიაყოლა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

„ტორპედო“ გახარებული ტოვებდა „გივი კილაძეს“. აბა, რა იქნებოდა! გუნდმა ჩემპიონატის ვერცხლის მედლები გაინაღდა.

წინ კი 26 მაისია. ქვეყნის თასის ფინალი. „ტორპედო“ აქაც გასამარჯვებლად იბრძოლებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

# აშკარა ცალკარა

წყალტუბო
19 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 არსენალი**

1:0 პეტრიაშვილი (80), 2:0 კილასონია (90)
კილასონიამ ვერ გაიტანა პენალტი (54)
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (მ. ჯინჭარაძე 68), ძაგნიძე, ლ. ქობულაძე, გ. კილასონია, პეტრიაშვილი (გლუნჩაძე 81), სუხიაშვილი, გ. შენგელია (ზ. ქუთათელაძე 68)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; დარსაძე, ფრანგიშვილი, ლონლაძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ვ. გაგუა, ვ. გველესიანი, კოხრეიძე, მ. მაისურაძე (ყუფარაძე 73), ზირაქიშვილი (სულაძე 57), ამირიძე (თვალაბეიშვილი 77), ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგო:* აბაშიძე
გაფრთხილება: ჩლაიძე (67)
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. მეტივიშვილი (ხაშური)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამრეჯიბი

მამუკა გიგიაძე წყალტუბოდან

წყალტუბოელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ — რევაზ ბურკაძე. მაგრამ იგი მხოლოდ დღეიდან ჩაიბარებს გუნდს, ამიტომაც არმიელებთან სათამაშოდ იმერლები კვლავაც „სამგურალის“ ექსთავკაცის, გაიოზ დარსაძის მარჯვენა ხელმა, დავით გენძეხაძემ გაიყვანა.

ამ თამაშის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გადათამაშებისგან თავის დასაღწევად მასპინძლებს ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა და, სავარაუდო იყო, „სამგურალი“ თავიდანვე ექვეთებოდა „არსენალის“ ნახევარს. მასპინძლებმაც შეუტიეს, მაგრამ ერთობ უხეიროდ. პირველი საგოლე მომენტი სწორედ მათ კართან შეიქმნა. მე-18 წუთზე კაკაშვილმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა და წყალტუბოელები ძელმა იხსნა. „სამგურალს“ დაცვაში ფხიზლად ყოფნამ მართებდა. მასპინძლებმაც იგრძნეს ეს და აქედან მოყოლებული ზირაქიშვილს და ტარიელაშვილს ყურადღებით დარაჯობდნენ. 23-ე წუთზე „სამგურალი“ შეტევაზე გადავიდა, პეტრიაშვილი მარჯვენა ფლანგზე მეურვეს გაუსხლტა და სუხიაშვილს გადააწოდა, მანაც საჯარიმოს შიგნიდან კარში დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და უკან დაბრუნდა, მახვილაძემ კი დაამატა, მაგრამ არაზუსტად. 33-ე წუთზე გიორგი კილასონიას ჩაწოდებული შენგელიას მიუვიდა, მაგრამ ჩლაიძემ მას დარტყმა არ აცალა. პირველი ნახევრის მიწურულს კილასონიამ მოედნის ცენტრიდან ბურთიანად არმიელთა საჯარიმომდე ჩააღწია, ძლიერადაც დაჰკრა — ოდნავ არაზუსტად.

მეორე ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა, ლამის ცალკარა იყო. „არსენალი“ დაცვაში ჩაჯდა, მხოლოდ მოგერიებაზე ზრუნავდა. „სამგურალი“ გაშმაგებით უტევდა, მაგრამ ვერა და ვერ ხეირობდა. პეტრიაშვილმა ვარდნაში ეფექტურად დაარტყა, მაგრამ კარს ააცილა. ორ წუთში ძაგნიძე — სუხიაშვილ — ვოსკანოვის კომბინაცია ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით დაასრულა, „არსენალი“ ძელმა იხსნა. 54-ე წუთზე არმიელთა საჯარიმოში ბურთი გაგუას მოხვდა ხელზე და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. კილასონიამ ეს რეალური შანსი ვერ გამოიყენა, ბურთი კარს ზემოთ გაგზავნა. მე-60 წუთზე სტუმრები ისევ გადარჩნენ სასწაულებრივ. ძაგნიძემ, ბურნაძემ და კვლავ ძაგნიძემ მიყოლებით ურტყეს კარში, მაგრამ ჩლაიძეს ვერ აჯობეს.

„სამგურალს“ მხოლოდ მატჩის ბოლო ათ წუთში გაუღიმა ფორტუნამ. მასპინძლებმა ორჯერ მოახერხეს გატანა. ჯერ დავით პეტრიაშვილმა ისარგებლა ძაგნიძის გადაცემით და მცველებთან და მეკარესთან ჭიდილში მიზანში ზუსტად დარტყმა მოასწრო. ამის მერე იყო და რევაზ გლუნჩაძის პასი გიორგი კილასონიამ აქცია გოლად. ამასობაში თამაშის დროც ამოიწურა.

# ძოძუაშვილი რუსეთში ქართველებს აკვირდება

რუსეთის ჩემპიონატის მატჩს რამენსკოეში ადგილობრივ „სატურნსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიას“ შორის მოულოდნელი სტუმარი ჰყავდა — ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. ძოძუაშვილმა რამენსკოეში ჩასვლის მიზეზად საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების საქმეში ნახვის სურვილი დაასახელა. მატჩის შემდეგ, რომელიც „ალანიამ“ 1:0 მოიგო, ძოძუაშვილმა განაცხადა, რომ წერეთელმა კიდევ უფრო მოუმატა და დაამტკიცა, ნაკრებში გამოძახების ღირსიაო. დემეტრაძის თამაშის შესახებ კი თქვა, დამერწმუნეთ, მას გაცილებით მეტი შეუძლიაო.

რამენსკოედან ძოძუაშვილი იაროსლავლში გაემგზავრა, რათა უკვე ლატვიის ნაკრების შინიკელების — ლობონიოვსისა და ივანოვსის მზადყოფნა შეემოწმებინა.

სიმონ მენაბდე

# გიორგობიანი და ნოზაძე ლუჩს დაუბრუნდნენ

წყალტუბოელებს გორის „დილასთან“ წინა ტურის მატჩში ირაკლი გიორგობიანი აკლდათ. მან „სამგურალიდან“ წასვლა გადაწყვიტა. ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავთ, გიორგობიანი შორეულ ვლადივოსტოკში იქნება. როგორც იცით, იგი ადრეც თამაშობდა იქაურ „ლუჩში“ და ახლა რუსებს კვლავაც გაახსენდათ ქართველი. „ლუჩი“ რუსეთის მეორე დივიზიონში ასპარეზობს და კარგი სტარტიც აიღო ჩემპიონატში. გიორგობიანთან ერთად ვლადივოსტოკს აწ უკვე ექს-მარგველი ნახევარმცველი დავით ნოზაძეც გაემგზავრა. სხვათა შორის, ისიც ყოფილი ლუჩელია.

იუზა კაციტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირცხვილია ბიჭო!

მცხეთა
19 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 კოლხეთი**

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ნოზაძე 55), დ. დოლიძე, მაზიაშვილი (ა. ბოკერია 65), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ზ. გვაზავა, ერაძე
**კოლხეთი:** გ. გვასალია, გოროზია (ჩადუნელი 46), ტორჩინავა, გიორგაძე (ამაშუკელი 67), ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, შალამბერიძე, ბულუხია, კალანდაძე, შავგულიძე (ე. გვასალია 58), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, პაპავა, ჩაგანავა
**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (54), ე. გვასალია (71), ბულუხია (90)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. სილაგავა; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ვანო ოძროპირიძე მცხეთიდან

6 მაისს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება რომ არა, „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" გუშინდელი მატჩი, ბოლო ტურებში ყველაზე გამორჩეული და პრინციპული იქნებოდა. ალბათ, მიხვდით, ისევ ვიტელებისთვის დაკლებული სამი ქულის არაღდგენაზე ვსაუბრობთ. ამ გადაწყვეტილებამ „ვიტ ჯორჯიას" ინტერტოტოს თასზე თამაშის იმედი საბოლოოდ მოუსპო, „კოლხეთს" კი ამ ტურნირის საგზური გაუნაღდა. მიუხედავად ამისა, თამაში მაინც დიდ ინტერესს იწვევდა და ბოლოსწინა ტურში ცენტრალურადაც ითვლებოდა.

ფოთელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ელდარ გვასალია, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა და ამიტომ „კოლხეთის" მწვრთნელმა, გია ტყებუჩავამ, თამაშში მისი მოგვიანებით შეყვანა ამჯობინა.

მატჩის დებიუტმა ცხადყო, რომ ფოთელები მასპინძელთათვის არაფრის დათმობას აპირებდნენ. მათ „ვიტ ჯორჯიას" თავიდანვე პრესინგი შესთავაზეს და მთელი ტაიმი ასე გააგრძელეს. დაცვაში ვიტელებიც მჭიდროდ თამაშობდნენ და ამიტომაც პირველ ნახევარში საგოლე მომენტები მრავლად არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით არც ისე კარგი გამოდგა, თუმცა ბრძოლა და დაძაბულობა საკმარისზე მეტიც იყო.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა. მე-12 წუთზე კალანდაძის შორიდან სახიფათოდ დარტყმული ბურთი ჭურაძემ გაჭირვებით მოიგერია. ამას ვიტელთა საპასუხო შეტევა მოჰყვა. ალადაშვილმა კარგადაც დაარტყა, მაგრამ მეკარემ ბურთი კუთხურზე გადააგდო. იქიდან დოლიძის ჩაწოდებულს გოჩაშვილმა კარგი დარტყმა მოაყოლა, მაგრამ ბურთი ხარიხამ მოიგერია. 30-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯია" გადარჩა. ტრაპაიძის მიერ ბურთის საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ გამოსვლაზე უხეშად შეცდა ჭურაძე, რომელსაც თავდამსხმელმა დაასწრო, მაგრამ ბარქაიამ იმარჯვა, ბურთს კარის ხაზთან მიუსწრო და ვარდნაში მოიგერია. პირველ ტაიმში განსაკუთრებული მეტი არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. ფოთელებმა, რომლებსაც ეტყობოდათ, ფრეზეც ყაბულს იყვნენ, დაცვაში „ჩაჯდომა" და თამაშის კონტრშეტევებზე აგება გადაწყვიტეს. ვიტელები კი უტევდნენ, მაგრამ სტუმრები დაცვაში ძალიან კარგად მოქმედებდნენ და მეტოქეს ხიფათის შექმნის საშუალებას არ აძლევდნენ, შესაძლებლობისთანავე კი თავად გადადიოდნენ შეტევაზე. დაახლოებით მე-60 წუთიდან „ვიტ ჯორჯია" საგრძნობლად გააქტიურდა და ათი წუთით „კოლხეთის" ნახევარზეც დასახლდა. ამ ხნის განმავლობაში მასპინძლები სამჯერ დაემუქრნენ ფოთელთა კარს. განსაკუთრებით სახიფათო კი პირველი მომენტი გახლდათ, როცა ქორიძემ გოჩაშვილი მამუკა გვასალიასთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ვიტელთა თავდამსხმელმა იმდენი „მოახერხა", ახლოდან ბურთი კარს გადააცილა. მალე ალადაშვილმა შორიდან ხარიხას მოახვედრა ბურთი, მესამედ კი ბოლო დროს საყრდენად მოთამაშე გიორგი ჭანკოტაძემ დაარტყა ძლიერად — ბურთი მცირე მანძილით ასცდა სტუმართა კარს.

ბოლო თხუთმეტ წუთში ვიტელებს დაღლა დაეტყოთ, ფოთელები კი პირიქით, ბევრს მოძრაობდნენ და ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტუმრები მეტნი იყვნენ მინდორზე. „კოლხეთი" მასპინძლების შეტევებს ცენტრშივე შლიდა და საკმაოდ მწვავე სწრაფ კონტრიერიშებს ახორციელებდა. ჯერ ქობულაძის ახლოდან თავით დარტყმული მოიგერია ფეხით ჭურაძემ, მერე კი ბულუხია გავიდა მეკარესთან პირისპირ, ისიც მოატყუა და ბურთიანად კარში შესვლა მოინდომა, მაგრამ უკნიდან წამოპარული ბარქაია ვერ შენიშნა, რომელმაც ბურთი კუთხურზე მოიგერია და მეორედ იხსნა თავისი გუნდი. ბოლო წუთებში მასპინძლებმა კვლავ სცადეს შეტევა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, თავისივე თამაშით უკმაყოფილონი ერთმანეთს ამხნევებდნენ. ალადაშვილმა ისიც თქვა, რას ვშვრებით, სირცხვილია, ბიჭოო, და... ყოველივე ამან მსაჯის მიერ წამატებულ დროში კინაღამ შედეგი გამოიღო — მაისურაძის ჯარიმიდან ჩაწოდებული ქემოკლიძემ მიიღო, მცველი მოატყუა და დაარტყა. მამუკა გვასალია ბურთს კი შესწვდა, მაგრამ მოგერიება ვერ შეძლო, თუმცა მხსნელად ფოთელებს ხარიხა (მესამედ) მოევლინათ. იქიდან გადმოვარდნილს ქორიძემ დაამატა, მაგრამ კარის ხაზზე მდგარ მცველს ვერ ააცილა. მატჩიც აქვე დასრულდა.

თამაშის შემდეგ ვიტელთა ქომაგები გარკვეულწილად მსაჯსაც ადანაშაულებდნენ. სიმართლე რომ ვთქვათ, ფანიაშვილს უხეში შეცდომა არ დაუშვია, უკმაყოფილების გამოთქმა თანამსაჯებზე უფრო შეიძლებოდა, რომლებმაც ორივე ტაიმში რამდენიმე საეჭვო თამაშგარე დააფიქსირეს.



ლევან შავგულიძე (№10) ვასილ მაისურაძესთან ბურთისთვის ბრძოლაში უფრო მარჯვედ და მაღლა ახტა



დავით გოდერძიშვილს და მირზა სამხარაძეს (№6) ბურთი დაჰკარგვიათ

# სიონს სიონმა მოუგო

თბილისი
19 მაისი
18 საათი
მიხეილ მესხი
800 (ტევადობა 16 000)

**ლოკომოტივი 3:0 სიონი**

1:0 გოგობერიშვილი (64პ), 2:0 ე. ჯაფარიძე (69ს.კ.), 3:0 სვანიძე (77ს.კ.)
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ქოიავა (წივწივაძე 46), კ. მელქაძე (დ. ბაქრაძე 46), დ. გოდერძიშვილი, გ. ლუდუშაური (კოტორაშვილი 67)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; შ. ხუჯაძე, ნ. მელაძე, გილაური
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ფ. არჩვაძე 77), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე 74), ტყავაძე
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ლ. გაგუა, გ. ჩალაძე, ხიდაშელი
**გაფრთხილება:** მელქაძე (43)
**გაძევება:** კ. გოდერძიშვილი (59)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

კობა ინასარიძე

მორჩა! ორივე გუნდის ბედი გადაწყვეტილია. თბილისის „ლოკომოტივი" ვერცხლს ველარ შესწვდება. ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად, ისინი მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ და ახლა საევროპოდ მართებთ გამზადება, წინ უეფას თასის მატჩები ელით.

გამზადება მოუწევთ ბოლნისელ ფეხბურთელებსაც, თუმცა კი სხვა საქმის შესასრულებლად. შარშანდელივით „სიონი" ახლაც გადათამაშებაში მოხვდა და უძლიერესთა შორის დასარჩენად თსუ-ს, უარეს შემთხვევაში კი ერთ-ერთ მეორეჯგუფელ გამარჯვებულს უნდა აჯობოს.

გუშინდელი მატჩი კი „სიონისთვის" უფრო მნიშვნელოვანი იყო. გამარჯვების შემთხვევაში მათ ჯგუფში დასარჩენად საკმაოდ კარგი შანსი მიეცემოდათ და თსუ-ს მეწყვილეს ვინაობაც ბოლო ტურამდე გაურკვეველი იქნებოდა. ეს ყველაფერი ბოლნისელებმა კარგად იცოდნენ, ამიტომაც მატჩის პირველ ტაიმში მრისხანე მეტოქეს ისეთი ბრძოლა გაუმართეს, უფრო სწორად, უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის კახა გოდერძიშვილის გაძევებამდე, თქვენგან მოწონებული. ფაქტობრივად, თუ მატჩის დაწყებისთანავე კაციაშვილის ძლიერად დარტყმულსა და გუგუნავას მიერ მოგერიებულ ბურთს არ ჩავთვლით, „ლოკომოტივს" შესვენებამდე მომენტიც არ შეუქმნია. ბოლნისელები კი ორჯერ ისე სახიფათოდ დაემუქრნენ მასპინძლებს, ნაღდად იმსახურებდნენ ერთი გოლის გატანას მაინც, თუმცა ჯერ მოსეშვილი დარჩა დოლაბერიძესთან პირისპირ, მიზანი ვერ გაისწორა და ბურთი კარს ააცილა, მერე კი ტყავაძის ჯარიმიდან ცხრიანში დარტყმული მოიგერია მეკარემ.

საერთო სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. მართალია, მასპინძლებს სრული სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლნისელი მცველების გადამკიდეებს დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ. ერთი ეგ იყო, ქოიავას შემცვლელ. წივწივაძეს აჯობა გუგუნავამ.

სტუმართათვის საბედისწერო კი ტაიმის პირველი მესამედის ბოლო წუთი გამოდგა — „სიონის" მცველთა არასწორი განლაგებით გოგობერიშვილმა რომ ისარგებლა და გონივრული პასით გოდერძიშვილი მისსავე მოგვარესა და გუგუნავას მეკარეს შეატოვა. თავდამსხმელმა სისწრაფით აშკარად დაჯაბნა მცველი, მაგრამ ბოლნისელმა მაისურაზე წაავლო ხელი და ასე ცდილობდა მის შეჩერებას. თბილისელს სანამ შეეძლო, ირბინა, კარში დარტყმაც მოასწრო, თუმცა კი ნახევრადწაქცეულს ძალა დააკლდა და... დოგრაშვილმა ჩასტვინა, ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა და ბოლნისელ გოდერძიშვილსაც წითელი ბარათი აუფრიალა. სტუმრები აღშფოთდნენ, მსაჯს მისცვივდნენ, ჩვეულებრივი ამბავი დაიწყო — კინკლაობა და მისთანები. დოგრაშვილს სამართლიანი გადაწყვეტილება, რაღა თქმა უნდა, არ შეუცვლაი, თუმცა კი სტუმართა დაშოშმინებას ბარე ოთხიხუთი წუთი მოანდომა. გაძევებულიც ჯიუტობდა, მოედნიდან არ გადიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი ჩაწყნარდა, გოგობერიშვილმაც უნაკლოდ შეასრულა პენალტი.

ფაქტობრივად ყველაფერი მაშინვე გადაწყდა, ძნელი წარმოსადგენი იყო, კაცნაკლულ „სიონს" თამაში შეეტრიალებინა. „ლოკომოტივმაც" გაილაღა, ბურთიც თითქმის სულ ბოლნისელთა ნახევარზე დაგორავდა. ხუთიოდ წუთში კი, როცა მარჯვენა ფლანგიდან კაციაშვილის ჩაწოდებული ბურთი ელგუჯა ჯაფარიძეს ფეხიდან აეჭრა და გუგუნავას ზურგსუკან აღმოჩნდა, მატჩსაც აზრი დაეკარგა. მიილია შვიდი წუთი და ჯაფარიძის ბედი სვანიძემ გაიზიარა — კოტორაშვილის პასის ჩაჭრას ცდილობდა, საკუთარ კარში ჩაჭრილი კი გამოუვიდა. მერე გოგობერიშვილის მაკრატელაც ვიხილეთ, მეკარის ცხვირწინ დარჩენილი გოდერძიშვილის გაცუდებული და ბარნოვ-იგივე გოდერძიშვილის ვერგამოყენებული რეალური საგოლე მომენტებიც. თუმცა მაინც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და... „ლოკომოტივი" უეფას თასისთვის, „სიონი" კი თსუთან სათამაშოდ უნდა მოემზადოს.

# ბოსკამპმა დინამოს თითი დაუქნია

გორი
19 მაისი
18 საათი
ცენტრალური
4 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:2 დინამო**

0:1 ქებაძე (5), 1:1 სულთანიშვილი (50), 1:2 გოგიჩაიშვილი (63)
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, აკოფიანი (გუდუშაშვილი 84), გაგნიძე, მარეხაშვილი, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; არუთინიანი, ხიხალაშვილი
**დინამო:** ბათიაშვილი, ლ. მიქაძე, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, პ. ჭინჭარაძე, ა. სახვაძე, ტულუში, შ. ჩომახიძე (ა. მუჯირი 65), წიტაიშვილი (გ. მიქაძე 65), გოგიჩაიშვილი, ქებაძე
*სათადარიგონი:* გვარამაძე; აბრამიძე, მ. მაჭავარიანი
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. დოლიძე, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**პაატა კვანტალიანი გორიდან**

თბილისის „დინამო“ ახალი უცხოელი მწვრთნელითურთ გორს ჩემპიონის რანგში ეწვია.

იოჰან ბოსკამპი მატჩის წინ მხიარული ჩანდა, მოთელვაზე გასულ შეგირდებს დროდადრო მითითებებს აძლევდა და შიგადაშიგ ტრიბუნებისკენაც გააპარებდა თვალს — „ცენტრალურზე“ თვალსასეიროდ 4 000-მდე გულშემატკივარი შეკრებილიყო.

ფაქტია, ამ კაცის მოსვლით კლუბში ბევრი რამ შეიცვალა. დაწყებული სათამაშო სქემიდან, დამთავრებული შემადგენლობით. დაკვირვებული თვალი ფეხბურთელებს ამ ცვლილებებს უმალ შეამჩნევს. სხვა თუ არაფერი, რაღაც არაფრით მახსენდება ჩვენი ჩემპიონატის მატჩებში მოთამაშეს აუტის ხაზთან „პადკატი“ გაეკეთებინოს. თვალში საცემი იყო ისიც, რომ დინამოელთა კუთხურები ბევრად ჩამოჰგავდა ნორვეგიელთა სუპერთანამედროვე კუთხურებს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებთან მატჩში სკანდინაველთა სტანდარტული ჩაწოდებები ასეთად ჩანდა). ჩაწოდების დროს მახლობელ ძელთან განლაგებული ორი თბილისელი ფეხბურთელი სოლოლაშვილს ბურთზე თვალისდევნების საშუალებას ფაქტობრივად უსპობდა. სწორედ ამგვარი ქმედებით იხეირეს კიდეც დინამოელებმა (ამაზე ქვემო). მანამე კი... საჩემპიონო სასტარტო შემადგენლობიდან ბოსკამპმა „დილას“ წინააღმდეგ მხოლოდ სამი ფეხბურთელი (სახვაძე, გოგიჩაიშვილი, ჯინჭარაძე) გამოიყვანა. უკანა ხაზზეც ოთხის ნაცვლად სამი მცველი განალაგა, თავდასხმაში წიტაიშვილს ქებაძე შეუწყვილა და... მეხუთე წუთისთვის ელექტროტაბლოზე (ნუ გიკვირთ. ტაბლო, თუნდაც ელექტრო, ჩვენი ჩემპიონატისთვისაც საჭიროა) ანგარიში შეიცვალა — ხიზანეიშვილმა მშვენიერი პასი „გაუჭრა“ ქებაძეს, მანაც მცველთან ჭიდილში იმარჯვა და ახლო მანძილიდან ბურთი კარში მოათავსა. ამგვარ დასაწყისს მასპინძლები არ ელოდნენ და ტაიმის შუაწელამდე დაბნეულად გამოიყურებოდნენ, თუმცა, მათდა საბედნიეროდ, დროის ამ მონაკვეთში დიდად თავი არც მათ მეტოქეს გამოუდვია — ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრალურ ნაწილში ტრიალებდა. ბოსკამპი თავის ფეხბურთელებს გამუდმებით უყვიროდა, მითითებებს აძლევდა, 25-ე წუთისთვის კი მიყუჩდა და თამაშის ბოლომდე მშვიდად ადევნებდა მატჩს თვალს.

28-ე წუთზე წიტაიშვილმა და ჩომახიძემ ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და სოლოლაშვილს ოსტატობის გამოვლენა მოუხდა — წიტაიშვილის საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი გასროლილი კუთხურზე მოიგერია.

პირველ ნახევარში თვალშისაცემი იყო ახალგაზრდა ხიზანეიშვილის კარგი თამაში. იგი ფაქტობრივად უშეცდომოდ მოქმედებდა დაცვაში და პარტნიორებს შორეული, ზუსტი პასებით ამარაგებდა. მისი ამგვარი გარჯა დინამოელებს საშუალებას აძლევდა, სწრაფად გადასულიყვნენ შეტევაზე.

„დილამ“ მეორე ნახევარშიც კონტრშეტევებზე თამაში არჩია, გორელთა თავდამსხმელმა შატიკიშვილმა ოდნავ უკან ჩაიწია, შესაბამისად წინ აიწია დინამოელთა მცველმა ლევან მიქაძემაც. ამით სწრაფ სულთანიშვილს უფრო მეტი გასაქანი მიეცა და აკი საჭირო წამს ბურთთანაც გაჩნდა — შატაკიშვილმა თავისივე წამოწყებული კომბინაცია დაასრულა. ძლიერად დარტყმული ბურთი ერთ-ერთ დინამოელს მოხვდა და საჯარიმოში კარიდან 7 მეტრში აღმოჩნდა. იქ კი მას სულთანიშვილი უცდიდა... 1:1. გოლმა გორელებს თავდაჯერება შემატა. მარჯვენა ფლანგზე გააქტიურდა ახალკაცი და „დილამ“ თავგამოდებით შეუტია. 56-ე წუთზე შატაკიშვილმა საჯარიმოს სიახლოვეს მოძებნა ახალკაცი, მას სახვაძე დაუხვდა და თავით უხერხულად გადაუგდო ბურთი თავის მეკარეს. ბათიაშვილმა გაჭირვებით შეძლო ბურთის დამორჩილება. ოთხი წუთის შემდეგ სულთანიშვილი ურტყამდა ძლიერად 25 მეტრიდან. ბურთი ოდნავ ასცდა კარს. შემდეგ კი იყო გორელთათვის საბედისწერო 63-ე წუთი. კუთხურის ჩასაწოდებლად ბურთთან გოგიჩაიშვილი მივიდა. მისი პარტნიორები კი საჯარიმოში „ნორვეგიულად“ განლაგდნენ. კახიმაც ბურთი ოსტატურად მოჭრა. სოლოლაშვილი უძლური იყო, ბურთი შორეული ძელის სიახლოვეს კარში ჩაეშვა. გოლმა „დილა“ გატეხა და დარჩენილ დროში სტუმრებს არ გასჭირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება.

მატჩის შემდეგ იოჰან ბოსკამპს დანა პირს არ უხსნიდა — ჩვენ დღეს ძალიან ცუდად ვითამაშეთ, რადგან ჩემი ფეხბურთელები საოცრად ნელ ტემპში მოძრაობდნენ, ყველა თავისთვის ცდილობდა და საერთოდ რიტმიდან ამოვარდნილნი იყვნენ. ეს არ ეხებათ მხოლოდ ხიზანეიშვილს და ჯინჭარაძეს, დანარჩენებმა კი იმედი გამიცრუესო ბრძანა შეხვედრის წინ მშვენიერ ხასიათზე მყოფმა ჰოლანდიელმა.

# ზედიზედ ხუთჯერ და მეტჯერ

*შაბათს თბილისის „დინამო“ ზედიზედ მეათედ გახდა საქართველოს ჩემპიონი და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეკორდი გაიმეორა.*

*ქვევით ყველა ის გუნდია ჩამოთვლილი, რომლებმაც მოპოვებით ხუთჯერ ან მეტჯერ შეძლეს საკუთარი ქვეყნის ჩემპიონობა. მათი რიგითობა ქრონოლოგიაზე ჰკიდია, შენიშვნა კი იმ გუნდების გასწვრივაა, რომლებმაც ზედიზედ კი იპირველეს, მაგრამ პირველი თუ მეორე მსოფლიო ომის წლებში სეზონები გაუცდათ — ამ დროს მათი ქვეყნის ჩემპიონატები არ გამართულა.*

| | | |
|---|---|---|
| **ათგზის ჩემპიონები** | | |
| დინამო, თბილისი, საქართველო | 90,91,92,93,94,95,96,97,98,99 | (10) |
| მტკ, ბუდაპეშტი, უნგრეთი | 14,17,18,19,20,21,22,23,24,25 | (10!) |
| დინამო, ბერლინი, გდრ | 79,80,81,82,83,84,85,86,87,88 | (10) |
| **ცხრაგზის ჩემპიონები** | | |
| სელტიკი, გლაზგო, შოტლანდია | 66,67,68,69,70,71,72,73,74 | (9) |
| ცდნა, სოფია, ბულგარეთი | 54,55,56,57,58,59,60,61,62 | (9) |
| გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია | 89,90,91,92,93,94,95,96,97 | (9) |
| **შვიდგზის ჩემპიონები** | | |
| უიპეშტ, დოჟა, უნგრეთი | 69,70,71,72,73,74,75 | (7) |
| რუსენბორგი, ტრონდჰეიმი, ნორვეგია | 92,93,94,95,96,97,98 | (7) |
| სკონტო, რიგა, ლატვია | 92,93,94,95,96,97,98 | (7) |
| **ექვსგზის ჩემპიონები** | | |
| სელტიკი, გლაზგო, შოტლანდია | 05,06,07,08,09,10 | (6) |
| ფრამი, რეიკიავიკი, ისლანდია | 13,14,15,16,17,18 | (6) |
| კინებულ ტიმოშოარა, რუმინეთი | 22,23,24,25,26,27 | (6) |
| სელტიკი, ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია | 36,37,38,39,40,48 | (6!) |
| დუდელანჟი, ლუქსემბურგი | 39,40,45,46,47,48 | (6!) |
| ოლიმპიაკოსი, პირეოსი, საბერძნეთი | 54,55,56,57,58,59 | (6) |
| ომონია, ნიქოზია, კვიპროსი | 74,75,76,77,78,79 | (6) |
| ლინფილდი, ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია | 82,83,84,85,86,87 | (6) |
| დინამო, კიევი, უკრაინა | 93,94,95,96,97,98 | (6) |
| სტიაუა, ბუქარესტი, რუმინეთი | 93,94,95,96,97,98 | (6) |
| **ხუთგზის ჩემპიონები** | | |
| ფერენცვაროში, ბუდაპეშტი, უნგრეთი | 09,10,11,12,13 | (5) |
| ჰოლერიხი, ლუქსემბურგი | 12,14,15,16,17 | (5!) |
| გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია | 27,28,29,30,31 | (5) |
| იუვენტუსი, ტურინი, იტალია | 31,32,33,34,35 | (5) |
| ოლიმპიაკოსი, პირეოსი, საბერძნეთი | 33,34,36,37,38 | (5!) |
| ესტონია, ტალინი, ესტონეთი | 34,35,36,36,38,39 | (5!) |
| ტორინო, ტურინი, იტალია | 43,46,47,48,49 | (5!) |
| მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი | 47,49,50,52,54 | (5!) |
| ჰაპოელი, ფეთაჰ თიკვა, ისრაელი | 59,60,61,62,63 | (5) |
| რეალი მადრიდი, ესპანეთი | 61,62,63,64,65 | (5) |
| გურნიკი, ზაბჟე, პოლონეთი | 63,64,65,66,67 | (5) |
| ანდერლეხტი, ბრიუსელი, ბელგია | 64,65,66,67,68 | (5) |
| კლაქსვიკარი, ტორჰსვანი, ფარერები | 66,67,68,69,70 | (5) |
| ჟენეს ეში, ლუქსემბურგი | 73,74,75,76,77 | (5) |
| ომონია, ნიქოზია, კვიპროსი | 81,82,83,84,85 | (5) |
| სტიაუა, ბუქარესტი, რუმინეთი | 85,86,87,88,89 | (5) |
| რეალი მადრიდი, ესპანეთი | 86,87,88,89,90 | (5) |
| სპარტა, პრაღა, ჩეხოსლოვაკია | 87,88,89,90,91 | (5) |
| ოლიმპიკი, მარსელი, საფრანგეთი | 89,90,91,92,93 | (5) |
| აკრანესი, რეიკიავიკი, ისლანდია | 92,93,94,95,96 | (5) |
| ზიმბრუ, კიშინიოვი, მოლდოვა | 92,93,94,95,96 | (5) |

(10!) - ამ გუნდებს პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამო წლები გაუცდათ

# გამოსათხოვარი და საიუბილეო მეასე გოლი დავით მახარაძემაც გაიტანა!

ლანჩხუთი
19 მაისი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
100 (ტევადობა 22 000)

**გურია 3:7 მერანი**

0:1 ხუციშვილი (25), 0:2 ქორიძე (30), 0:3 ჯიშკარიანი (32), 1:3 მახარაძე (37პ), 2:3 ენუქიძე (39), 2:4 თოლორდავა (42), 2:5 ამბიძე (45), 2:6 დავითაშვილი (69), 3:6 დ. მახარაძე (71პ), 3:7 ამბიძე (90)
**გურია:** ნიკურაძე (რ. ჩხაიძე 46), სულაქველიძე, თ. ჩხაიძე (იმნაიშვილი 46), მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი, გულორდავა, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ლონღაძე 71), ბოლქვაძე
*სათადარიგონი:* ძოძუაშვილი, ბერძენიშვილი
**მერანი:** კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, კარიაული (ხარებავა 46), გელა ქორიძე (მელიქია 73), ჯიშკარიანი, თოლორდავა (ჭინჭარაული 46), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ლომაია, ბაჯელიძე, დ. ჭელიძე, ბერაია
**გაფრთხილება:** კოროშინაძე (70)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ს. კახიანი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

ალბათ გახსოვთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. მაშინ სეზონის ბოლოსთვის ბევრი პრიზი იყო დაწესებული. მათ შორის ერთ-ერთი იყო ავტორიტეტთა რისხვა. ეს პრიზი ერგებოდა გუნდს, რომელიც ჩემპიონატის ლიდერებთან ყველაზე მეტ ქულას დააგროვებდა.

საქართველოს დღევანდელ ჩემპიონატში ასეთ გუნდად უდავოდ „მერანი“ უნდა მივიჩნიოთ. მეტიც, განსაკუთრებით შინ, „სინათლეზე“ ავჭალელებმა ლამის ყველა ძლიერი გუნდი დააჩოქეს, როგორც წინა ტურში „დინამოს“ მდევარი „ტორპედო“ და ახლა ეს რისხვა დაბეჩავებულ გურულებსაც დაატეხეს თავს.

ამ სეზონში გუშინდელი მეტოქენი ერთმანეთს პირველად ხვდებოდნენ, რადგან პირველ წრეში „გურია“ თბილისს არ ეწვია და აბა, რა იქნებოდა.

ჰოდა, დიდი ხნის უნახავებს, ეტყობა, ერთმანეთის კარის დალაშქვრა ერთობ მოენატრათ და სტადიონზე მოსულმა ასიოდე ქომაგმა ერთბაშად ათი გოლი იხილა.

ეს ტური, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანი იქნება ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში. გუშინწინ ხომ „ბათუმმა“ ცხრაჯერ გაუტანა ოდიშართ, ამას ლანჩხუთური ათიც დავუმატოთ და რა გამოდის? მარტო ორ მატჩში 19 გოლი. ვერაფერს ვიტყვით, შესაშური შედეგიანობაა...

იქნებ იფიქროთ, ამათ მოტივაცია სულაც არ ჰქონდათო. არა, მართლაც ასე იყო, მაგრამ სტუმარ-მასპინძელმა გუშინ ერთობ გახსნილი, შემტევი ფეხბურთი ითამაშეს. ამიტომაც ამდენი გოლის ხილვა სულაც არ არის გასაკვირი. ის კი არა, კიდევ შეიძლებოდა ერთი ამდენი გასულიყო.

საწყისი წუთები მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით კი აღინიშნა, მაგრამ კარში ვერც ერთი დარტყმა ვერ ვიხილეთ. აი, 25-ე წუთიდან დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: გოლები სულ პანტა-პუნტით გადიოდა.

ამას საფუძველი მიხეილ ხუციშვილმა დაუდო და ტაიმის ბოლოსთვის ბაზვა ამბიძემ დაასრულა. ამ ოცწუთიან მონაკვეთში შვიდი გოლი დაგროვდა. იტყვით, ან სტუმარს, ანაც მასპინძელს მეტი რაღაში სჭირდებოდათო, მაგრამ სჭირდებოდა „გურიას“ ერთ-ერთ ფეხბურთელს, დიახ, ალბათ მიხვდით, იგი დავით მახარაძე იყო, რომელსაც ამ მატჩამდე ჩემპიონატების ისტორიაში 98 გოლი გაეტანა. პირველ ტაიმში იმდენი ბურთი გავიდა, ერთი მატჩისთვის საკმარისი იქნებოდა, მაგრამ დავით მახარაძემ პირველ ტაიმში არბიტრ მეშკოვს პენალტი რომ დასტყუა, მეორეში სანუკვარი მეასეს გატანაც შეძლო. თუმცა მანამდე იმდენი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ბევრს ხელიც ჩააქნევინა, მახარაძე დღეს მეტის გამტანი აღარ არისო. გამოცდილმა მეგოლემ მაინც თავისას მიაღწია, როცა კოროშინაძეს თავი მოაცელინა, ყვითელი ბარათიც მიაღებინა და მერე თერთმეტმეტრიანი ზუსტად დაურტყა.

ამ მატჩის მთელი ინტრიგა მახარაძის გაასიანებაში იყო. ისე, დანარჩენი გოლები, ცხადია, უფრო მოხდენილი გამოდგა, განსაკუთრებით კი ბოლო — ბაზვა ამბიძისა. „გურიასთვის“ ეს მარცხი ბოლო იყო საშინაო მატჩებში. მას პირველ ჯგუფთან გამოსათხოვარი ერთი სასტუმრო თამაშიც დარჩა. ლანჩხუთელები მეორე ჯგუფში დაქვეითდნენ და ძლიერთა ამა ქვეყნისა სულ მცირე, ორი წლით დაშორდნენ, რადგან ახალი, მეთერთმეტე ჩემპიონატის დებულებით, სეზონის ბოლოს ვერავინ აღზევდება...

# ბურკაძე სამგურალის კოზირი?


გაიდო კეთილაძის ფოტო

რევაზ ბურკაძე

დღეიდან წყალტუბოს „სამგურალს“ ახალი თავკაცი გაწვრთნის. თასის ფინალისტებს 26 მაისისთვის და ალბათ მომავალი სეზონისთვისაც რევაზ ბურკაძე მოამზადებს.

ეს ამბავი გუშინ გაცხადდა. ბურკაძე წყალტუბოს მერს მირზა ქორქაშვილს შეხვდა და მწვრთნელი და მერი თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

რევაზ ბურკაძეს საქართველოს ჩემპიონატში აქამდე მხოლოდ ქუთაისის „ტორპედო“ გაუწვრთნია და ამ გუნდისთვის ორგზის ბრინჯაოს მედლები მოუტანია. მერე კი უცხოეთში იყო გადახვეწილი და საქართველოს ამ ზამთარს დაუბრუნდა — ასეთ წინადადებას, აგერ, აქამდე, ელოდა და, ცხადია, წყალტუბოელთა მიპატიჟება მიიღო.

კარგა ხანია, ბურკაძეს საქართველოში აღარ უმუშავია და მისი პირველი გამოცდა მეტად რთულ მატჩში, მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოსთან“ თასის ფინალში შედგება.

ქუთაისელთა დღევანდელი მოთამაშეების უმეტესობა „ტორპედოში“ სწორედ ბურკაძის მწვრთნელობისასაა ფეხადგმული, ასე რომ, „სამგურალმა“ საფინალოდ დიდი კოზირი შეიმატა — მეტოქის საიდუმლოებათა კარგად მცოდნე მწვრთნელი.

რევაზ ბურკაძეს წყალტუბოში ნიადაგიც ჩინებული დახვდა — გაიოზ დარსაძის მომზადებული „სამგურალი“ ხომ წლეულს ისე თამაშობს, როგორც არასდროს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# გამორჩეული სამეულის ჰეგემონია

## პრემიერლიგის მორიგი, ძალიან დაძაბული და ლამაზი გათამაშება დამთავრდა



ოლდ ტრეფორდი. 16 მაისი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეთორმეტედ გაჩემპიონებას ზეიმობს

რა შეიძლება ითქვას ბოლო პრემიერლიგურ სეზონზე? პირველ ყოვლისა, ალბათ, ის, რომ ყველაფერი სამართლიანად მოხდა. მთელი ცხრა თვის განმავლობაში პირველობისთვის ის სამი კლუბი იბრძოდა, რომლებიც დღევანდელი ინგლისური ფეხბურთის სახეს ქმნიან. „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“ და „ჩელსი“ აშკარად გამოირჩევიან სხვებისგან კლასითაც და გამოცდილებითაც. საბოლოოდ, შარშანდელმა ტრიუმფატორებმა „არსენალმა“ და „მანჩესტერმა“ როქი გააკეთეს, „ჩელსი“ კი მესამე ადგილით და ჩემპიონთა ლიგის საგზურით დაკმაყოფილდა.

სამეულის ბრძოლაში, ფაქტობრივად, ორმა გუნდმა ჩაჰყო ცხვირი. ბირმინგემის „ასტონ ვილა“ კარგა ხანს ედგა სატურნირო ცხრილს სათავეში, თითქმის მთელი პირველი წრე, მაგრამ ვერ გაძლო, მთელი ენერგია შარშან დახარჯა და საბოლოოდ მე-6 საფეხურზე აღმოჩნდა.

აი, ახალგაზრდული „ლიდს იუნაიტედი“ კი პირიქით, მეორე წრეში გამოცოცხლდა და ერთი პირობა ლიდერებს, განსაკუთრებით „ჩელსის“, გვარიანად უშალა ნერვები, მაგრამ სეზონის დასაწყისში დაკარგულმა ქულებმა და გუნდის წევრთა ძალიან მცირე საშუალო ასაკმა თავისი გაიტანა — დეივიდ ო'ლირის ბიჭები მეოთხე ადგილს და უეფას თასის საგზურს დაეპატრონნენ.

თვალშისაცემი იყო ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის, „ლივერპულის“ საშინელი თამაში. შარშან ლივერპულელები მესამეზე გავიდნენ, წლეულს კი ოთხი საფეხურით ქვევით დაიწიეს.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც შარშანდელი შედეგი შეინარჩუნა, „ნიუკასლ იუნაიტედი“ გახლავთ. რუდ გულიტის გაწვრთნილები კვლავაც მე-13 ადგილზე არიან. სხვათა შორის, გასული სეზონის მსგავსად, „ნიუკასლი“ ისევ გავიდა ასოციაციის თასის ფინალში. შარშან ჩემპიონ „არსენალთან“ დამარცხდა, წლეულსაც ჩემპიონს „მანჩესტერს“ ხვდება და რას იზამს, 22 მაისს გავიგებთ.

პრემიერლიგა დატოვეს 1995 წლის ინგლისის ჩემპიონმა „ბლექბერნ როვერსმა“, რომელიც შარშან მეექვსე გახლდათ და შარშანვე პრემიერლიგაში გადასულებმა — „ნოტინგემ ფორესტმა“ და „ჩარლტონ ატლეტიკმა.“

### მანჩესტერ იუნაიტედი



დაარსდა 1878 წელს
პროფესიონალური კლუბი გახდა 1885 წელს
ძველი სახელები: 1878-80 „ნიუტონ ჰისი LYR“, 1880-1902 „ნიუტონ ჰისი“
მისამართი: ოლდ ტრეფორდი, მანჩესტერი, M16ORA; ტელეფონი: (0161) 872 1661
სტადიონი: ოლდ ტრეფორდი (ტევ. 55387)
სარეკორდო დასწრება: 1920 წლის 27 დეკემბერს ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ — 70 504 მაყურებელი
მინდვრის ზომები: 116 იარდი X 76 იარდზე
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი, 1986 წლის ნოემბრიდან
ინგლისის ჩემპიონი: 1908, 1911, 1952, 1956, 1957, 1965, 1967, 1993, 1994, 1996, 1997, 1999 (12)
ასოციაციის თასი: 1909, 1948, 1963, 1977, 1983, 1985, 1990, 1994, 1996 (9) — ინგლისის რეკორდი
ლიგის თასი: 1992
დუბლი შეასრულა: 1994 და 1996 წლებში
ჩემპიონთა თასი: 1968
თასების მფლობელთა თასი: 1991
ყველაზე მეტი მატჩი: ბობი ჩარლტონი - 744
ყველაზე მეტი გოლი: ბობი ჩარლტონი - 247
ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში: ბობი ჩარლტონი (ინგლისი) — 106

### ავტობუსი



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველაზე ლამაზ, ვარდისფერ ხანად ლეგენდარული მატ ბასბის პერიოდი ითვლება. მართალია, ამ დიდებულ მწვრთნელს 1957 წელს მიუნხენის აეროპორტში მომხდარ ტრაგედიაში უნიჭიერესი თაობა დაეღუპა, მაგრამ მაინც: 1952-67 წლებში „მანჩესტერი“ ხუთჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხოლო 1968-ში კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — ჩემპიონთა თასი მოიგო.

დღეს მანჩესტერული მეორედ მოსვლაა. და ყველაფერ ამის თავიდათავი უდავოდ ერთი კაცი, შოტლანდიელი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი გახლავთ. თავად განსაჯეთ: ფერგიუსონის „მანჩესტერში“ მუშაობის 13 წლის განმავლობაში გუნდმა ხუთჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა, სამჯერ ასოციაციის თასი და თითოჯერ ლიგის და ევროპის თასების მფლობელთა თასი. სქოთს უახლოეს ერთ კვირაში ცხოვრებაშივე შეუძლია იქცეს ლეგენდად, ამისთვის „მანჩესტერმა“ ზეგ, შაბათს, ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლს“ უნდა სძლიოს, 26 მაისს კი ჩემპიონთა თასის ფინალში მიუნხენის „ბაიერნს“.

— ჩვენ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გვყავს და ბრწყინვალე სერ მატ ბასბის ეპოქის დაბრუნებას ვაპირებთ. „იუნაიტედი“ ავტობუსია, რომელიც არასდროს ჩერდება და ცდილობს, შემდეგი გაჩერება რაც შეიძლება ლამაზი იყოს — ამბობს კაცი, რომლის გუნდსაც წლეულს ერთი თამაშიც კი არ წაუგია.

ფერგიუსონის სასელექციო ნიჭი ხომ ცალკე თემაა. შევეშვათ წარსულს და მხოლოდ აწმყოზე ვთქვათ — სეზონის დასაწყისში მან სამი ფეხბურთელი შეიძინა. ჰოლანდიური „ეინდჰოვენიდან“ იაპ სტამი, რომელმაც „მანჩესტერის“ დაცვა შეუვალ კლდედ აქცია, „მილანიდან“ შვედი ნახევარმცველი იესპერ ბლომკვისტი, ვინც ღირსეულად ცვლის ხოლმე ტრავმებით გაწამებულ უელსელ გარემარბ რაიან გიგზს და ტრინიდადელი გოლეადორი დუაიტ იორკი, გუნდის სული და გული, მისი დამრტყმელი ძალა და სრულიად მანჩესტერის კერპი.

— ჩემთვის ალექს ფერგიუსონი მსოფლიოს უდიდესი ადამიანია. მე მიყვარს იგი, როგორც კაცი და უდიდეს პატივს ვცემ, როგორც მწვრთნელს. მალე ამ დიდ კლუბს დავტოვებ და ახლავე ვიცი — „იუნაიტედი“ და განსაკუთრებით ალექსი უზომოდ მომენატრებიან — ამბობს სეზონის ბოლოს კლუბიდან მიმავალი მეკარე პეტერ შმაიხელი თავის მასწავლებელზე, რომელიც ინგლისში წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

დავით კოვზირიძე

### სტატისტიკა

გასული სეზონის ყველაზე უხეში გუნდი ლივერპულის „ევერტონი“ გამოდგა, რომლის ფეხბურთელებმაც [illegible] ყვითელი და [illegible] წითელი ბარათი მიიღეს, რაც ჯამში 312 ქულა გამოდის (ინგლისში ყოველ ყვითელზე 3, ხოლო წითელზე 6 ქულა იწერება). მეორე და მესამე ადგილზე ამ მხრივ პრემიერლიგიდან გავარდნილები „ნოტინგემ ფორესტი“ (88+6=300) და „ბლექბერნ როვერსი“ (81+8=291) არიან. მათ ლონდონის „ჩელსი“ მოსდევს (88+4=288). ვიცე-ჩემპიონი „არსენალი“ მერვე ადგილზე აღმოჩნდა (65+7=237), ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეთექვსმეტეზე (58+3=192), ხოლო ყველაზე კორექტული გუნდი „ლესტერ სიტია“ (52+1=162).

სეზონის ყველაზე მკაცრი მსაჯი შეფილდელი იურაი რენი ყოფილა. მან 22 შეხვედრაში იმსაჯა, გააფრთხილა 105 ფეხბურთელი და 7 გააძევა. შემდეგ მოდიან მაიკ რიდი ბირმინგემიდან (23 მატჩი, 104 ყვითელი, 6 წითელი) და პირფორდელი გრემ ბარბერი (24, 106, 5). ყველაზე შემნდობი არბიტრი კი დევიდ ელერეია (17, 42, 3).

მაყურებელთა დასწრების მხრივ პირველი ჩემპიონია. „მანჩესტერის“ თამაშებს საშუალოდ 55 188 ქომაგი ესწრებოდა. მეორე „ლივერპულია“ — 43 321 მაყურებელი, ხოლო მესამე „არსენალი“ — 38 052. ბოლო ადგილზე „საუთჰემპტონი“ გავიდა, რომლის თამაშებსაც საშუალოდ 15 140 გულშემატკივარი ადევნებდა თვალს. ყველაზე მეტი მაყურებელი „მანჩესტერისა“ და „საუთჰემპტონის“ მატჩს დაესწრო — 55 316, ყველაზე ცოტა „უიმბლდონისა“ და „ქოვენთრის“ — 11 717.

პრემიერლიგაში მოთამაშე ერთადერთი ქართველის თემურ ქეცბაიას გუნდის „ნიუკასლ იუნაიტედის“ მაჩვენებლები ასეთია: „ნიუკასლი“ საკმაოდ კორექტული გუნდი გამოდგა, სეზონის განმავლობაში მისმა ფეხბურთელებმა 54 ყვითელი ბარათი, 4 წითელი და ჯამში 186 ქულა დააგროვეს. შედეგად რუდ გულიტის შეგირდები მე-17 ადგილზე აღმოჩნდნენ. მაყურებელთა დასწრების მხრივ „ნიუკასლი“ მეხუთეა (საშუალოდ 36 552 ქომაგი), თუმცა 1997-98 წლების სეზონთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,32 პროცენტით გაუარესდა. მთლიანად სეზონში გატანილი გოლებით ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ერთი ნიუკასლელი ალან შირერი ჩაერია. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა პრემიერლიგურ მატჩებში 14, ლიგის თასზე 1, ასოციაციის თასზე 5, თასების თასზე 1, ჯამში 21 გოლი გაიტანა და მხოლოდ სამ მოთამაშეს — მანჩესტერელებს დუაიტ იორკს (29), ენდი კოულს (24) და ლივერპულელ მაიკლ ოუენს (23 ჩამორჩა). მეხუთე ლიდსელი ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკია (20).

### პრემიერლიგის ბომბარდირები



**დუაიტ იორკი**

კლუბი - მანჩესტერ იუნაიტედი
პოზიცია - თავდასხმელი
დაბადების თარიღი - 1971 წლის 3 ნოემბერი
დაბადების ადგილი - კანაანი, ტობაგო
„მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა „ასტონ ვილადან“ 1998 წლის აგვისტოში. კლუბის ყველა დროის უძვირფასესი შენაძენია (12,6 მილიონი გირვანქა)
მთლიანად სეზონში ჯერჯერობით ყველაზე მეტი - 29 გოლი გაიტანა. აქედან 18 პრემიერლიგაში, 3 ასოციაციის თასზე, 8 ჩემპიონთა ლიგაზე



**ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი**

კლუბი - ლიდს იუნაიტედი
პოზიცია - თავდამსხმელი
დაბადების თარიღი - 1972 წლის 27 მარტი
დაბადების ადგილი - სურინამი
„ლიდსში“ პორტუგალიური „ბოავიშტადან“ გადავიდა 2 მილიონ გირვანქად 1997 წლის ივნისში
მთლიანად სეზონში გაიტანა 20 გოლი. 18 - პრემიერლიგაში, 1 - ლიგის თასზე, 1 - უეფას თასზე



**მაიკლ ოუენი**

კლუბი - ლივერპული
პოზიცია - თავდამსხმელი
დაბადების თარიღი - 1979 წლის 14 დეკემბერი
დაბადების ადგილი - ჩესტერი
„ლივერპულში“ გადავიდა 1996 წლის დეკემბერში ამ გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობიდან
მთლიანად სეზონში გაიტანა 23 გოლი. 18 - პრემიერლიგაში, 1 - ლიგის თასზე, 2 - ასოციაციის თასზე, 2 - უეფას თასზე. სეზონის ბოლო ნაწილი, დაახლოებით 2 თვე ტრავმის გამო გამოტოვა

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მანჩესტერი (2) | | 1:1 | 1:1 | 3:2 | 4:1 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 2:3 | 2:2 | 2:1 | 3:0 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 5:1 | 2:1 | 4:1 | 3:2 | 3:0 | 38 | 22 | 13 | 3 | 80:37 | 79 | 14 | 4 | 1 | 45:18 | 46 | 8 | 9 | 2 | 35:19 | 33 |
| 2. | არსენალი (1) | 3:0 | | 1:0 | 3:1 | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 5:0 | 0:0 | 3:0 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 5:1 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 38 | 22 | 12 | 4 | 59:17 | 78 | 14 | 5 | 0 | 34:5 | 47 | 8 | 7 | 4 | 25:12 | 31 |
| 3. | ჩელსი (4) | 0:0 | 0:0 | | 1:0 | 0:1 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 2:0 | 2:2 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 2:1 | 38 | 20 | 15 | 3 | 57:30 | 75 | 12 | 6 | 1 | 29:13 | 40 | 8 | 9 | 2 | 28:17 | 33 |
| 4. | ლიდსი (5) | 1:1 | 1:0 | 0:0 | | 4:0 | 0:0 | 0:0 | 4:1 | 2:0 | 0:1 | 2:0 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 2:0 | 2:2 | 3:0 | 4:1 | 1:0 | 3:1 | 38 | 18 | 13 | 7 | 62:34 | 67 | 12 | 5 | 2 | 32:9 | 41 | 6 | 8 | 5 | 30:25 | 26 |
| 5. | ვესტ ჰემი (8) | 0:0 | 0:4 | 1:1 | 1:5 | | 0:0 | 2:1 | 5:1 | 4:0 | 3:2 | 2:1 | 0:4 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 3:4 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 2:1 | 38 | 16 | 9 | 13 | 46:53 | 57 | 11 | 3 | 5 | 32:26 | 36 | 5 | 6 | 8 | 14:27 | 21 |
| 6. | ასტონ ვილა (7) | 1:1 | 3:2 | 0:3 | 1:2 | 0:0 | | 2:4 | 1:0 | 3:1 | 1:1 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 3:0 | 1:4 | 2:0 | 3:0 | 3:4 | 1:3 | 2:0 | 38 | 15 | 10 | 13 | 51:46 | 55 | 10 | 3 | 6 | 33:28 | 33 | 5 | 7 | 7 | 18:18 | 22 |
| 7. | ლივერპული (3) | 2:2 | 0:0 | 1:1 | 1:3 | 2:2 | 0:1 | | 1:2 | 3:1 | 0:1 | 3:2 | 2:0 | 4:2 | 3:2 | 2:0 | 3:0 | 7:1 | 3:3 | 2:0 | 5:1 | 38 | 15 | 9 | 14 | 68:49 | 54 | 10 | 5 | 4 | 44:24 | 35 | 5 | 4 | 10 | 24:25 | 19 |
| 8. | დერბი (9) | 1:1 | 0:0 | 2:2 | 2:2 | 0:2 | 2:1 | 3:2 | | 2:1 | 2:0 | 0:1 | 1:0 | 3:4 | 2:1 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 1:0 | 38 | 13 | 13 | 12 | 40:45 | 52 | 8 | 7 | 4 | 22:19 | 31 | 5 | 6 | 8 | 18:26 | 21 |
| 9. | მიდლსბრო (-) | 0:1 | 1:6 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 1:3 | 1:1 | | 0:0 | 0:0 | 4:0 | 2:2 | 2:2 | 2:0 | 3:1 | 3:0 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 38 | 12 | 15 | 11 | 48:54 | 51 | 7 | 9 | 3 | 25:18 | 30 | 5 | 6 | 8 | 23:36 | 21 |
| 10. | ლესტერი (10) | 2:6 | 1:1 | 2:4 | 1:2 | 0:0 | 2:2 | 1:0 | 1:2 | 0:1 | | 2:1 | 0:2 | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 1:1 | 3:1 | 38 | 12 | 13 | 13 | 40:46 | 49 | 7 | 6 | 6 | 25:25 | 27 | 5 | 7 | 7 | 15:21 | 22 |
| 11. | ტოტენჰემი (14) | 2:2 | 1:3 | 2:2 | 3:3 | 1:2 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 0:3 | 0:2 | | 0:3 | 2:0 | 4:1 | 0:0 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 2:1 | 2:0 | 38 | 11 | 14 | 13 | 47:50 | 47 | 7 | 7 | 5 | 28:26 | 28 | 4 | 7 | 8 | 19:24 | 19 |
| 12. | შეფილდი (16) | 3:1 | 1:0 | 0:0 | 0:2 | 0:1 | 0:1 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 0:1 | 0:0 | | 1:1 | 0:0 | 1:2 | 1:2 | 0:0 | 3:0 | 3:0 | 3:2 | 38 | 13 | 7 | 18 | 41:42 | 46 | 7 | 5 | 7 | 20:15 | 26 | 6 | 2 | 11 | 21:27 | 20 |
| 13. | ნიუკასლი (13) | 1:2 | 1:1 | 0:1 | 0:3 | 0:3 | 2:1 | 1:4 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 1:3 | 4:1 | 3:1 | 4:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 38 | 11 | 13 | 14 | 48:54 | 46 | 7 | 6 | 6 | 26:25 | 27 | 4 | 7 | 8 | 22:29 | 19 |
| 14. | ევერტონი (17) | 1:4 | 0:2 | 0:0 | 0:0 | 6:0 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 5:0 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 1:0 | | 2:0 | 1:1 | 1:0 | 4:1 | 0:0 | 0:1 | 38 | 11 | 10 | 17 | 42:47 | 43 | 6 | 8 | 5 | 22:12 | 26 | 5 | 2 | 12 | 20:35 | 17 |
| 15. | ქოვენთრი (11) | 0:1 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 0:0 | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 1:5 | 3:0 | | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 4:0 | 38 | 11 | 9 | 18 | 39:51 | 42 | 8 | 6 | 5 | 26:21 | 30 | 3 | 3 | 13 | 13:30 | 12 |
| 16. | უიმბლდონი (15) | 1:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 2:2 | 0:1 | 3:1 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 2:1 | | 0:2 | 2:1 | 1:1 | 1:3 | 38 | 10 | 12 | 16 | 40:63 | 42 | 7 | 7 | 5 | 22:21 | 28 | 3 | 5 | 11 | 18:42 | 14 |
| 17. | საუთჰემპტონი (12) | 0:3 | 0:0 | 0:2 | 3:0 | 1:0 | 1:4 | 1:2 | 0:1 | 3:3 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 3:1 | | 3:1 | 3:3 | 1:2 | 38 | 11 | 8 | 19 | 37:64 | 41 | 9 | 4 | 6 | 29:26 | 31 | 2 | 4 | 13 | 8:38 | 10 |
| 18. | ჩარლტონი (-) | 0:1 | 0:1 | 0:1 | 1:1 | 4:2 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 1:1 | 0:0 | 1:4 | 0:1 | 2:2 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 0:5 | | 0:0 | 0:0 | 38 | 8 | 12 | 18 | 41:56 | 36 | 4 | 7 | 8 | 20:20 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:36 | 17 |
| 19. | ბლექბერნი (6) | 0:0 | 1:2 | 3:4 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 1:3 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 3:1 | 0:0 | 1:2 | 0:2 | 3:1 | 0:2 | 1:0 | | 1:2 | 38 | 7 | 14 | 17 | 38:52 | 35 | 6 | 5 | 8 | 21:24 | 23 | 1 | 9 | 9 | 17:28 | 12 |
| 20. | ნოტინგემი (-) | 1:8 | 0:1 | 1:3 | 1:1 | 0:0 | 2:2 | 2:2 | 2:2 | 1:2 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 1:2 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 0:1 | 2:2 | | 38 | 7 | 9 | 22 | 35:69 | 30 | 3 | 7 | 9 | 18:31 | 16 | 4 | 2 | 13 | 17:38 | 14 |

გამოქვეყნდა ფიფა/კოკა-კოლას მორიგი რეიტინგი, რომელშიც განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა. თვალშისაცემი მხოლოდ შოტლანდიის (21-ე ადგილი 7 საფეხურით ზევით) და ირლანდიის (38-ე ადგილი 6 საფეხურით ზევით) ნაკრებების პროგრესია. ლიდერთა თანმიმდევრობა უცვლელი დარჩა, ისევე, როგორც საქართველოს ნაკრების ადგილი. ჩვენი ეროვნული გუნდი აპრილის რეიტინგის მსგავსად კვლავ 56-ეა. ფიფა/კოკა-კოლას შემდეგი რეიტინგი 16 ივნისს გამოქვეყნდება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 817 | 31 | კოლუმბია | 586 |
| 2 | საფრანგეთი | 785 | 32 | ისრაელი | 583 |
| 3 | გერმანია | 742 | 33 | რუსეთი | 568 |
| 4 | იტალია | 740 | 34 | კორეა | 566 |
| 5 | ჩეხეთი | 736 | 35 | ეგვიპტე | 565 |
| 6 | ხორვატია | 730 | 36 | ზამბია | 564 |
| 7 | არგენტინა | 729 | 37 | საბერძნეთი | 562 |
| 8 | ესპანეთი | 724 | 38 | ირლანდია | 557 |
| 9 | ჰოლანდია | 703 | | საუდის არაბეთი | 557 |
| 10 | რუმინეთი | 701 | 40 | იამაიკა | 555 |
| 11 | ინგლისი | 695 | 41 | იაპონია | 550 |
| 12 | ნორვეგია | 690 | 42 | კამერუნი | 540 |
| 13 | მექსიკა | 679 | | უნგრეთი | 540 |
| 14 | შვედეთი | 673 | | თურქეთი | 540 |
| 15 | პორტუგალია | 670 | 45 | განა | 538 |
| 16 | იუგოსლავია | 647 | | კოტ დივუარი | 538 |
| 17 | ავსტრია | 642 | 47 | ირანი | 530 |
| 18 | დანია | 634 | 48 | ისლანდია | 525 |
| 19 | მაროკო | 631 | 49 | ქუვეითი | 517 |
| 20 | პარაგვაი | 614 | 50 | ბოლივია | 515 |
| 21 | შოტლანდია | 603 | | შვეიცარია | 515 |
| | უკრაინა | 603 | 52 | ლიტვა | 510 |
| 23 | ჩილე | 600 | 53 | ჩინეთი | 507 |
| 24 | ს აფრიკა | 596 | 54 | ავსტრალია | 505 |
| | აშშ | 596 | 55 | ეკვადორი | 503 |
| | სლოვაკეთი | 596 | 56 | საქართველო | 501 |
| 27 | ბელგია | 593 | | ფინეთი | 501 |
| 28 | ტუნისი | 591 | 58 | კონგო | 498 |
| 29 | პოლონეთი | 590 | 59 | ანგოლა | 497 |
| 30 | ბულგარეთი | 589 | 60 | საამიროები | 496 |

# ყველა გზა რომში კი არა, პერუჯაში მიდის


ლუჩანო გაუჩი

იტალიური კლუბის — „პერუჯას“ პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი „მილანის“ თავკაც ალბერტო ძაკერონის ემუქრება. როგორც იცით, მილანელები სერია A-ს ლიდერობენ, მდევარ „ლაციოს“ ქულით უსწრებენ და ბოლო ტურში სტუმრად „პერუჯას“ დამარცხების შემთხვევაში ორწლიანი მძიმე კრიზისის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონები გახდებიან. ამის სურვილი მილანში ძალიან დიდია და ყველა დარწმუნებულია, რომ ძაკერონის ბიჭები აუცილებლად გაიმარჯვებენ, მაგრამ აქ მეორე მხარეც არის — თუ ასე მოხდება და „სალერნიტანა“ სტუმრად „პიაჩენცას“ სძლევს, მაშინ „პერუჯას“ სერია B-ში გადანაცვლება მოუწევს, რაც, ბუნებრივია, სინიორ გაუჩის ხელს ნაღდად არ აძლევს. ამიტომ:

— კვირის მატჩი ძაკერონის გუნდისთვის პარკში გასეირნება არ იქნება და თუ „მილანის“ ფეხბურთელებს ასე ჰგონიათ, მინდა იცოდნენ, რომ საშინლად ცდებიან. წინა ტურში, როცა სტუმრად „უდინეზეს“ მოვუგეთ, ყველამ დაინახა ჩვენი ძალა, „პერუჯას“ ნებისმიერი დონის მეტოქის ძლევა ძალუძს, მით უმეტეს შინ, ერთგული ქომაგებით გადაჭედილ სტადიონზე — უთხრა გაუჩიმ გაზეთ „გაძეტა დელო სპორტს“ და დაამატა — „პერუჯა“ რომ სერია A-ში დარჩეს, „ლაციო“ ჩემპიონი გახდება. ეს ამბავი ორმაგად გასახარი იქნება, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ ადგილს შევინარჩუნებთ და იმიტომაც, რომ იტალიის ჩემპიონი გახდება გუნდი, რომელიც „მილანთან“ შედარებით უფრო იმსახურებს ამას. მინდა, ახლავე ვუთხრა რომაელთა პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის, მშვიდად იყოს.

„ლაციო“ ბოლო ტურში იტალიის და უეფას თასის მფლობელ „პარმას“ უმასპინძლებს, რომელსაც არანაირი მოტივაცია აღარ გააჩნია, თავი ქუდში, უფრო სწორად, ჩემპიონთა ლიგაში აქვს და ძნელი წარმოსადგენია, რომაელებს ბრძოლა გაუმართოს.

სხვათა შორის, იმაში, რომ „პერუჯასთან“ „მილანს“ უმძიმესი მატჩი ელის, მილანელთა და იტალიის ეროვნული გუნდის ვეტერანი მცველი ალესანდრო კოსტაკურტაც დარწმუნებულია. იგი ამბობს:

— „პერუჯა“ მშვენიერი გუნდია და როდესაც ხალხი ამბობს, რომ „მილანმა“ უკვე დაისაკუთრა „სკუდეტო“, თან მეცინება და თანაც უზომოდ ვნერვიულობ.

**ნოდარ ძასრაძე**

**იყიდება**
**თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა,**
3 მილიმეტრიანი
*ტელეფონი: 95-22-56 (სანდრო) 95-05-57 (მალხაზი)*
*(საღამოს საათებში)*

# სამი საშაბათო ამბავი


იაპ სტამი (მარჯვნივ) და დუაიტ იორკი

## სტამი და მისი ქუსლი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი შაბათამდე დაიცდის და დილით გადაწყვეტს ათამაშოს თუ არა ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში ჰოლანდიელი ცენტრალური მცველი იაპ სტამი. მოგეხსენებათ, 16,22 მილიონ დოლარიანი შენაძენი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აქილევსის ნატკენ მყესს ელოლიავებოდა და სწორედ ამ მიზეზით გამოტოვა პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩი „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“. არადა ეს მატჩი იქნებ უმთავრესიც კი იყო — იმ დღეს „იუნაიტედმა“ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ახლა კი საქმე საჭოჭმანოა. ფერგიუსონმა რომ გარისკოს და სტამი „ნიუკასლის“ წინააღმდეგ (ზემოხსენებულ ფინალში) ათამაშოს, შეიძლება ჰოლანდიელს ტრავმა გაუმიზეზდეს და მომავალ ოთხშაბათს, ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ მატჩში მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ ველარ შეძლოს მოედანზე გასვლა.

„ასეთი ყოყმანის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა მინდვრის ხარისხს ენიჭება“ — ამბობს ფერგიუსონი — „მინდორი „უემბლიზე“ დიდებულია, ასე რომ იქნებ ვათამაშოთ კიდეც იაპი, თუმცა თავად მასზეა ბევრი რამ დამოკიდებული. ერთში კი შემიძლია დაგარწმუნოთ, დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთს სტამი უეჭველად ჩაატარებს“.

თავად სტამი ასე მსჯელობს: „ჯერ კიდევ ორი დღე გვაქვს და ამ ორი დღის განმავლობაში ექიმები თავიანთ საქმეს განაგრძობენ. ბუნებრივია მსუბუქად წავივარჯიშებ კიდეც. ამ ვარჯიშებზეც გამოჩნდება რამდენად დაამებული მაქვს აქილევსის მყესი. ცხადია ნებისმიერ მოთამაშეს მატჩის გამოტოვება არასდროს უნდა, მაგრამ ხანდახან თავს ზევით ძალა არ არის. თავად განსაჯეთ, მთელი სეზონი მუხლჩაუხრელად ვშრომობდი და მაინც და მაინც ის შეხვედრა გამოვტოვე, რომელშიც ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ“.

## შირერი ობიექტურია და იმედიანი

ალან შირერმა, რომელიც შაბათს „ნიუკასლ იუნაიტედს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დასალაშქრად წაუძღვება, ამასწინათ, წლის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელების დროს (ინგლისში ფეხბურთელების გამოკითხვა ცალკეა), დუაიტ იორკს მისცა ხმა. რას ნიშნავს ეს, კაპიტულაციას? არა, შირერის აზრით „ნიუკასლს“ თასის მოპოვების შანსი აქვს და თანაც, საკმაოდ კარგი, მაგრამ იორკი, რომ ჩინებული ფეხბურთელია...

„მე თუ მკითხავთ იორკი საოცარი მოთამაშეა, მრავალმხრივი, განა მხოლოდ ბომბარდირი. აღფრთოვანებული ვარ როგორ მუშაობს მატჩის განმავლობაში და როგორ ერგება ყველა სიტუაციას“.


ალან შირერი

შირერის მხარდაჭერა იორკისთვის ბევრს ნიშნავს და ვინ იცის, იქნებ უქარვებს კიდეც წყენას, ტოტენჰემელ ფრანგთან, დავიდ ჟინოლასთან ჩამორჩენის გამო რომ შემოყრია. როგორც ფეხბურთელთა, ასევე ჟურნალისტთა ვერსიით წლის საუკეთესო ხომ ჟინოლა გახდა.

მაგრამ, ვიმეორებთ, ფინალი ფინალია და იქ, „უემბლიზე“, შირერი იორკისა და მისი ძლევამოსილი გუნდისთვის არაფრის დათმობას აპირებს. კიდევ, შირერს კარგად ახსოვს გასული გათამაშება და „არსენალთან“ წაგებული ფინალი?

„შარშან, თასით ხელში ტონი ადამსი რომ დავინახე, კინაღამ ცუდად გავხდი. დაზაფრული და დათრგუნული ვიყავი. იმ გრძნობის განმეორება აღარ მსურს. შაბათს „უემბლიზე“ მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებ და გული მიგრძნობს, თასი ჩვენ დაგვრჩება. ვიცი, რომ ყველა „მანჩესტერის“ გამარჯვებას ელის, მაგრამ ამან შეიძლება ჩვენს სასარგებლოდაც კი ითამაშოს როლი. „იუნაიტედმა“ დაამტკიცა, რომ პრემიერლიგაში უძლიერესია, ოღონდ ისიც ხომ ცნობილია, რომ ერთ თამაშში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენს გუნდში ჩინებული განწყობაა. მე ყოველთვის ვამბობ, რომ გამარჯვებული ერთია, ფინალისტობა კი ბევრს არაფერს ნიშნავს“ — მსჯელობს შირერი, რომელსაც გულს, თურმე, „იუნაიტედის“ მწვრთნელის, ალექს ფერგიუსონის სიტყვებიც უმაგრებს — „ალექსი თავად ამბობს, რომ მის გუნდში ჩვეულებრივი ადამიანები თამაშობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი დამარცხება სავსებით შესაძლებელია, მთავარია გასაღები მოუძებნო“.

## სქოულზი, უემბლი და ჰეთ-თრიკი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი პოლ სქოულზი „უემბლის“ მოედანს, ბოლოს, თავაწეული ტოვებდა. ეს იყო მარტში, როდესაც მან ეროვნული გუნდის შემადგენლობაში პოლონეთის ნაკრებს სამი გოლი გაუტანა.



პოლ სქოულზი

ახლა, შაბათს, სქოულზი ერთხელაც გაინავარდებს „უემბლის“ მინდორზე და იმედოვნებს, რომ კვლავ გამარჯვებული დაბრუნდება გასახდელში, ფეხბურთის ასოციაციის თასით ხელში. და თუ ასე მოხდა, პოლს იქნებ დაავიწყდეს კიდეც (თუმცა საეჭვოა) ის, რომ მომავალ ოთხშაბათს, ჩემპიონთა თასის ფინალში ვერ ითამაშებს, რადგან დისკვალიფიცირებულია.

„სადარდებლად ისიც მეყოფა ჩემპიონთა თასის ფინალში რომ ვერ ვითამაშებ. ამას ველარაფრით ვუშველი. სამაგიეროდ, „ნიუკასლ იუნაიტედის“ კარში მსურს სამი გოლის გატანა. თანაც ინგლისის ნაკრებში ხომ არ მაქვს ადგილი დაჯავშნული და მუდმივად კარგად თამაში მმართებს. ვიცი, რომ ჩვენგან ყველა გამარჯვებას ითხოვს, რაც, ვგონებ, ოდნავ გადამეტებულია, თუმცა მოედანზე იმ განწყობით გავალთ, რომ თასი უნდა მოვიპოვოთ“. — ამბობს სქოულზი, რომელიც ეროვნულ გუნდში პარტნიორს, ალან შირერსაც დიდ პატივს მიაგებს — „ყველამ იცის, რომ შირერი დიდი ფეხბურთელია. ზოგი ამბობს ძველებურად ველარ თამაშობსო, მაგრამ ეს ტყუილია, დაითვალეთ მისი გოლები და თავად დარწმუნდებით. კიდევ, დანკან ფერგიუსონს უნდა ვუფრთხილდეთ, თუმცა საბოლოოდ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ ჩვენი სათამაშო გეგმა გვაქვს და ვიცით, რომ უნდა გავიმარჯვოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA Cup Winners' Cup

# გამომშვიდობება თასების მფლობელთა თასთან

## ჯილდო, რომელიც ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია, თბილისის „დინამომ“ 1981 წელს საქართველოში ჩამოიტანა

ფიორენტინა 1961
ატლეტიკო 1962
ტოტენჰემი 1963
სპორტინგი 1964
ვესტ ჰემი 1965
დორტმუნდი 1966
ბაიერნი 1967
მილანი 1968, 1973
სლოვანი 1969
მანჩესტერ სიტი 1970
ჩელსი 1971, 1998
რეინჯერსი 1972



ლაციო 1999
პსჟ 1996
სარაგოსა 1995
არსენალი 1994
პარმა 1993
ვერდერი 1992
მანჩესტერ იუნ. 1991
სამპდორია 1990
მეხელენი 1988
აიაქსი 1987
ევერტონი 1985
იუვენტუსი 1984

UEFA Cup Winners' Cup

მაგდებურგი 1974
დინამო კიევი 1975, 1986
ანდერლეხტი 1976, 1978
ჰამბურგი 1977
ბარსელონა 1979, 1982, 1989, 1997
ვალენსია 1980
დინამო თბილისი 1981
აბერდინი 1983

UEFA Cup Winners' Cup

# მიდი, პაველ, მიდი, მალე!..

## თასების თასის ფინალი

ბირმინგემი
19 მაისი
23.45 საათი
ვილა პარკი
33 021 მაყურებელი

**მალიორკა 1:2 ლაციო**

0:1 ვიერი (7), 1:1 დანი (11), 1:2 ნედვედი (81)
**მალიორკა:** როა, სოლერი, სივიერო, მარსელინიო, დანი, იბაგასა, ი. სტანკოვიჩი, ლორენი, ოლაისოლა, ბიაჯინი (პაუნოვიჩი 73), ენგონგა
**ლაციო:** მარკეჯანი, ფავალი, სალასი, მანჩინი (კოუტუ 90), მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, ნედვედი (ლომბარდო 84), დ. სტანკოვიჩი (კონსეისაო 56), ალმეიდა, ვიერი
**გაფრთხილება:** მიხაილოვიჩი, ვიერი, სივიერო, მარკეჯანი
**მსაჯი:** გიუნტერ ბენკოე (ავსტრია)

ზურაბ მექველია
ბირმინგემიდან



დასაწყისი პირველ გვერდზე

ქალაქი დილიდანვე გაწითლდა და გაცისფრდა. თუმცა კომუნისტებთან და მამათმავლებთან ამჯერად ამ ფერებს საერთო არაფერი ჰქონდა. ჩემთვის მოულოდნელად, წითლები ანუ პალმის მზით გარუჯული მალიორკელები აშკარად მეტნი იყვნენ. თუმცა უპირატესობის ცუდად გამოყენება არავის უცდია. პირიქით — ასეთი მეგობრული ვითარება ბოლოს ამავე ქალაქში სამი წლის წინ მინახავს ჰოლანდია — შოტლანდიის ევრო 96-ის მატჩის წინ. თითქმის მთელი ცენტრალური ბირმინგემი ჩაერთო საერთო-სახალხო ზეიმში: ესპანელები, იტალიელები, ინგლისელები, პაკისტანელები (რომელთა რაოდენობა ამ ქალაქში ალბათ ოდნავ ჩამოუვარდება ყარაჩის მოსახლეობას) და რა ვიცი, კიდევ ვინ, 5 საათამდე ბირმინგემის ისედაც ულამაზეს ცენტრალურ ნაწილს ათასგვარი ლალობით ართობდა. მერე კი „ვილა პარკზე“ წასვლის დროც მოვიდა.

სხვათა შორის, ამათი ზეიმის შემხედვარეს კინალამ პრესცენტრში დამაგვიანდა. იქ კი, მოულოდნელად, ყველა ჟურნალისტს ფირმა „ნისანის“ უახლესი მოდელი ჩამოგვირიგეს. ერთი შეხედვით, მართლაც კარგი მანქანა ჩანს.

გულშემატკივართა რაოდენობა თითქმის თანაბარი გამოდგა. რომაელებს, ალბათ სხვა ქალაქით, მით უმეტეს, ბირმინგემით, ვერ გააკვირვებ და ამიტომაც იყო დედოფალ ვიქტორიას მოედანი უფრო წითელი, ვიდრე ცისფერი. მეგობრობა და ჩახუტებაც ზუსტად ტრიბუნამდე გაჰყვათ ქომაგებს, იქ კი მეტოქის ფეხბურთელებს კარგა გვარიანი უსტვინეს. ხმაური ისეთი იყო, მატჩისწინა მელოდია, რომლითაც „ვილა პარკი“ ფეხბურთელების გამოჩენას შეხვდა (მელოდია „ვარსკვლავეთის ომებიდან“), საერთოდ არ ისმოდა. არადა, თურმე ლონდონის სიმფონიური ორკესტრი ასრულებდა. რალა მე დამიკრავს და რალა მაგ პატივცემულ ხალხს.

... და დაიწყო. 46-ე წამი იყო, სალასმა პირველად რომ დაარტყა კარის მიმართულებით. ასეც გაგრძელდა. დაზვერვის, კონტრდაზვერვის და მისთანების ნასახიც არ იყო. ჰოდა, რა გასაკვირია, უკვე მე-11 წუთზე ისევ ფრე, ოღონდ 1:1 რომ იყო. ჯერ ვიერიმ შეახსენა დამსწრეთ, რომ თამაში ბრიტანეთში ტარდებოდა და ისეთი უთავა, ამ სტადიონის კერპს, დიონ დაბლინს შეშურდებოდა. თუმცა 4 წუთში მალიორკელმა სტანკოვიჩმა ჩაუქროლა პანკაროს და დანიმაც ბილიარდის ბურთის როლი იოლად შეასრულა.

არც ამის მერე შეცვლილა რამე. მოედნის ცენტრში ბალახი, სხვა მატჩებში თხუთმეტიოდე წუთში რომ გადაიცოხნებოდა, ამჯერად ძველებურად ბიბინებდა. ამის მიზეზი ალბათ ორივე გუნდის საყრდენი ნახევარმცველების უჩვეულო პასიურობა იყო. აქეთ რომაელი არგენტინელი ალმეიდა შლიდა ხელებს და თავისიანებს დაწყნარებისკენ მოუწოდებდა, მეორე მხარეს კი მეტად ზანტი ზანგი ენგონგა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გუშინ ნამდვილად არ იყო ვეტერანი მანჩინის საუკეთესო დღე და ცხადი გახდება, ბურთი რისი გამოისობით დაქროდა ერთი საჯარიმოდან მეორისკენ. სხვა საქმეა, რა შინაარსით და შედეგით. მთლად ნაღდი შანსი ჰქონდაო, ვერც ერთ გუნდზე იტყოდით. მით უმეტეს, რომ ხეირიანად ვერც როას მუშტმოხვედრილი და თავშეხვეული (კიდევ ერთი ინგლისური ტრადიცია) ვიერი უმიზნებდა. ბოლო-ბოლო, ტაიმი 1:1 დამთავრდა.

არადა, როგორ არ მაძლევს ხელს ეს ანგარიში. — ეს სიტყვები არც სვენ გორან ერიკსონს ეკუთვნის და არც ეკტორ კუპერს. ეს თქვენი მონამორჩილის საწუხარი გახლდათ.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა. ერთი ეგ იყო, „მალიორკა“ უფრო დიდი ძალებით უტევდა, „ლაციო“ კი ისევ ვიერისა და მასზე ბევრად უკან დაწეული სალასის იმედზე იყო. ალბათ ამიტომაც, ყველაზე სახიფათო მომენტი პალმელებს ჰქონდათ 70-ე წუთზე, როცა მარკეჯანიმ ესპანელთა ყველაზე აქტიური ლაურენის (თურქი მესხივით მასაც განაცხადში ესპანელი კამერუნელი ეწერა) დარტყმული, სამწუხაროდ, ცხრიანიდან მოხსნა.

არადა, „ლაციო“ მორიგი გოლის გამტანი სულაც არ ჩანდა. ჩავრჩი ამ ბირმინგემში — ვფიქრობ და სარაგოსელ ნაიმს ვნატრობ, დაარტყამდა ცენტრიდან და მივასწრებდი ლონდონში მიმავალ ბოლო მატარებელსაც. და მაშინ, როცა თითქმის ყველამ გადაწყვიტა, თასების თასის გასვენება ცოტა კიდევ გაგრძელდებაო, პავლემ მიშველა მეც და უშველა თავის გუნდსაც. თუმცა, რასაც ახლა გეტყვით, მხოლოდ ჩვენ ვნახეთ, 33021-მა ადამიანმა და, თუ ხათრი გაქვთ, არავის უთხრათ — ქელეხის გამეორება ვის გაუგია. იმ მომენტში, როცა ბურთი პაველ ნედვედს მიუვიდა, მსაჯს მარჯვენა ხელი უკვე ალმართული ჰქონდა (თავს დავდებ, ვიერის დაჯარიმებას აპირებდა, დასაჯარიმებელი იყო კიდეც), მაგრამ ჩასტვენა ვერ მოასწრო და ნედვედმაც გაიტანა. მსაჯის მარჯვენა ისევ ალმართული დარჩა, ოღონდ წამში მოედნის ცენტრისკენ გადაიხარა...

თასი ნესტამ ჩაიბარა, მე კი წყნარად ვზივარ მატარებელში და „მიდი, პავლეს“ ვღიღინებ. მანქანა?! „ნისანის“ ის მოდელი (მართლაც მოდელი) ჩემს ჩანთაშია მოყუჩებული და, ალბათ, მეზობლის კოლექციონერ ბიჭს ვაჩუქებ...




81-ე წუთი. პაველ ნედვედს (№18) „მალიორკას“ კარში გამარჯვების გოლი გააქვს

REUTERS ბირმინგემიდან



REUTERS ბირმინგემიდან

„მალიორკას“ გუსტავო სივიერო „ლაციოს“ დეან სტანკოვიჩს (№20) ებრძვის

### მატჩის შემდეგ

*სვენ გორან ერიკსონი („ლაციოს“ მწვრთნელი):*

უზომოდ ბედნიერი ვარ. ეს „ლაციოს“ პირველი გამარჯვებაა ევროთასებზე, თანაც თასების თასის ბოლო გათამაშებაში. აწი ამ პრიზს ჩვენგან ველარავინ წაილებს.

თამაში კარგი გამოდგა. „მალიორკამაც“ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ჩემი ბიჭები შეუჩერებელნი იყვნენ.

შარშან უეფას თასის ფინალში დავმარცხდით „ინტერთან“ და მერე ევროპაში თამაში აღარ წაგვიგია. ესეც ჩვენს სიძლიერეზე მიანიშნებს. საერთოდ წლეულს კარგი სეზონი გვქონდა. იტალიის სუპერთასიც ხომ მოვიგეთ და ახლა შინაური ჩემპიონატის ბოლო მატჩში „პარმას“ დამარცხებას და ჩემპიონობის მოპოვებასაც შევეცდებით. დღევანდელი გამარჯვება ამისათვის კარგ წინაპირობას გვიქმნის.

*ეკტორ კუპერი („მალიორკას“ მწვრთნელი):*

ფინალი წაგებულია და ეს, ცხადია, საწყენია, მაგრამ ჩვენ დიდებულ გუნდთან დავმარცხდით. თანაც, დამერწმუნებით, იღბალი აშკარად არ გვწყალობდა. უიღბლოდ კი ევროთასის ფინალს არ იგებენ.

ჩემი ფეხბურთელები გულდაწყვეტილები არიან და დღეს არაფერს ვეტყვი. ხვალ კი დავსხდებით და ყველაფერს გავაანალიზებთ.

### მატჩის სტენოგრამა

7 წთ. პანკარომ საჯარიმოში გრძელი პასი ჩააწოდა ვიერის, რომელიც მალიორკელ მცველებზე მაღლა ახტა და თავით დაარტყა, კარიდან წინ გამოსულმა როამ ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ ვერ მოიგერია — 1:0.

11. „მალიორკამ“ სწრაფი კომბინაცია გაითამაშა. იოვან სტანკოვიჩი მარცხნიდან შევიდა საჯარიმოში და კარის გასწვრივ დაბალი ჩააწოდა, დანიმ ყველას დაასწრო და ერთი შეხებით ბურთი კარში გადაგზავნა — 1:1.

32. ვიერიმ შორიდან უძლიერესად დაარტყა, როამ ბურთი გაჭირვებით მოიგერია.

60. მიხაილოვიჩმა ჯარიმიდან მცირე მანძილით ააცილა მიზანს.

62. ლაურენს ჩაწოდებული აეჭრა და კარისკენ წავიდა, თუმცა მარკეჯანიმ ბურთის მოგერიება შეძლო.

70. ლაურენი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩა, მარკეჯანის მაღალ კუთხეშიც დაურტყა, მაგრამ მეკარემ ივარგა.

76. იოვან სტანკოვიჩმა ჩინებულად ითამაშა, საჯარიმოს მიახლოებულმა მეურვე ჩამოიშორა და დაარტყა, „ლაციო“ ნესტამ იხსნა, რომელმაც თავით ფაქტობრივად ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

81. ესპანელთა საჯარიმოს მისადგომებიდან ვიერის დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და იქვე კარისკენ ზურგით მდგომ პაველ ნედვედს მიუვიდა, მანაც შემობრუნებით ულამაზესი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2:1.

86. სალასი — ვიერის კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი და ოდნავ არაზუსტი დარტყმით დასრულდა.



თასების მფლობელთა თასი

XXXIX გათამაშება 1998-99 წლები

ლაციო

რომი, იტალია

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# ბოლო

თითქოს სიმბოლურია, უკანასკნელი გათამაშების ფინალში ისეთი გუნდები გავიდნენ, რომლებსაც ადრე ევროწარმატება არ ჰქონიათ და თუ „ლაციო" შეიძლება ბოლოდროინდელი ევროპული ფეხბურთის ელიტას მივაკუთვნოთ, „მალიორკას" „გამოხტომა" თასთა თასის ტურნირისათვის დამახასიათებელია.

ესპანურმა კლუბმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს, რომ ევროყურადღების ღირსია, თუმცა ზოგჯერ ისეც მომხდარა ხოლმე, რომ რომელიმე უცნობს თასების თასზე გამოუჩენია თავი და მერე კონტინენტის საუკეთესო გუნდი გამხდარა. ამისათვის „მალიორკას" ჯერ დიდი ბრძოლა მოუწევს.

ჩვენ კი მოსკოვის „ლოკომოტივზე" ვთქვათ, ბოლო ორი გათამაშების ნახევარფინალისტზე და ერთგვარად უცნაურ გუნდზე, რომელსაც რუსეთის პირობებშიც კი საკმაოდ საშუალო შემადგენლობა ჰყავს.

რუსეთში ხუმრობენ ხოლმე, ველარ გაგვირკვევია, გუნდი გადის ნახევარფინალში თუ სიომინიო. დიახ, მწვრთნელი იური სიომინი მთავარი ფიგურაა. ის „სპარტაკის" რომანცევის გზას დაადგა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ფეხბურთელების მოძებნა დაიწყო. გაუმართლა და დღეს რამდენიმე მათგანი საკმაოდ ნორმალურ ფეხბურთს თამაშობს. თუნდაც ჩვენი ზაზა ჯანაშია ავიღოთ, რომელიც „ლოკომოტივის" ნამდვილ ლიდერად იქცა. ცოტა ხნის წინ ჯანაშია „ერთ-ერთი მათგანი" იყო, მეტიც, უდისციპლინობისა და „არაგვში" ჩხუბისათვის ის კინაღამ გუნდიდან გაუშვეს, მაგრამ სიომინმა მაშინ მოითმინა და არც შემცდარა. ჯანაშია დღეს მოსკოვური გუნდის საუკეთესო მოთამაშეა. იგივე გარასი სიომინმა სადღაც უკრაინის დასავლეთში მოძებნა, ხოლო 19 წლის ბულიკინი მის შვილობილად მიაჩნიათ.

როგორი კაცია სიომინი? შარშან „ლოკომოტივის" ვეტერანმა არიფულინმა ინტერვიუში თქვა: „იური პავლოვიჩი? სუსტი ფსიქოლოგია. მისი განუწყვეტელი ყვირილი უკვე ძნელად ასატანი ხდება". სიომინს ამ კრიტიკისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ანდა ჩვენი რუსი კოლეგებისა არ იყოს, საერთოდ არაფერს კითხულობს. მაშინ როცა, რომანცევმა ხოხლოვს დღემდე ვერ აპატია ევრო 96-ის შემდეგ საჯაროდ გამოთქმული უკმაყოფილება.

როგორც ამბობენ, ბაკოვკაში (გუნდის ბაზაა) ყველაფერი რიგზეა. თუ ადრე „ლოკოს" მოთამაშეები „მოსკვიჩებით" დადიოდნენ, დღეს უძვირფასესი მანქანები ჰყავთ. თავად სიომინს ორი „მერსედესი" ჰყოლია, ხოლო ბულიკინი, რომელიც დანჯღრეული „ჟიგულით" მოძრაობდა, დებიუტიდან ერთი თვის თავზე გაზიმზიმებულ „ჯიპზე" გადასვეს. ასეა, სადაც ფულია, შედეგიც იქ უნდა ვეძებოთ.

თუმცა, ევროპაში „ლოკომოტივს" მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემენ და ეს მეოთხედფინალში „მაკაბისთან" პირველი მატჩის შემდეგაც გამოჩნდა. მოსკოველებმა 3:0 მოიგეს, მაგრამ ებრაელები იმედს მაინც არ კარგავდნენ, ასეთ გუნდთან შინ ოთხი ბურთის გატანაც შეიძლებაო — ამბობდნენ. იმ თამაშის გმირი ზაზა ჯანაშია გახდა. ებრაელთა მეკარე დავიდოვიჩმა სამივე ბურთი სწორედ მისი დარტყმების შემდეგ გამოიტანა კარის ბადიდან.

ჯანაშიამ ნახევარფინალშიც ივარგა. რომის „ლაციოსთან" პირველი მატჩის მე-60 წუთზე საკმაოდ უხერხული მდგომარეობიდან მოახერხა მეკარე მარკეჯანისთვის გაეტანა. მერე რაც მოხდა, ეს რომაელთა უფრო მაღალი სათამაშო კლასის დემონსტრირება გახლდათ. შეცვლაზე შესული ბოკშიჩის საპასუხო ბურთიც ამის ლოგიკური ბოლო იყო.

რომში ჯანაშია კვლავ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო მინდორზე, მაგრამ უგოლო ფრემ „ლაციო" ფინალში გაიყვანა. მთლიანად ტურნირში ჯანაშიას 6 გოლი მოუგროვდა და მხოლოდ ერთით ჩამორჩა საუკეთესო ბომბარდირ ებრაელ მიზრახის.

წინა გათამაშების გამარჯვებული, „ინტერნაციონალური ჩელსი" ნახევარფინალში კერკეტ „მალიორკას" შეეწირა. ლონდონში მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ესპანელებს მათი თამაში კარგად შეესწავლათ და დაცვიდან თამაში არჩიეს, ერთ-ერთი კონტრშეტევა კი გოლითაც დაამთავრეს. 31-ე წუთზე ველკო პაუნოვიჩმა ჩინებული გრძელი გადაცემით კარგ პოზიციაზე გაიყვანა დანი გარსია და ამასაც მეკარე დე გუის მოტყუება და გატანა აღარ გასჭირვებია. მერე ლონდონელებმა თავდასხმა კიდევ უფრო გააძლიერეს. საშველად მინდორზე ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს უხმეს და ქართველთა კარგმა ნაცნობმაც გაათანაბრა.

ესპანეთში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ შეტევაზე ვიფიქრებთ — თქვა ნამატჩევს ფლომ. მაგრამ პალმა დე მალიორკაში შეკრებილი 18 ათასი ქომაგი თავისიანების გააზრებული თამაშის მომსწრე გახდა. მე-14 წუთზე ბიაჯინიმ მასპინძლები დააწინაურა და ლონდონელთა მცდელობას შედეგი აღარ მოჰყოლია. 1:0, რომელმაც „მალიორკა" ფინალში გაიყვანა.

„ბათუმი" კი ჩვენების ბოლო და ერთადერთი წარმომადგენელი გახდა, რომელსაც საქართველოს სახელით თასების თასზე უთამაშია. ზღვისპირელები გათამაშებას საკვალიფიკაციო წრეშივე გამოეთიშნენ იუგოსლავიურ „პარტიზანთან". ბელგრადული მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც მასპინძლებმა აშკარად აჯობეს ბათუმელებს (2:0), შინ ქართველებმა გაცილებით გააზრებულად ითამაშეს და 28-ე წუთზე სიჭინავას გატანილი გოლით მოიგეს კიდეც, მაგრამ საერთო გამარჯვებისთვის 1:0 საკმარისი არ აღმოჩნდა. „ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს მიზნის მისაღწევად. ისე ვითამაშეთ, როგორც მეტოქემ გვაცალა" — ბათუმელთა მწვრთნელის, იური მამინაშვილის სიტყვები სრული სიმართლე გახლდათ. „პარტიზანი" კარგ გუნდად დაგვამახსოვრდა ქართველებს. აი, მათი ქომაგები კი — არა. ნამატჩევს იუგოსლაველმა ფანებმა ადგილობრივებზე გაიწიეს და წესრიგის დამცველნი რომ არა, არავინ იცის, რა მოხდებოდა.

შემდეგ წრეში „პარტიზანმა" კიდევ ერთი ქართველი ჩამოაშორა თასების თასს, როცა ორი მატჩის ჯამში თემურ ქეცბაიას „ნიუკასლს" მოუგო.



GUERIN SPORTIVO

ნახევარფინალი. ჩელსი — მალიორკა. მარსელ დესაისა (მარცხნივ) და ლეონარდო ბიაჯინის დუელი



სარბიელის არქივიდან

პირველი წრე. ნიუკასლი — პარტიზანი. თემურ ქეცბაია გორან ტრობოკის წინააღმდეგ



GUERIN SPORTIVO

ნახევარფინალი. ლოკომოტივი — ლაციო. ზაზა ჯანაშია მატიას ალმეიდას გაურბის

### წინასწარი წრე

პარტიზანი (იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) 2:0 (მილოშევიჩი, ილიჩი), 0:1 (სიჭინავა); ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) 5:1, 2:1; რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2:0, 0:0; კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) 2:1, 0:2; ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) 1:2, 3:3; აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) 1:5, 0:4; ბანგორ სიტი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) 0:2, 0:1; ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) 8:1, 1:1; ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) 4:2, 0:1; გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) 2:6, 0:2; ლანტანა (ესტონეთი) — ჰარტსი (შოტლანდია) 0:1, 0:5; ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანსი (მალტა) 4:0, 1:0; გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) 1:3, 0:7; გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:1, 1:2; ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 0:1, 0:2; კოპენჰაგენი (დანია) — ყარაბაღი (აზერბაიჯანი) 6:0, 4:0; ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 0:2, 0:3

### პირველი წრე

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — მაკაბი 1:1, 2:3; ნიუკასლი (ინგლისი) — პარტიზანი 2:1, 0:1; ჩელსი (ინგლისი) — ჰელსინგბორგი 1:0, 0:0; ლევსკი — კოპენჰაგენი 0:2, 1:4; ლიეპაია — ბრაგა (პორტუგალია) 0:0, 0:4; ჰარტსი — მალიორკა (ესპანეთი) 0:1, 1:1; დუისბურგი (გერმანია) — გენკი 1:1, 0:5; ლაციო (იტალია) — ლოზანა 1:1, 2:2; რიდი (ავსტრია) — მტკ 2:0, 1:0; რუდარი — ვარტექსი (ხორვატია) 0:1, 0:1; ბეშიქთაში (თურქეთი) — სპარტაკი 3:0, 1:2; აპოლონი — იაბლონეცი (ჩეხეთი) 2:1, 1:2 პენ 4:3; ჰერენვენი (ჰოლანდია) — ამიცა 3:1, 1:0; პანიონიოსი (საბერძნეთი) — ჰაკა 2:0, 3:1; რაპიდი — ვალერენგა (ნორვეგია) 2:2, 0:0; ცსკა — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 0:2 (ხარლაჩოვი, ჯანაშია), 1:3 (მუჟენარი; ბულიკინი 2, ჯანაშია)

### მერვედფინალი

ლოკომოტივი — ბრაგა 3:1 (ბულიკინი 2, ჩუგაინოვი; ოდაირი), 0:1 (კაროვლანი); პანიონიოსი — აპოლონი 3:2, 1:0; რიდი — მაკაბი 2:1, 1:4; ჰერენვენი — ვარტექსი 2:1, 2:4; ვალერენგა — ბეშიქთაში 1:0, 3:3; გენკი — მალიორკა 1:1, 0:0; ჩელსი — კოპენჰაგენი 1:1, 1:0; ლაციო — პარტიზანი 0:0, 3:2

### მეოთხედფინალი

ლოკომოტივი — მაკაბი 3:0 (ჯანაშია 3), 1:0 (ჩუგაინოვი)
პანიონიოსი — ლაციო 0:4 (სტანკოვიჩი 2, [illegible] ნედვედი), 0:3 (ნედვედი, სტანკოვიჩი, დე ლა პენა)
ჩელსი — ვალერენგა 3:0 (ბაბაიარო, ძოლა, უაიზი), 3:2 (ვიალი, ლამბურდე, ფლო; ჩელნერი, კარევი)
ვარტექსი — მალიორკა 0:0, 1:3 (მალიაჩი; იბაგაზა, პაუნოვიჩი, დანი)

### ნახევარფინალი

ლოკომოტივი — ლაციო 1:1 (ჯანაშია; ბოკშიჩი), 0:0
ჩელსი — მალიორკა 1:1 (ფლო; დანი), 0:1 (ბიაჯინი)

ფინალი. ბირმინგემი. 19 მაისი. 33 021 მაყურებელი

**მალიორკა 1:2 ლაციო**

0:1 ვიერი (7), 1:1 დანი (11), 1:2 ნედვედი (81)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყიფიანი და ჩივაძე ბირმინგემში

*„მალიორკა" — „ლაციოს" მატჩის დაწყების წინ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა თასთა თასის მომპოვებელი ყველა გუნდის წარმომადგენელს საგანგებო სამახსოვრო პრიზები გადასცეს. ქართველებიდან საზეიმო ცერემონიალს 1981 წლის თბილისის „დინამოს" კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი დაესწრნენ.*

*სხვა გამარჯვებულთაგან ბირმინგემს შემდეგი ვარსკვლავები ჩავიდნენ: ლუიჯი მილანი (ფიორენტინა), ადელარდო როდრიგესი (ატლეტიკო), კლიფ ჯოუნსი (ტოტენჰემი), ჟოაო მორაეში (სპორტინგი), ჯეფ ჰერსტი (ვესტ ჰემი), ალფრედ შმიდტი (დორტმუნდი), გერდ მიულერი (ბაიერნი), კურტ ჰამრინი და პიერინო პრატი (ორივე მილანი), იან ჩაპკოვიჩი (სლოვანი), ტონი ბუკი (მანჩესტერ სიტი), პიტერ ოსგუდი (ჩელსი), ჯონ გრეიგი (რეინჯერსი), იურგენ შპარვასერი (მაგდებურგი), ვლადიმირ ონიშჩენკო და ანატოლი დემიანენკო (ორივე დინამო კიევი), ჟან დოკსი და ფრანც ვერკოტერენი (ორივე ანდერლეხტი), მანფრედ კალტცი (ჰამბურგი), ხუან მანუელ ასენსი, ალან სიმონსენი და ანდონი სუბისარეტა (ყველა ბარსელონა), ხავიერ სუბირატსი (ვალენსია), ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ჯუზეპე ფურინო (იუვენტუსი), ენდი გრეი (ევერტონი), მორენო მანინი (სამპდორია), მარკ ჰიუზი (მანჩესტერ იუნაიტედი), მირკო ვოტავა (ვერდერი), ლორენცო მინოტი (პარმა), ალან სმიტი (არსენალი) და ვენსან გერენი (პარი სენ ჟერმენი).*



ხრისტო სტოიჩკოვმა, ვიტორ ბაიამ და ივან დე ლა პენიამ 1997 წელს ბარსელონასთვის მეოთხე თასების თასი მოიგეს. ამ მაჩვენებლით ბარსას ტურნირში ბადალი არ ჰყავს. მეოთხე ტრიუმფამდე რამდენიმე დღით ადრე ესპანური ჟურნალი „დონ ბალონი" ასეთი გარეკანით გამოვიდა. ხსენებულ სამეულს ბარსას წინა გამარჯვებათა ამსახველი ფოტოები უჭირავს

REUTERS ბირმინგემიდან




წუხელ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთი სახალხო თამაშია. მალიორკასა (ზედა ფოტოზე) და ლაციოს ქომაგები ბირმინგემის „ვილა პარკის" სტადიონზე

REUTERS ბირმინგემიდან



## თასების მფლობელთა თასის ყველა ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1960/61 | გლაზგო | 17 მაისი | 80000 მაყ. | რეინჯერსი (შოტლანდია) 0:2 ფიორენტინა (იტალია) |
| | II მატჩი. ფლორენცია | 27 მაისი | 41000 | **ფიორენტინა** 2:1 რეინჯერსი |
| 1961/62 | გლაზგო | 10 მაისი | 29066 | ატლეტიკო (ესპანეთი) 1:1 ფიორენტინა |
| | გადათ. შტუტგარტი | 5 სექტემბერი | 38120 | **ატლეტიკო** 3:0 ფიორენტინა |
| 1962/63 | როტერდამი | 15 მაისი | 49143 | **ტოტენჰემი** (ინგლისი) 5:1 ატლეტიკო |
| 1963/64 | ბრიუსელი | 13 მაისი | 3208 | სპორტინგი (პორტუგალია) 3:3 მტკ (უნგრეთი) დ.დ. |
| | გადათ. ანტვერპენი | 15 მაისი | 13924 | **სპორტინგი** 1:0 მტკ |
| 1964/65 | ლონდონი | 19 მაისი | 100000 | **ვესტ ჰემი** (ინგლისი) 2:0 მიუნხენ 1860 (გფრ) |
| 1965/66 | გლაზგო | 5 მაისი | 41657 | **დორტმუნდი** (გფრ) 2:1 ლივერპული (ინგლისი) დ.დ. |
| 1966/67 | ნიურნბერგი | 31 მაისი | 69480 | **ბაიერნი** (გფრ) 1:0 რეინჯერსი დ.დ. |
| 1967/68 | როტერდამი | 23 მაისი | 53276 | **მილანი** (იტალია) 2:0 ჰამბურგი (გფრ) |
| 1968/69 | ბაზელი | 21 მაისი | 19478 | **სლოვანი** (ჩეხოსლოვაკია) 3:2 ბარსელონა (ესპანეთი) |
| 1969/70 | ვენა | 29 აპრილი | 7968 | **მანჩესტერ სიტი** (ინგლისი) 2:1 გურნიკი (პოლონეთი) |
| 1970/71 | ათენი | 19 მაისი | 42000 | ჩელსი (ინგლისი) 1:1 რეალი (ესპანეთი) დ.დ. |
| | გადათ. ათენი | 21 მაისი | 19917 | **ჩელსი** 2:1 რეალი |
| 1971/72 | ბარსელონა | 24 მაისი | 24701 | **რეინჯერსი** 3:2 დინამო (მოსკოვი, სსრკ) |
| 1972/73 | სალონიკი | 16 მაისი | 40154 | **მილანი** 1:0 ლიდსი (ინგლისი) |
| 1973/74 | როტერდამი | 8 მაისი | 4641 | **მაგდებურგი** (გდრ) 2:0 მილანი |
| 1974/75 | ბაზელი | 14 მაისი | 10897 | **დინამო** (კიევი, სსრკ) 3:0 ფერენცვაროში (უნგრეთი) |
| 1975/76 | ბრიუსელი | 5 მაისი | 51296 | **ანდერლეხტი** (ბელგია) 4:2 ვესტ ჰემი |
| 1976/77 | ამსტერდამი | 11 მაისი | 60000 | **ჰამბურგი** 2:0 ანდერლეხტი |
| 1977/78 | პარიზი | 3 მაისი | 50000 | **ანდერლეხტი** 4:0 აუსტრია (ავსტრია) |
| 1978/79 | ბაზელი | 16 მაისი | 58500 | **ბარსელონა** 4:3 ფორტუნა (გფრ) დ.დ. |
| 1979/80 | ბრიუსელი | 14 მაისი | 41000 | **ვალენსია** (ესპანეთი) 5:4 (პ) არსენალი (ინგლისი) |
| 1980/81 | დიუსელდორფი | 13 მაისი | 9000 | **დინამო (თბილისი, სსრკ)** 2:1 კარლ ცაისი (გდრ) |
| 1981/82 | ბარსელონა | 12 მაისი | 95000 | **ბარსელონა** 2:1 სტანდარდი (ბელგია) |
| 1982/83 | გიოტებორგი | 11 მაისი | 17800 | **აბერდინი** (შოტლანდია) 2:1 რეალი დ.დ. |
| 1983/84 | ბაზელი | 16 მაისი | 60000 | **იუვენტუსი** (იტალია) 2:1 პორტუ (პორტუგალია) |
| 1984/85 | როტერდამი | 13 მაისი | 37000 | **ევერტონი** (ინგლისი) 3:1 რაპიდი (ავსტრია) |
| 1985/86 | ლიონი | 2 მაისი | 45000 | **დინამო** (კიევი) 3:0 ატლეტიკო |
| 1986/87 | ათენი | 13 მაისი | 61000 | **აიაქსი** (ჰოლანდია) 1:0 ლოკომოტივი (გდრ) |
| 1987/88 | სტრასბური | 11 მაისი | 43000 | **მეხელენი** (ბელგია) 1:0 აიაქსი |
| 1988/89 | ბერნი | 10 მაისი | 47000 | **ბარსელონა** 2:0 სამპდორია (იტალია) |
| 1989/90 | გიოტებორგი | 9 მაისი | 20103 | **სამპდორია** 2:0 ანდერლეხტი დ.დ. |
| 1990/91 | როტერდამი | 15 მაისი | 47000 | **მანჩესტერ იუნაიტედი** (ინგლისი) 2:1 ბარსელონა |
| 1991/92 | ლისაბონი | 6 მაისი | 20000 | **ვერდერი** (გერმანია) 2:0 მონაკო (საფრანგეთი) |
| 1992/93 | ლონდონი | 12 მაისი | 37393 | **პარმა** (იტალია) 3:1 ანტვერპენი (ბელგია) |
| 1993/94 | კოპენჰაგენი | 4 მაისი | 33765 | **არსენალი** 1:0 პარმა |
| 1994/95 | პარიზი | 10 მაისი | 48724 | **სარაგოსა** (ესპანეთი) 2:1 არსენალი დ.დ. |
| 1995/96 | ბრიუსელი | 8 მაისი | 37500 | **პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) 1:0 რაპიდი |
| 1996/97 | როტერდამი | 14 მაისი | 50000 | **ბარსელონა** 1:0 პარი სენ ჟერმენი |
| 1997/98 | სტოკჰოლმი | 13 მაისი | 30000 | **ჩელსი** 1:0 შტუტგარტი (გერმანია) |
| 1998/99 | ბირმინგემი | 19 მაისი | 33021 | **ლაციო** (იტალია) 2:1 მალიორკა (ესპანეთი) |

## ვის რამდენი თასთა თასი მოუგია

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | შოტლანდია | 2 |
| ესპანეთი | 7 | ჰოლანდია | 1 |
| იტალია | 7 | ჩეხოსლოვაკია | 1 |
| გერმანია | 5 | საფრანგეთი | 1 |
| ბელგია | 3 | პორტუგალია | 1 |
| სსრკ | 3 | | |

## საუკეთესო ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რობ რენსენბრინკი („ბრიუგე", „ანდერლეხტი") | 25 |
| გერდ მიულერი („ბაიერნი") | 20 |
| ფრანს ვან დერ ელსტი („ანდერლეხტი") | 18 |
| რენე კლასენი („სტანდარდი", „ბეერშოტი") | 17 |
| ჰანს კრანკლი („რაპიდი", „ბარსელონა") | 17 |
| ხორხე მენდოსა („ატლეტიკო", „ბარსელონა") | 16 |
| კლაუს ალოფსი („ფორტუნა", „კიოლნი") | 15 |
| ვლოძიმეჟ ლიუბანსკი („გურნიკი") | 15 |
| კურტ ჰამრინი („ფიორენტინა", „მილანი") | 15 |

### ერთი ტურნირის განმავლობაში

| | | |
|---|---|---|
| ლოთარ ემერიხი („დორტმუნდი") | 14 | 1965/66 |
| კირილ მილანოვი („ლევსკი სპარტაკი") | 13 | 1976/77 |
| ნესტორ კომბენი („ლიონი") | 10 | 1963/64 |
| მასკარენიაში („სპორტინგი") | 10 | 1963/64 |
| რენე კლასენი („სტანდარდი") | 10 | 1966/67 |
| მარიო კემპესი („ვალენსია") | 9 | 1979/80 |
| რობერტო ბაჯო („იუვენტუსი") | 9 | 1990/91 |
| იან რაიტი („არსენალი") | 9 | 1994/95 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანურ** „ესპანიოლს“ ურუგვაელი თავდამსხმელის, დარიო სილვას შეძენა სურს, რის შესახებაც გუნდის მწვრთნელმა მიგელ ანხელ ბრინდისიმ განაცხადა. საქმე ის გახლავთ, რომ სილვა „პენიაროლმა“ დეკემბერში ათხოვა ბარსელონის გუნდს და ახლა ფეხბურთელს თხოვების ვადა გაუდის. „ახალი არავინ მინდა, მხოლოდ მისი დატოვება მსურს“ — ალალად განაცხადა ბრინდისიმ, რომელსაც სურვილის ასრულებაში ხელი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ თანხამ შეუშალოს, „პენიაროლი“ სილვას სანაცვლოდ რომ ითხოვს. ეს თანხა 4,5 მილიონი დოლარია.

**გერმანიის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის ფინალისტი მიუნხენის „ბაიერნი“ მოწადინებულია, პარაგვაელი ყმაწვილკაცი „ოლიმპია დე ასუნსიონის“ თავდამსხმელი როკე სანტა კრუზი იყიდოს. როგორც ბაიერნის ცნობილმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა ამ ნიჭიერ თავდამსხმელთან დაკავშირებით ხელმოწერილი ჯერ არაფერია, მაგრამ მოლაპარაკებები კარგად მიდის. „უახლოესი კვირის განმავლობაში სანტა კრუზი მიუნხენში ჩამოვა და ჩვენი ექიმები საფუძვლიანად გამოიკვლევენ“ — ბრძანა ჰიცფელდმა. ჭაბუკი ფორვარდის კლუბის ხელმძღვანელებს, ორშაბათს, საგანგებოდ ეწვიენ „ბაიერნის“ მენეჯერ-დირექტორი ული ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი, კარლ ჰაინც რუმენიგე, რათა ყველას დაასწრონ მოლაპარაკებათა დაწყება და ხელშეკრულებაც გააფორმონ. აღსანიშნავია, რომ 17 წლის სანტა კრუზმა, ამასწინათ, ნიგერიაში ჩატარებულ 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი. „მას იშვიათი ნიჭი აქვს“ — განაცხადა ჰიცფელდმა.**

**რუსეთის** უმაღლესი დივიზიონის გუნდის, სოჭის „ჟემჩუჟინას“ მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩნი თანამდებობიდან გადადგა. როგორც „ჟემჩუჟინას“ ვიცე-პრეზიდენტმა იური არინცევმა განაცხადა ბაიდაჩნიმ განცხადება გადადგომის შესახებ ორშაბათ დილით დაწერა და კლუბმაც დააკმაყოფილა მწვრთნელის სურვილი. გადადგომის ოფიციალური მიზეზი გუნდის ცუდი შედეგებია. „ჟემჩუჟინას“ შვიდ მატჩში ერთადერთი ქულა აქვს მოპოვებული და ცხრილში ბოლო, მე-16 ადგილზეა.

**ინგლისური „ლივერპული“ ჰოლანდიურ „ტილბურგს“ ფინელი მცველის, სემი ჰიიპიას თაობაზე გაურიგდა. ტილბურგელთა განცხადებით, 25 წლის ცენტრალურმა მცველმა პრემიერლიგის კლუბთან ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ინფორმაციას „ლივერპულის“ პრესმდივანმა, იან კოტონმა ის დაამატა, რომ ლივერპულელები ჰოლანდიელთა სატრანსფერო წინადადებას დაყაბულდნენ. ჰიიპია „ტილბურგში“ 1995 წლიდან თამაშობდა.**

**რუსეთის** ნაკრების მწვრთნელს, ოლეგ რომანცევსა და ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს, ალექსანდრ მოსტოვოის შორის დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ საჯაროდ საქმის გარჩევას ჯერჯერობით ერთიც ერიდება და მეორეც. მოსტოვოი რომანცევმა ბელარუსთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ არ გამოიძახა და განაცხადა, სანამ 5 ივნისს, საფრანგეთის ნაკრებთან ოფიციალური შეხვედრებისთვის გამოძახებულ მოთამაშეთა სიას გამოვაქვეყნებდე, მასთან პირისპირ შეხვედრა და საუბარი მსურსო. „სანამ ჩვეულებრივ მუშაობას გავაგრძელებდეთ, მოსტოვოის თავისი პოზიციის და საქციელის განმარტება მართებს“ — თქვა რომანცევმა, რომელიც რუს ექიმებს ფეხბურთელის საზარდულის საფუძვლიან გამოკვლევას თხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც მწვრთნელმა მოსტოვოი მარტში სომხეთისა და ანდორას ეროვნულ გუნდებთან სათამაშოდ გამოიძახა, ფეხბურთელმა საზარდულის ტკივილი მოიმიზეზა და ნაკრებში გამოსვლას თავი აარიდა. „მოსტოვოიმ“ კარგად უწყის, რომ ასეთი ზნის ფეხბურთელების არსებობასაც კი ვივიწყებ ხოლმე“ — გაბრაზდა რომანცევი, ხოლო ესპანური „სელტას“ ნახევარმცველმა განაცხადა: „კომენტარს მხოლოდ მას მერე გავაკეთებ, რაც რომანცევს პირისპირ დაველაპარაკები“. შეგახსენებთ, რომ მოსტოვოი რუსეთის ნაკრების წინა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა გუნდის კაპიტნად დანიშნა, ხოლო 1998 წელს ბევრი მიმომხილველის აზრით, მასზე კარგად არც ერთ რუს ფეხბურთელს არ უთამაშია.

**გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი იურგენ კლინსმანი აცხადებს, რომ უახლოეს წლებში გერმანულ ფეხბურთთან საქმეს არ დაიჭერს. „ჩემი ქვეყნიდან საინტერესო წინადადებებიც რომ მივიღო, არაფერი შეიცვლება. გადაწყვეტილება ურყევია“ — უთხრა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონმა გაზეთ „შტუტგარტერ ცაიტუნგს“. კლინსმანმა ფეხბურთის თამაშს თავი მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონატის შემდეგ დაანება და ახლა, მეუღლესა და ვაჟთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. 34 წლის ვარსკვლავის საპატივცემულოდ მომავალ ორშაბათს შტუტგარტში გამოსათხოვარი მატჩი გაიმართება, რომელშიც „შტუტგარტის“ ნაკრები მსოფლიოს ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს. „მე და ჩემს მეუღლეს გვსურს, ჩვენი ვაჟი ჩვეულებრივ ადამიანად გაიზარდოს და არა ფეხბურთის ვარსკვლავის შვილად“ — განმარტა ამერიკაში ცხოვრების მიზეზი დიდმა ფორვარდმა და დასძინა — „გერმანიაში ფეხბურთის გარშემო მიმდინარე ამბები უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე საკუთრივ თამაში“.**

**უკრაინის** ჩემპიონატი. 26-ე ტური: დნეპრი — დინამო 0:1; შახტიორი — კარპატი 0:1; ზირკა — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:1; ნივა — მეტალისტი 2:0; ვორსკლა — მიკოლაევი 2:1; ცსკა — კრივბასი 1:2; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — ტავრია 3:0; პრიკარპატიე — მეტალურგი (დონეცკი) 2:1. 61 ქულით ცხრილის სათავეშია კიევის „დინამო“, რომელსაც 24 თამაში აქვს ჩატარებული, მეორე ადგილზეა დონეცკის „შახტიორი“ 55 ქულით, ხოლო მესამე პოზიცია კრივოი როგის „კრივბასს“ უკავია, რომელსაც 49 ქულა აქვს.

**შვედეთის ჩემპიონატი. მე-6 ტურის ბოლო მატჩი: ჰამარბიუ — მალმიო 0:1. 14 ქულით ლიდერობს „ორგრიტე“, მეორე ადგილზე 12-ქულიანი „კალმარია“, ხოლო მესამეზე 11-ქულიანი „ტელებორგი“ გახლავთ.**

**შვეიცარიის** თასის ნახევარფინალი. სერვეტი — ლოზანა 0:1. ხვალ „რედ სტარი“ „გრასჰოპერს“ უნდა შეხვდეს.

### ამხანაგური მატჩები

**სლოვაკეთი 2:0 ბულგარეთი**
1:0 ტომკო (9), 2:0 ტომაშეკი (89)

**რუსეთი 1:1 ბელარუსი**
1:0 მოსტოვოი (31), 1:1 ტარლოვსკი (46)

საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

## ავსტრია

### თასის ფინალი

**შტურმი 1:1 (დ.დ. 1:1, პ. 4:2) ლინცერი**
0:1 ვასტიჩი (36ს.კ.), 1:1 ჰაასი (60)

გრაცის გუნდმა თასი მოიპოვა რაც პოლონელი მეკარის კაზიმეჟ სიდორჩუკის დიდი დამსახურებაა. მან პენალტების სერიაში ორჯერ იყოჩაღა.

პირველად სიდორჩუკმა იურგენ კაუზის, ხოლო მერე კლაუს როზეანოს დარტყმები მოიგერია. აღსანიშნავია, რომ „შტურმმა“ მესამედ მოიპოვა ეს ეროვნული ჯილდო. სხვათაშორის იგი ჩემპიონატის ცხრილსაც ლიდერობს.

თამაშიც, ძირითადად, „შტურმის“ უპირატესობით მიმდინარეობდა. ჯერ იყო და 24-ე წუთზე გუნდის კაპიტანმა, ივიცა ვასტიჩმა გაარტყა ბურთი მოწინააღმდეგის კარის ძელს, მაგრამ ერთი ხნის შემდეგ შეცდომა დაუშვა, საკუთარ კარში გაიტანა გოლი და თანაგუნდელებს საქმე გასათანაბრებლად გაუხადა. ავტოგოლი ასე გავიდა: „ლინცერის“ სლოვენმა ფეხბურთელმა ზელკო მილინოვიჩმა ბურთი „შტურმის“ კარისკენ დაარტყა, მაგრამ ის კარში [illegible] თავში მოხვდა.

მეორე ტაიმში მარიო ჰაასმა [illegible] თანაბრა [illegible] ბლინგის შედეგი გახლდათ, თუმცა თასის მომავალ მფლობელს დამატებითი დროის პირველ ნახევარში კინაღამ ჩაუვარდა კოვზი ნაცარში: შეცვლაზე შესული კრისტიან შტუმპფის დარტყმული ისევ და ისევ სიდორჩუკმა მოიგერია.

# ამპარტავანი და მშფოთვარე ნიკოლა

**ნიკოლა ანელკა**, ლონდონის „არსენალის“ ფრანგი თავდამსხმელი გუნდის გამოცვლას აპირებს — ეს ამბავი ინგლისურმა პრესამ ამ დღეებში ერთხელაც მიმოიხილა.

„ეჭვი არ არის, ერთ მშვენიერ დღეს „არსენალიდან“ წავალ“ — ეს სიტყვები კი ანელკამ ფრანგულ ჟურნალს „ფრანს ფუტბოლს“ უთხრა, თუმცა უფრო ზუსტად არაფერი გაანდო დაინტერესებულ საზოგადოებრიობას — „ერთადერთი, რისი თქმაც ახლა მინდა, ისაა, რომ ინგლისური ჟურნალ-გაზეთები მძულს. მათ პირად ცხოვრებაში აურაცხელი პრობლემა შემიქმნეს. ისინი მუდმივად იგონებენ რაღაც ტყუილებს და თუ ასე განაგრძეს, მათ ქვეყანაში გამჩერებელი არ ვარ. არადა, ხომ ცხადია, რომ ისინი ზნეს ვერ იცვლიან“.



ნიკოლა ანელკა

თითქოს რაღა უნდა უშლიდეს ანელკას საძულველი ლონდონიდან წასვლაში ხელს. ამდენ ლაპარაკს ამღვარიყო და გადაბარგებულიყო სადმე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდს, რომელშიც ანელკა თამაშობს, მისი ავტორიტეტული თანამემამულე არსენ ვენგერი წვრთნის, რომელიც ფეხბურთელს დღენიადაგ ჩასჩიჩინებს „არსენალიდან“ წასვლა დიდი შეცდომა იქნებაო.

„ნიკოლა ამპარტავანი კაცია და მოვლენებზე თავისებურად რეაგირებს“ — ვენგერმა მდგომარეობის განმუხტვა სცადა — „იგი ვერც ინგლისურს ფლობს კარგად და, ბუნებრივია, რომ აქაური პრესისგან თავდაცვის გამძაფრებული სურვილი აქვს. ყველა ღონეს ვხმარობ, რათა ანელკა იმისგან ვიხსნა, დღეს რონალდოს რომ სჭირს. რაც შეეხება მისდამი, როგორც ფეხბურთელისადმი ჩემს დამოკიდებულებას, აქ ყველაფერი ნათელია, მე ის გუნდში მჭირდება. დასარჩენად ათიდან ცხრა შანსს ვაძლევ და ვეუბნები, რომ სხვაგან გადასვლა უდიდესი სტრატეგიული შეცდომა იქნება“.

# ჯერ ივარჯიშებენ და მერე...

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა დაასახელა 27 ფეხბურთელი, რომლებიც 27 მაისს იამაიკასთან ამხანაგურ შეხვედრას, ხოლო 5 ივნისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავენ ინგლისის ეროვნულ გუნდთან. აღსანიშნავია, რომ დასახელებული 27 ფეხბურთელიდან 21 უცხოეთში თამაშობს. საუკეთესო ფეხბურთელები, ჰენრიკ ლარსონი, იოჰან მოლბიუ, კენეტ ანდერსონი, იესპერ ბლომკვისტი, ტედი ლუკიჩი და შტეფან შვარცი იამაიკელებთან არ ითამაშებენ. მწვრთნელმა ბრძანა, რომ ინგლისელების წინააღმდეგ მოედანზე გასაყვანთა სიას (ისევე როგორც სათადარიგოებს) უფრო კონკრეტულად სწორედ ამხანაგური მატჩის მერე განსაზღვრავს.

მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მატიას ასპერი (აიკი), მაგნუს კიჰლსტედტი (ბრანი, ნორვეგია)

მცველები: პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), მიკაელ ჰელსტრიომი (ჰამარბიუ), ანდრეას იაკობსონი (ჰელსინგბორგი), პონტუს კამარკი (ლესტერი, ინგლისი), ტედი ლუკიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), როლანდ ნილსონი (ქოვენთრი, ინგლისი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი)

ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ნიკლას ანდერსონი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), იესპერ ბლომკვისტი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი), მარკუს ლანტცი (ჰელსინგბორგი), ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), ფრედერიკ ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), იოჰან მოლბიუ (სელტიკი, შოტლანდია), იკსელ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), შტეფან შვარცი (ვალენსია, ესპანეთი), პასკალ სიმპსონი (ვალერენგა, ნორვეგია), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია), ფრედერიკ სოდერსტრომი (ვიტორია, პორტუგალია).

# სამნი უნდა გაიყიდონ



პაოლო ვანჩოპე

ან უკვე დასრულებულ პრემიერლიგის გათამაშებაში მე-8 ადგილზე გასულმა „დერბი ქაუნთიმ“ თავისი სამი წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა გადაწყვიტა. ესენი არიან: კოსტა რიკელი თავდამსხმელი პაოლო ვანჩოპე, ხორვატი მცველი იგორ შტიმაცი და ფორვარდი დინ სტარიჯი.

„დერბის“ მენეჯერ ჯიმ სმიტის თქმით, საქმე ისაა, რომ ამ მოთამაშეებს კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებთ, რის შემდეგაც ისინი თავისუფალი აგენტები გახდებიან, ანუ მათ სანაცვლოდ „დერბი“ გირვანქასაც ველარ მიიღებს. ამიტომ გუნდის ხელმძღვანელობამ მათი ტრნასფერზე დაყენება ახლავე ისურვა, მით უმეტეს, რომ მსურველი ძალიან ბევრია.

ვანჩოპე „დერბიში“ 1997 წელს გადავიდა კოსტარიკული „ერედიანოდან“ და მას შემდეგ გუნდის საუკეთესო მეგოლე და ქომაგთა კერპია. რაც შეეხება შტიმაცს, რომელმაც შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებში უკლებლივ ყველა შეხვედრაში ითამაშა, იგი ინგლისში 1995 წელს გადაბარგდა და 1996-ში დიდად დაეხმარა „დერბის“ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში დაბრუნებაში. მანამდე ხორვატი მცველი სპლიტის „ჰაიდუკში“ გამოდიოდა.

ამავდროულად, „დერბიმ“ ახალი ფეხბურთელი შეიძინა. ეს ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი, აქამდე პირველი დივიზიონის „ქრიუში“ მოთამაშე სეთ ჯონსონი გახლავთ, რომლის სანაცვლოდ „ქრიუმ“ 2,5 მილიონი გირვანქა (4,04 მილიონი დოლარი) მიიღო.

**ნოდარ ძასრაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# 35 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### დავით ბერიშვილი
### «მაკაბი»



„მაკაბისა“ და „კოლხას“ შეხვედრა დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმის 12 ქულით მოგების შემდეგ, თბილისელებს თითქოს აღარ უნდა გაჭირვებოდათ გამარჯვება, მაგრამ 5 პერსონალურით ფერიაშვილისა და ტყუპისცალი ირაკლი ბერიშვილის მოედნიდან გასვლამ პრობლემები გააჩინა. ლიდერობა მეორე ტყუპისცალმა დათომ იკისრა და თანაგუნდელებთან ერთად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა.

**— პირველ ტაიმში მოპოვებული 12-ქულიანი უპირატესობის (48:36) შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მატჩის მოგება ასე გაგიჭირდებოდათ...**

— მეტოქე ზონას გვეთამაშებოდა და თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი ტაიმის ბოლო წუთებში მე და ჩემს ძმა ირაკლის სამქულიანები წაგვივიდა, ცოტას ალექსანდრე ფერიაშვილიც დაგვეხმარა და შესვენებაზე გულდამშვიდებული წავედით. მეორე ტაიმის პირველივე ნახევარში 5-5 პერსონალურებით მოედანი დატოვეს ჩემმა ტყუპისცალმა და ფერიაშვილმა. ამის შემდეგ მთავარი მწვრთნელის დავალებით ყველა შეტევა მე უნდა დამესრულებინა. ერთხანს 6 ქულითაც კი ვაგებდით, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში გავათანაბრე და ბოლოს მოვიგეთ კიდეც.

**— „მაკაბის“ მე-7 საფეხურს ვეღარავინ შეეცილება. როგორ ფიქრობთ, გუნდის ხელმძღვანელობა შედეგით კმაყოფილია?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ „მაკაბი“ მეორე წრის შემდეგ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის დავით ტალაბაძის გარეშე დარჩა, გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა, „დინამოსა“ და სდასუ-ს დამარცხებაც კი შევძელით.

**— თქვენ და ირაკლი ტყუპების ისეთ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომელთა ერთმანეთისგან განსხვავება მშობელ დედასაც კი გაუჭირდებოდა...**

— დედას ვერაფერს გამოაპარებ, მაგრამ მამას მართლა ვერევით ხოლმე ერთმანეთში.

**— უთუოდ გექნებათ სულ მცირე განმასხვავებელი ნიშანი...**

— ირაკლისგან განსხვავებით, საულვაშეზე მაქვს პატარა ხალი. ხასიათებით ჩემი ძმა ცოტა ემოციურია და ამიტომაც ხშირად უწევს გასვლა მოედნიდან 5 პერსონალურის გამო.

**— თქვენ ძალიან გვიან, 14 წლის ასაკში დაიწყეთ ვარჯიში...**

— მე და ირაკლის სპორტის სახეობებში კალათბურთი ყველაზე უფრო გვიყვარდა. 1992 წელი იქნებოდა. „დინამო“ — „ვითას“ პრინციპულ შეხვედრას ვუყურებდით და გაკვეთილების მომზადებას ვაგვიანებდით. დედამ გვითხრა, თუ გაკვეთილებს მოამზადებთ, ხვალვე დაგაწყებინებთ ვარჯიშს კალათბურთშიო. ასე მოვხვდით „მართვეში“, სადაც ვარჯიში დავიწყეთ ზვიად დიდბარიძის ხელმძღვანელობით. მალე ჩავირიცხეთ „კაქტუსის“ დუბლებში, რომელსაც ბატონი გია მიქაძე ავარჯიშებდა. „კაქტუსის“ დაშლის შემდეგ ვითამაშეთ „მერანში“, სდასუში. სტუ-ში ინფორმატიკის ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ვთამაშობდით ამავე უნივერსიტეტის გუნდში. მიმდინარე ჩემპიონატს კი „მაკაბის“ რიგებში ვატარებთ.

**— თქვენისთანა იდეალური მსგავსების ტყუპებს უთუოდ გექნებოდათ ისეთი თავგადასავლები, რომელზედაც სხვებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ...**

— ასეთი შემთხვევები ბევრი იყო. რადგან მათემატიკა მიყვარდა, მე ტექნიკური საგნების მომზადება მევალებოდა. ირაკლის კი — ჰუმანიტარულის. შემდეგ ერთმანეთის მაგივრად ვაბარებდით ხოლმე. ეტყობა, ეჭვი შეეპარათ მასწავლებლებს და მერე ერთად გვაბარებინებდნენ გამოცდებს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, უკვე 58-ე საკალათბურთო სკოლაში ვსწავლობდით, სადაც ძირითადად კალათბურთით ვიყავით დაკავებული.

**— გოგოები არ ცდებიან?**

— ერთი ურეკავს ხოლმე ირაკლის, რომელიც ხმაზეც კი უპრობლემოდ გვარჩევს ერთმანეთისგან.

**— კალათბურთში არაფერი გეშმაყიათ?**

— რამდენიც გინდათ. მარწყვი... ში თამაშის დროს ირაკლისვით შევ... ავლელდი და 3 თამაშით დისკვალიფიკაცია მომცეს. ფორმა რომ შემენარჩუნებინა მომდევნო შეხვედრა ირაკლის მაისურით ვითამაშე.

**— ასეთი საიდუმლოს გამჟღავნების შემდეგ მომავალში მსაჯები და ჩემპიონატის ორგანიზატორებიც ხომ უფრო ყურადღებით იქნებიან თქვენს მიმართ?**

— სამომავლოდ გადაწყვეტილი გვაქვს მსაჯობა. ასე რომ, სადარდებელიც არაფერი გვაქვს.

**— როდიდან აპირებთ მსაჯობის დაწყებას?**

— უკვე ვმსაჯობთ პირველ და ბავშვთა ლიგაში. ჯერჯერობით უმაღლესი ლიგისთვის მზად არ ვართ. იურიდიულადაც არ გვაქვს უფლება, რადგან თვითონ ვთამაშობთ უმაღლეს ლიგაში.

**— მაინც, რამ გადაგაწყვეტინათ მსაჯობა. იგი მეტად რთული და ჩვენში ცოტა დაუფასებელი სპეციალობაა?**

— ჩვენი მიზანი ფიბა-ს არბიტრობის წოდებისთვის ბრძოლაა. სულაც არ გვინდა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებით შემოვიფარგლოთ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ალან ჰიუსტონს ძალიან შიოდა

18 მაისი

### აღმოსავლეთი
### ატლანტა — ნიუ იორკი 0:1

**ატლანტა 92:100 ნიუ იორკი**

**ატლანტა:** ბლეილოკი (16), სმიტი (25), კორბინი (2), ლონგი, მუტომბო (14); კროუფორდი (26), ჯონსონი (7), გრეი (2), ვესტი

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (34), ვორდი (3), ტომასი (4), ჯონსონი (9), იუინგი (12); სპრიუელი (31), დადლი, ჩაილდსი (5), კემბი (2)

ეს ორივე გუნდი დაძაბული ხუთმატჩიანი სერიის მოგების შემდეგ მოხვდა პლეი ოფის მეორე ეტაპზე და ღირსეულადაც. ატლანტამ პირველ წრეში გრანტ ჰილის „დეტროიტ პისტონზს“ აჯობა, ნიუ იორკმა კი სულაც პირველ ნომრად განთესილი „მაიამი ჰითი“ დაიფრინა პირველსავე რაუნდიდან, თან უკვე ზედიზედ მეორედ და ამით სენსაციის ავტორიც გახდა. საქმე იმაშია, რომ ნიუ იორკი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ისტორიაში სულ მეორე კლუბია, რომელიც პლეი ოფში ბოლო, მერვე გუნდად მოხვდა და პირველ ნომრად განთესილი გამოაპანღურა. მაიამის გამოვარდნამ ცოტა არ იყოს ინტერესი შეანელა აღმოსავლეთში, რადგან რაც არ უნდა იყოს, ნიუ იორკი მხოლოდ მერვეა, მაგრამ შტატების უდიდესი ქალაქის საყვარელი გუნდის ქომაგებს ეს დიდად ერ აღელვებთ, რადგან „ნიქსი“ ყოველთვის პლეი ოფში უკეთ თამაშობს, ვიდრე რეგულარულ სეზონში და თითქმის ერთი ათეული წელია, პირველი წრიდან გასვლას ყოველთვის ახერხებს. ნიუიორკელებს უფრო მეტის იმედი ჰქონდათ, ატლანტასაც მაიამის მივაყოლებთო, ამბობდნენ და ეს რწმენა ჯორჯიული გუნდის მისსავე მოედანზე დამარცხებამ კიდევ უფრო გაულვივათ. ნიუ იორკმა აღმოსავლეთის ფინალისკენ, სადაც ბოლოს 1994 წელს ითამაშა, მძლავრი ნაბიჯი გადადგა და ატლანტას მოედნის უპირატესობა წაართვა. არადა, ამ უკანასკნელს სწორედ საკუთარი კედლების იმედი ჰქონდა (რეგულარულ ჩემპიონატში უკეთესი თამაშის გამო შინ მეტი შეხვედრა უწევს, ვიდრე ნიუ იორკს), რადგან დეტროიტთან 3-2 მოგებულ სერიაში შინ სამივე შეხვედრა თავისი გამარჯვებით დაასრულა, ახლა კი მეტოქის ბრწყინვალე თამაშის და თავისივე უკბილობის გამო ეს უპირატესობა ხელიდან გაუფრინდა. აწი ატლანტელმა „ქორებმა“ ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ მოგების ფიქრითაც უნდა შეიწუხონ თავი.

ნიუ იორკის ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი სტუმართა მსროლელი ალან ჰიუსტონი შეიქნა, სწორედ ის, ვინც მაიამისთან ბოლო, მეხუთე თამაშში უკანასკნელ წამზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და იმ მატჩის გმირიც გახდა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 12 ქულას მოუყარა თავი. ჰიუსტონმა მაიამისთან გამოჩენილი გმირობა ატლანტასთანაც გაიმეორა და იმ მატჩის მონაგარს მთელი 22 ქულით გადააჭარბა, რითაც თავისი საპლეიოფო კარიერის რეკორდი დაამყარა. ჰიუსტონის შეჩერება ატლანტელებს გადაუჭრელ პრობლემად ექცათ, მით უმეტეს, რომ იგი საკმაოდ ზუსტად ესროდა კალათში თამაშიდან, 20-დან 13 ჩააგდო და რვავე საჯარიმო გამოიყენა. 34 ქულის მოგროვებას სულ 35 წუთი მოანდომა. მატჩის შემდეგ სახეგაბრწყინებულმა თქვა, ძალიან მშიოდა და ერთი-ორი ბურთი ნამდვილად ვერ გამაძღობდაო.

ჰიუსტონის მხარდამხარ და არანაკლებ კარგად იღვწოდა ნიუ იორკის წლევანდელი მნიშვნელოვანი შენაძენი ლატრელ სპრიუელი, რომელიც მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩა მას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ჰიუსტონი და სპრიუელი ატლანტას კი არა, ერთმანეთს ეპაექრებოდნენ. ამით კი, რაღა თქმა უნდა, ნიუ იორკმა იხეირა. ნიუ იორკის მთავარი მწვრთნელი ჯეფ ვან განდი სპრიუელს სასტარტო ხუთეულში არ ათამაშებს, რადგან მის ამპლუაში, მსროლელს პოზიციაზე სწრედ ჰიუსტონი ჰყავს, ლატრელმა კი უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ არავისზე ნაკლები არ არის.

დაბალ ნიუიორკელთა საგმირო საქმეებმა შედარებით უკანა პლანზე გადასწია გუნდის ლიდერების და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრების — პატრიკ იუინგისა და დიკემბე მუტომბოს ჭიდილი. ისინი გაშმაგებულები ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს და თამაშს დიდი ჯან-ღონე შეალიეს, მაგრამ იმ დღეს გულშემატკივართა ინტერესი, რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული ორი კაცისადმი იყო მიპყრობილი.

თვითონ თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ნიუ იორკმა მხოლოდ მეორე ნახევარში მოახერხა მასპინძელთა საკმაოდ მძლავრი დაცვითი ზღუდის გარღვევა, მესამე მეოთხედის შემდეგ შვიდი ქულის სხვაობით გავიდა წინ და ეს მცირე უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.



იუტა — პორტლენდი. იუტელმა კარლ მელოუნმა ამჯერადაც გაგლიჯა პორტლენდელთა დაცვა

REUTERS

### დასავლეთი
### იუტა — პორტლენდი 1:0

**იუტა 93:83 პორტლენდი**

**იუტა:** სტოქტონი (10), ჰორნაჩეკი (8), რასელი (18), მელოუნი (25), ოსტერტაგი (6); ანდერსონი (8), ფალერი (7), ეისლი (5), ბეილი (4), კიფი (2), ფოსტერი

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (15), რაიდერი (12), გრანტი (19), ვოლესი (10), საბონისი (9); ოგმონი (4), ჯეკსონი (3), კატო (1), ენტონი (6), ვილიამსი (4), ონილი

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“ შვიდი წლის შემდეგ, როგორც იქნა, დაძლია პრეი ოფის პირველი ბარიერი. ამისათვის მას ფინიქსთან მინიმუმი — მხოლოდ სამი თამაში დასჭირდა მაშინ, როცა მეორე წრეში მისმა მეტოქე იუტა ჯაზმა ახალგაზრდული და ჯიუტად მონდომებული საკრამენტოს გზიდან ჩამოსაცილებლად ბლომად ოფლი ღვარა და მთელი თავისი გამოცდილება ჩააქსოვა. „საკრამენტო კინგზი“ კბილებით იბრძოდა, ორჯერ მოგება მოარხერხა (მაშინ წინაც გავიდა სერიის ანგარიში 2-1) ორჯერაც ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში, მაგრამ მეორე წრის საგზური ბოლო ორი პლეი ოფის ფინალისტ „ჯაზს“ დარჩა. ამ პლეი ოფში პორტლენდი მეორე ნომრადაა განთესილი, რადგან წყნარი ოკეანის დივიზიონის გამარჯვებული გახდა, მაგრამ მესამე ნომრად განთესილ იუტას მეტოქეზე მეტი გამარჯვება მოუგროვებია რეგულარულ ჩემპიონატში და სწორედ ამიტომ „ჯაზს“ მეტი თამაში უწევს შინ, ვიდრე „ბლეიზერს“. ეს, რაღა თქმა უნდა, ისევ მის წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან იუტას შინ დამარცხება ერთობ საძნელო საქმე გახლავთ ასოციაციის გუნდთა ასბოლუტური უმრავლესობისთვის. იუტამ ეს უპირატესობა ტკბილად შეირგო და შინ გამარჯვებით სერიის ანგარიში გახსნა.

იუტას მწვრთნელი ჯერი სლოუნი ბევრს შიშობდა, აქაოდა, ჩვენ უფრო მეტმა და დამღლელმა თამაშმა მოგვიწია და ვინძლო დასვენებულ პორტლენდთან გაგვიჭირდესო, მაგრამ მწვრთნელის და საერთოდ მთელი იუტას გასახარად, იმ დღეს „ჯაზს“ დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა. პირიქით აღმოჩნდა, რომ პორტლენდს დასვენებამ ზომაზე მეტად მოუწია და გაუჭირდა მადაზე მოსულ მასპინძლებთან. ორივე გუნდი გრანდებს მიეკუთვნება და კომბინაციური თამაში არც ერთს შეეშლება. პორტლენდს იუტაზე გაცილებით ბევრი ვარსკვლავი ჰყავს, მაგრამ ამ უკანასკნელს ერთი ისეთი კაცი მოეძებნება, მისი დარი ლიგაში სულ ერთი-ორია. კარლ მელოუნს ვგულისხმობთ, რომელიც მართალია 36 წლისაა და ლიგაში თავის მე-14 სეზონს ატარებს, მაგრამ „ფოსტალიონს“ (მელოუნის მეტსახელია) ჯან-ღონეც ძველებურად მოსდევს და გამოცდილებაც ხომ არ აკლია. უფრო მეტიც, ეს მოხუცი მთაკაცი ლიგაში ყველაზე ჯანიანად ითვლება და ხშირად თავის მეტოქეებს მუჯლუგუნებით უმასპინძლდება. ლიგის მოთამაშეთა ტრავმების დიდი ნაწილის მიზეზიც ეს გახლავთ. ასე იყო ამ შეხვედრაშიც. „ფოსტალიონი“ ჩვეულად დატრიალდა და პორტლენდელთაგან იმ დღეს საუკეთესო ბრაიან გრანტს, რომელიც მელოუნს მეურვეობდა, მეორე მეოთხედში ფარქვეშ ბრძოლისას იმისთანა ხეთქა, საცოდავი იატაკზე გაიშხლართა, ტკივილისაგან ერთ წუთზე მეტ ხანს იკლაკნებოდა, მან სკამამდე სხვისი დახმარებით ძლივს მიაღწია და მართალია, შეძლო თამაშის გაგრძელება, მაგრამ მელოუნთან შეტოქებას კი არა, სირბილს ძლივს ახერხებდა. „რომ დამარტყა, მეგონა, მძიმე მანქანა დამეჯახა, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ ჯარიმა დააფიქსირა“ — ამბობდა დაბოლმილი გრანტი მატჩის შემდეგ. მელოუნი კი თავს იმართლებდა, არავის დასახიჩრება არ მინდოდა, ასეთ რამეს ხშირად ვაკეთებ და შემთხვევით მოვარტყი, ჯარიმის მეტი არაფერი არ ყოფილაო. ამ მომენტმაც იუტას სასარგებლოდ იმუშავა. მელოუნს ველარავინ ეკარებოდა და ისიც ქულას ქულაზე აგდებდა. საბოლოოდ 25-ს მოუყარა თავი და პირველ გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო.

**ირაკლი ფირაშვილი**



გელა თოიძიშვილის ფოტო

# ზაზა დოლიძე: ორი წელი შეგვისრულდა, არ ვყოფილვართ შეკრებაზე...

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი საქართველოს ნაკრებისთვის პორტუგალიელებთან ორი მატჩით დაიწყო — სტუმრად მარცხი, შინ გამარჯვება. ჩვენების დღევანდელი მეტოქე სლოვაკი ხელბურთელები არიან. შეხვედრა 18.30 საათზე დაიწყება სპორტის სასახლეში. პორტუგალიელებისა და სლოვაკების გარდა ქართველთა ჯგუფში ლატვიის ნაკრებიცაა.

შესარჩევი ტურნირის ამ ეტაპზე სულ შვიდი ჯგუფია (ხუთი ოთხგუნდიანი და ორი სამგუნდიანი). თითოეული მათგანის გამარჯვებული შემდეგ წრეში თამაშის უფლებას მოიპოვებს, მათ გარდა საგზურს ოთხგუნდიანი ჯგუფების ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი გაინაღდებს.

სლოვაკეთთან თამაშის წინ ჩვენი ხელბურთელები სპორტის სასახლეში ემზადებიან და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. მათი მეტოქე გუშინ ჩამოფრინდა ჩარტერული რეისით და მატჩის შემდეგვე გაბრუნდება სამშობლოში. ქართველები კი მეორე დღეს მიჰყვებიან უკან, 22 მაისს ხომ უკვე სლოვაკეთში უნდა გაეჯიბრონ მასპინძლებს.

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძესთან, რომელსაც გუშინ, დილის ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ:

**— ბატონო ზაზა, უკვე ორი მატჩი გამართეთ. როგორ შეაფასებდით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსებს?**

— ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს და არცთუ მცირე. თუმცა წარმატების მიღწევა ჩვენს სამივე მეტოქესაც შეუძლია. ისე, სხვა ჯგუფებთან შედარებით ჩვენი ყველაზე უფრო ძლიერია. ოთხივე გუნდი თანაბარი ძალისაა. ამის დასტური ისიცაა, რომ პირველ ორ ტურში სამი ქულის მოპოვებაც კი ვერავინ შეძლო, იმ დროს, როცა სხვა ჯგუფებში ზოგიერთმა გუნდმა ორივე მატჩი მოიგო.

**— მომავალ თამაშებში რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— რომ გითხრათ, ოთხივე შეხვედრას აუცილებლად მოვიგებთო, არასერიოზულობაში ჩამომართმევთ. ეს ძნელი იქნება, რადგან ტურნირი ძალიან მოკლე ვადაში ტარდება. შინ გასამართ ორივე მატჩში, სლოვაკეთთანაც და ლატვიასთანაც, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგან უამისოდ საბოლოო წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელია. სტუმრადაც მთელი ძალებით ვიბრძოლებთ და იმედია, სასურველ შედეგს მივაღწევთ. შიში და კრძალვა კი არც ერთი მეტოქის არ გვაქვს.

**— მომავალ მოწინააღმდეგეზე რას ფიქრობთ? პორტუგალიელებზე ძლიერები არიან?**

— ალბათ პირინეელებზე უკეთესებად შეიძლება ჩავთვალოთ. სლოვაკებს ხელბურთის კარგი ტრადიციებიც აქვთ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ხომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში. სლოვაკების ლატვიასთან ნათამაშევი ორივე მატჩის ვიდეოფირი ვნახეთ და საკმაოდ კარგად შევისწავლეთ. ისინი უფრო ძალისმიერი ხელბურთის მიმდევრები არიან. გუნდი ძირითადად ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. თანაც დიდი გამოცდილებაც აქვთ. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გამარჯვების მეტი შანსი ჩვენ გვაქვს და, იმედია, გამოვიყენებთ კიდეც.

**— ჩვენი ხელბურთელებიდან ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?**

— თითქმის არავის. მხოლოდ სერგო დათუკაშვილი იტკივებს ხელს. მაგრამ სერიოზული არაფერია. ექიმის თქმით, ხვალისთვის გამოჯანმრთელდება. დანარჩენები საბრძოლო ფორმაში არიან.

**— პორტუგალიასთან თბილისში გამართულ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ტიტე კალანდაძე ჩვეულ ფორმაში ვერ იყო...**

— ტიტე ოდნავ გადაღლილი იყო. იგი მაკედონიაში თამაშობს. მისი გუნდი წლეულს ქვეყნის ჩემპიონი გახდა და მასაც ძნელი სეზონის ჩატარებამ მოუწია. კვირაში ორჯერ, ხანდახან სამჯერ თამაშობდა. ახლა კი დაღლილობამ გადაუარა და ჩინებულ ფორმაშიც შევიდა.

**— კვლავ პორტუგალიასთან თამაშებს მივუბრუნდეთ. პირველი ტაიმი ორჯერვე მოიგეთ. მატჩების მიწურული კი საკმაოდ ცუდად ჩაატარეთ. სტუმრად დავმარცხდით კიდეც, შინ კი ძლივს მოვახერხეთ უპირატესობის შენარჩუნება. რა არის ამის მიზეზი?**

— ამის ძირითადი და, ვფიქრობ, ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ ერთ გუნდად ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით. ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ფსიქოლოგიურადაც. ამის გამო ზოგჯერ შეუთამაშებლობაც იგრძნობა. ჩვენ ხომ 1997 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მერე ერთად აღარც გვითამაშია. ტურნირისწინა შეკრება ჩვენთვის პირველი იყო. ახლა სულ ერთად ვართ და ვგრძნობ, გუნდი თანდათანობით იკვრება, ერთიანდება. ჩვენებური მაყურებელი ძალიან ობიექტურია და, მგონი, ყველაფერ ამას კარგად გაიგებს. ისე, ერთს კი დაგპირდებით: დარჩენილ მატჩებში პორტუგალიელებთან დაშვებული შეცდომები აღარ განმეორდება. დანარჩენი ვნახოთ.

**გაგი გურული**

| ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი VI საკვალიფიკაციო ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 37:35 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 | 38:38 | 2 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 38:38 | 2 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | 35:37 | 2 |



# თავხედი იანკი ტანკზე უარესია

თუ ჯერ კიდევ გწამთ, რომ შუბლის ძარღვი მხოლოდ ნატოს ამერიკელ ხელმძღვანელობასა და იმავე ერივნების მფრინავ — „სნაიპერებს" აქვთ გაწყვეტილი, ავსტრალიის დევისის თასის გუნდის წევრები სწრაფად დაგარწმუნებენ, რომ ასე არ არის.

წესით და რიგით, აშშ-სა და ავსტრალიას შორის მსოფლიოს გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრისთვის 16-18 ივლისს ამ უკანასკნელებს უნდა ემასპინძლათ, მაგრამ რაკი წლეულს დევისის თასი ასი წლის იუბილეს ზეიმობს, ისტორიაში პირველი მატჩი კი ბოსტონის „ლონგვუდ კრიკეტ კლაბში" გაიმართა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) შინ თამაშის უფლება ამერიკელებს გადაულოცა.

ამ გადაწყვეტილებამ თავდაპირველად ოზების დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ არც საჩივრებმა და არც უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვამ საქმეს არაფერი უშველა, ავსტრალიელებიც ბედს შეურიგდნენ. თუმცა მალე ჭამაში მოდისო და ამერიკელებსაც მეტი მოუნდათ: რაკიღა მწვანეკონტინენტელების ორ ჯილას — მარკ ფილიპუსისსა და პატრიკ რაფტერს თიხნარზე თამაში მაინცდამაინც არ ეპიტნავება, მასპინძლებმა, ჰარდის ნაცვლად ბოსტონში წითელმიწა საფარის დაგებაც მოინდომეს.

აქ კი ავსტრალიელებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა და საჩივრებიდან პირდაპირ ბოიკოტით მუქარაზე გადავიდნენ. „ამათ ჩვენ სულელები ხომ არ ვგონივართ. თუ ამჯერადაც გაიტანენ თავისას, მაშინ ჰქონდეთ თავიანთი ლონგვუდის კლუბიც და მეოთხედფინალური შეხვედრაც. ჩვენ ბოსტონში სათამაშოდ არ ჩავალთ" — მეტყველად განუცხადა უფროსმა „ვუდმა" მარკ ვუდფორდმა ჟურნალისტებს და კვერი მას კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა და თანაგუნდელებმაც დაუკრეს.

მოკლედ, გასულ უქმეებზე ITF-ში ხანგრძლივი და ცხარე კამათი გაიმართა. ორივე მხარემ ერთმანეთი საკმარისად დაკბინა და ავსტრალიელთა გასახარად, სამართალმა პური ჭამა — ამერიკელებს ამ ახალ წამოწყებაზე ხელი აალებინეს.

„იმედგაცრუებული ვართ, რომ როგორც მასპინძელ ქვეყანას საფარის არჩევა არ [illegible], მაგრამ ჩვენ მაინც დავემორჩილებით ITF-ის გადაწყვეტილებას და შევეცდებით, ეს საიუბილეო მატჩი აშშ-ის, ავსტრალიისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი იყოს" — ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯუდი ლევერინგს სინდისის ქენჯნა არც ამის შემდეგ განუცდია.

ზემოხსენებული ამბავი ყველაზე მეტად ისედაც პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის გარეშე დარჩენილ ამერიკელთა კაპიტან ტომ გალიქსონს არ ეამა, თუმცა იხტიბარი არც მას გაუტეხია: „ახლა, როდესაც საფარის საკითხი გადაწყდა, ჩვენი გუნდი ყველანაირად ეცდება, რომ ავსტრალიელები დაამარცხოს და ნახევარფინალში გავიდეს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ამ საიუბილეო სეზონში დევისის თასი აშშ-ს დაუბრუნდეს".

შეგახსენებთ, რომ ყველაზე მეტჯერ ეს პრესტიჟული ჯილდო სწორედ ამერიკელებს და ავსტრალიელებს მოუპოვებიათ — შესაბამისად 31-ჯერ და 27-ჯერ.

# ექსკურსიაზე უილიამსებთან

თუ შემთხვევით ფლორიდაში მოხვდებით, დები უილიამსები შიშის გარდა სხვა გრძნობასაც აღგიძრავთ და ამასთან 150 დოლარიც არ გენანებათ, ამ ექსტრავაგანტურ ოჯახთან ერთად მთელი დღის გატარებას შეძლებთ.

სწორედ ამდენი დაგიჯდებათ სამსაათიანი მოგზაურობა ავტობუსით მახლობელ კურორტზე, საუზმის მირთმევა, შავკანიან ვარსკვლავებთან ბურთის გადაგდებ-გადმოგდება და იმავე საღამოს შინ დაბრუნება. იდეა, რა თქმა უნდა, სერენასა და ვინუსის მამას, რიჩარდს ეკუთვნის, რომელმაც ამ წამოწყებაში უკვე 700 000 დოლარი დააბანდა.

თუ გგონიათ, რომ უილიამსებს ფული შემოაკლდათ და ხელის იოლად მოთბობას აპირებენ, ან ეს შერეკილი რიჩარდის მორიგი ახირებაა, ძალიან ცდებით. „თითოეული ცენტი, რასაც ჩვენ მოვიგებთ, არაპრივილეგირებულთა პროგრამებს გადაეცემა. ჯერზე 15-20 ათასი დოლარის გაკეთებას ვვარაუდობთ. ვიცი, რომ ეს მაინცდამაინც ბევრი არ არის, მაგრამ ამ პროგრამებისთვის მაინც დიდი თანხაა" — განაცხადა უჯახის უფროსმა თავისი კომპანიის, „უილიამსი & უილიამსის" გახსნაზე პალმ ბიჩში, სადაც მეუღლე ორასინთან ერთად ბრძანდებოდა.

იელოველმა დებმა თავიანთი ხანმოკლე კარიერის მანძილზე მარტო საპრიზოებით უკვე 3 მილიონ დოლარზე მეტის მოხვეჭა მოასწრეს და აქამდეც ეხმარებოდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც ბავშვებს სწავლის გაგრძელებასა და ნარკოტიკების ხმარების თავიდან აცილებაში უწყობდნენ ხელს.



სერენა და ვინუს უილიამსები

პირველი ექსკურსიები ვინუსისა და სერენას მონაწილეობით აგვისტოში გაიმართება, როდესაც დები ტურნირებზე ასპარეზობიდან შესვენებას აპირებენ. მანამდე კი 13 ნახმარი ავტობუსისგან შემდგარი ავტოპარკი უილიამსების სახლის ახლოს მდებარე ფარეხში დაიდებს ბინას და მსურველებს მათი ქირაობის შესაძლებლობაც ექნებათ.

# კიფერი — ვამპირთა მმუსვრელი



ნიკოლას კიფერი

თუ სატელიტურ არხებზე ხელი მიგიწვდებათ და „ევროსპორტს" ან MTV-ის თვალს ადევნებთ, ამ ბოლო ხანებში აუცილებლად შეამჩნევდით „ნაიკის" მორიგ რეკლამას, რომელშიც მთავარ როლს ვამპირების მთელ ხროვასთან ერთად ნიკოლას კიფერი ასრულებს.

ჩვეულებრივ, „ნაიკის" რეკლამებში ისეთ ბობოლა ვარსკვლავებს იღებენ, როგორც მაიკლ ჯორდანი, ანდრე აგასი ან რონალდო არიან, ამიტომ ამ წინადადებას თვით 21 წლის გერმანელიც არ ელოდა: „გერმანიაში დამირეკეს და მითხრეს, გადაღებებში თუ გინდა მონაწილეობაო. გამიკვირდა, რომ მე მთხოვეს, მაგრამ რატომაც არა-მეთქი, ვიფიქრე და დავთანხმდი".

ნიკოლასი რამდენიმე დღეში კინემატოგრაფის მექაში, ლოს ანჯელესში გადაფრინდა, სადაც გადაღებების დროს მთელი უბანი გადაკეტეს: „მართლაც ძალიან გავერთე. რაკი მოქმედება ღამით ხდება, საქმეს საღამოს 7 საათზე შევუდექით და დილის ოთხზე დავასრულეთ. თავადაც არ ვიცოდი, რა გამოვიდოდა, საბოლოოდ ხომ 9 საათიდან სულ 30 წამი უნდა დარჩენილიყო".

რეკლამის მოკლე შინაარსი კი ასეთია: კიფერი ჩოგბურთში ვამპირთა მეთაურს ებრძოლება და თავიდან მარცხდება კიდეც. გათენებისას მზის შუქზე სხვა სისხლისმწოველები პომიდორებივით სკდებიან, მაგრამ რაკიღა მეთაურს „ნაიკის" მაისური აცვია, საღ-სალამათი რჩება. მაშინ „კივი" ბურთის ნაცვლად საქმეში ნიორს ჩარევს და დრაკულას წინაპარს საიქიოშიც გაისტუმრებს.

* * *

გასულ კვირაში მიმდინარე გერმანიის ღია პირველობაზე ირინა სპირლეამ მასპინძლები გვარიანად დააბნია. კარა ბლექთან რუმინელი 4:6, 0:1, 0:15-ს აგებდა, როდესაც მოულოდნელად სკამთან მივიდა, თავისი ჩანთა აიღო და კორტი სიტყვის უთქმელად დატოვა. ორგანიზატორებს რამდენიმე საათი დასჭირდათ სიმართლის დასადგენად: სპირლეას თურმე კუჭის მწვავე ტკივილები ჰქონია და ასე სასწრაფოდ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გავარდნილა, მერე კი მთელი დღე სასტუმროს საწოლში გაუტარებია.

**ავთანდილ სვანიძე**

# ბეგი დარჩია დაკარგულ მედალს მისტირის

სოფიაში, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი მხოლოდ ერთ — აკაკი ჩაჩუას ვერცხლის მედალს დასჯერდა. ლამის უვარჯიშებელი, ორი შეკრებისა და ერთი ტურნირის ამარა დარჩენილი გუნდისთვის იქნებ ეს ურიგო შედეგი არცაა, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია ბულგარეთიდან მაინც იმედგაცრუებული დაბრუნდა. მიზეზებზეც თავად გვესაუბრება.

— გული ყველაზე მეტად ტარიელ მელელაშვილზე მწყდება. მან ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყო. საკმაოდ ძლიერი მეტოქეებიც შეხვდნენ და რამდენიმე ორთაბრძოლა სუფთადაც მოიგო. თუმცა რად გინდა — ფინალში გასასვლელი შეხვედრა მსაჯებმა აშკარად წააგებინეს უნგრელ მსოფლიოს პრიზიორ ტომაშ ბერშიცასთან. ასეთი მიკერძოება იშვიათად მინახავს. მსაჯებს რომ ცოტა ობიექტურობა გამოეჩინათ, მელელაშვილი ფინალში გავიდოდა და კიდევ ერთ მედალს ავიღებდით.

**— მსაჯთა მიკერძოება მაინც რაში გამოიხატა?**

— ტარიელის აღებული ორი ქულა უნგრელს ჩაუთვალეს. საბოლოოდ მელელაშვილმა ქულებით წააგო. უნგრელს ფინალში ისეთივე დღე დაადგა, როგორიც მასთან მეხვედრაში — ტარიელს, მაგრამ ჩვენ რა! ამ წაგებაზე მელელაშვილმა ძალიან ინერვიულა. მთელი ღამე არ უძინია. ფსიქოლოგიურად მოიშალა და მესამე ადგილი ბერძენ ავრამისისს დაუთმო. მსაჯებს რომ არ დაეჩაგრათ, მჯერა, ტარიელი ჩემპიონიც გახდებოდა.

**— აკაკი ჩაჩუა?**

— ის ფინალამდე ბრწყინვალედ მივიდა — ოთხიდან სამი შეხვედრა სუფთად მოიგო. ფინალში მისი მეტოქე ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი, პოლონელი ვლოძიმეჟ ზავადსკი იყო. ჩაჩუამ მასთან შეხვედრაც ჩინებულად დაიწყო — პირველი სამწუთიანი ნახევრის შემდეგ 4:0-ს იგებდა. მეორე ნახევრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრეც ეს ანგარიში იყო, მაგრამ დარჩენილ დროში მეტოქეს ხუთი ქულა დაუთმო და საბოლოოდ 4:6 წააგო.

**— ჩაჩუას მარცხის მიზეზი რაღა იყო?**

— ის ტრავმებმა გააწამა. ჯერ ხელის ტკივილმა გამოატოვებინა მოსამზადებელი ეტაპი, ახლა კი წელი სტკიოდა. ეს ფინალშიც ეტყობოდა. ნეკნი რამდენჯერმე გავუყინეთ კიდეც. მთავარი მაინც ისაა, რომ ფინალური ბრძოლის მეორე ნახევარში ჩვენი მითითებები ვერ შეასრულა. რადგან ფიზიკურად მოიკოჭლებდა, დროის გაყვანის ხარჯზე თითოქულიანი ილეთების დათმობა დავავალეთ. სამწუხაროდ, ვერ გაუძლო. თუმცა ჩაჩუა მაინც ტურნირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე იყო. ეს არაერთმა უცხოელმა სპეციალისტმა აღნიშნა. გუნდმა მზადების პირველ ეტაპზე ფიზმომზადებისთვის გათვალისწინებული შეკრება რომ ვერ გაიარა, ეს ყველა ჩვენს მოჭიდავეს ეტყობოდა.

**— დანარჩენებმა რა ქნეს?**

— მათზე ასე ვიტყოდი — ცოტა იღბალსაც რომ გადმოეხედა და გამართლებოდათ, მედლის მოპოვება ყველას შეეძლო. სოფიაში წილისყრამ ყველაზე მეტად კობა გულიაშვილს (58) არ გაუმართლა. ის ქვეჯგუფში ბულგარელ არმენ ნაზარიანთან მოხვდა. ნაზარიანს მოუგია ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლება. შარშან ჩვენს სახეობაში მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავედაც დაასახელეს. კობამ მასთან წააგო, რასაც ველოდით კიდეც. მასსავით ქვეჯგუფში ჩარჩა გიორგი ჯინჭველაშვილი (69). იგი რუს გლუშკოვთან დამარცხდა. ეს ბიჭი დებიუტანტი იყო, საბოლოოდ კი ჩემპიონი გახდა. ფინალამდე მან ბულგარელ მსოფლიოს ჩემპიონ გეორგიევს 6:0 მოუგო, ფინალში კი იოლად დაამარცხა პოლონელი ოლიმპიური ჩემპიონი ვოლნი — 9:0. გლუშკოვს ყველაზე მეტად ჯინჭველაშვილთან გაუჭირდა. შეიძლება ითქვას, წილისყრამ გიორგიც გაწირა. გენადი ჩხაიძემ ქვეჯგუფში კი იმარჯვა, მაგრამ მეოთხედფინალში სოფიაში მესამედ გაჩემპიონებული შვედი ლუნგბერგი გადაეყარა და წააგო, გენადი მეხუთეზე გავიდა. მომავალ ფინალისტთან დათმო ორთაბრძოლა თამაზ გოგელიამაც (მძიმე). ის და მალხაზ ნიშნიანიძე (54) ქვეჯგუფში ჩარჩნენ. 85-ში მონაწილე არ გვყოლია.

გუნდურ ასპარეზობაში მერვე ადგილზე გავედით და სულ ერთი ქულით ჩამოვრჩით მეხუთე-მეექვსე ადგილებზე გასულებს. თუმცა, მეტიც შეგვეძლო - ნიშნიანიძეს ერთი ქულა უსამართლოდ არ ჩაუთვალეს. იმ შეხვედრას მაინც აგებდა და არ გავაპროტესტეთ. საბოლოო შედეგების დაჯამების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ის ერთი ქულა მეთერთმეტის ნაცვლად მეცხრეზე გაიყვანდა. ეს გუნდურში ორ ქულას წაგვმატებდა და მეხუთეზე გავიდოდით.

**— მომავლის გეგმებზე რას იტყვით?**

— ჩვენთვის უმთავრესი ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა ლიცენზიებიც მოვიპოვოთ და მედლებიც. ფიზმომზადებაში რაც დაგვაკლდა, სოფიაშიც ნათლად გამოჩნდა. ბულგარეთში სომხეთის ნაკრების ხელმძღვანელობას მოველაპარაკეთ. გვინდა, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პირველი ეტაპი ფიზმომზადებაში სომხეთში მაღალმთიან წახკაძორში გავიაროთ. იქ მშვენიერი ოლიმპიური ბაზაა. მერე ბელოვეჟში ან ალუშტაში ვაპირებთ წასვლას. მზადებას ბათუმში დავასრულებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვსურს. ვნახოთ, როგორ დაგვაფინანსებენ.

**ირაკლი თავაძე**

| ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სოფია, 13-16 მაისი ტექნიკური შედეგები |
|---|
| **54** |
| 1. სამველ დანიელიანი (რუსეთი) |
| 2. დარიუშ იაბლონსკი (პოლონეთი) |
| 3. ნატიკ აივაზოვი (აზერბაიჯანი) |
| ... |
| 11. მალხაზ ნიშნიანიძე (საქართველო) |
| **58** |
| 1. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი) |
| 2. ვალერი ნიკონოროვი (რუსეთი) |
| 3. კარენ მნაცაკანიანი (სომხეთი) |
| ... |
| 13. კობა გულიაშვილი (საქართველო) |
| **63** |
| 1. ვლოძიმეჟ ზავადსკი (პოლონეთი) |
| 2. აკაკი ჩაჩუა (საქართველო) |
| 3. სერეფ ეროღლუ (თურქეთი) |
| **69** |
| 1. ალექსეი გლუშკოვი (რუსეთი) |
| 2. რიშარდ ვოლნი (პოლონეთი) |
| 3. ბისერ გეორგიევი (ბულგარეთი) |
| ... |
| 10 გიორგი ჯინჭველაშვილი (საქართველო) |
| **76** |
| 1. სტოიან დობრევი (პოლონეთი) |
| 2. ტომაშ ბერშიცა (უნგრეთი) |
| 3. დიმიტრიოს ავრამისი (საბერძნეთი) |
| 4. ტარიელ მელელაშვილი (საქართველო) |
| **85** |
| 1. ჰამზა ერლიქაია (თურქეთი) |
| 2. მარტინ ლინდბერგი (შვედეთი) |
| 3. ალექსეი მენშიკოვი (რუსეთი) |
| **97** |
| 1. მიქაელ ლუნგბერგი (შვედეთი) |
| 2. ალი მოლოვი (ბულგარეთი) |
| 3. პეტრე სუდურიასი (რუმინეთი) |
| ... |
| 5. გენადი ჩხაიძე (საქართველო) |
| **მძიმე** |
| 1. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი) |
| 2. ანასტასიოს სოფიადისი (საბერძნეთი) |
| 3. ჯუზეპე ჯუნტა (იტალია) |
| ... |
| 8. თამაზ გოგელია (საქართველო) |



**მსოფლიოს** თასის ეტაპზე ქართველ ბატუტისტთა — რუსუდან ხოფერიას და ზაზა აბრამიშვილის წარმატებებზე გუშინ გაცნობეთ. დღეს კი თბილისში დაბრუნებულ სპორტსმენებთან და მათ მწვრთნელთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ. თავდაპირველად **ზაზა აბრამიშვილს** გავესაუბრეთ.

**— ზაზა, ელოდით ასეთ შედეგს?**

— სიმართლე გითხრათ, არა. არ მეგონა, სათანადოდ მომზადებას თუ მოვასწრებდი. შედარებით ნაკლები სირთულის კოეფიციენტებით გამოვედი, მაგრამ შედეგს არა უშავდა. მეც კმაყოფილი დავრჩი, მწვრთნელიც, ფედერაციაც და ჩემი დამფინანსებელი ოლიმპიური კომიტეტიც.

**— ძალიან ხომ არ გაგიჭირდათ?**

— არა, თუმცა ჩემს ძველ საუკეთესო შედეგებს ამჯერად ვერ მივაღწიე. ეს რომ მომეხერხებინა, უკეთეს ადგილზეც გავიდოდი. რაც მთავარია, საშეჯიბრო ატმოსფერო, აზარტი გავიხსენე, ბატუტმა ძველებურად მიმიზიდა.

# რა გატირებს, რუსიკო?

## „ბატუტის საქმეში“ დიპლომატებიც ჩაერივნენ



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

ზაზა აბრამიშვილი და რუსუდან ხოფერია

**— ძველი ნაცნობები თუ შეგხვდნენ?**

— როგორ არა. იმ ეტაპებზე მსოფლიოს 28 ქვეყნის უძლიერესი ბატუტისტები ჩამოვიდნენ. მათ შორის ბევრი ისეთიც, რომლებიც ჩემს დროსაც ასპარეზობდნენ. ჩემი დაბრუნება ყველას გაუხარდა, თუმცა კონკურენტის მომატებამ გულიც დაწყვიტათ.

**— ამ შედეგების მერე, ალბათ, სამომავლო გეგმებზეც უფრო კონკრეტულად ისაუბრებთ...**

— რა თქმა უნდა. ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ — სპორტში ოლიმპიადაზე ასპარეზობის სურვილმა დამაბრუნა. მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც თითო ლიცენზიას საუკეთესო ათი ქვეყანა მიიღებს, სიდნეიში წასასვლელად ვიბრძოლებ. მით უფრო, ძველი სპორტული ფორმის აღდგენა მინდა, რაშიც ჩემი მწვრთნელი ზაურ სულაშვილიც დამეხმარება. მან ახლაც დიდი სამსახური გამიწია. ის რომ არა, ალბათ, ეს შედეგები არ მექნებოდა.

**რუსუდან ხოფერია** შარშან მსოფლიოს თასის ოთხი ეტაპიდან სამში უფულობის გამო ვერ გაამგზავრეს. ეტყობა, შარშანდელი დანაკლისის ანაზღაურებას წლეულს აპირებს...

**— რუსუდან, მოდით, საუბარი მოსამზადებელი ეტაპით დავიწყოთ. თქვენ ხომ რამდენიმე თვე არცკი გივარჯიშიათ...**

— სწორედ ამიტომ 20 აპრილს ფრანკფურტში გავემგზავრეთ სავარჯიშოდ მე, აბრამიშვილი, ზაურ სულაშვილი. თბილისში მომზადება შეუძლებელია, იქ კი ანა დოლონაძის კონტრაქტის სანაცვლოდ უფასოდ გვავარჯიშებენ. ამდენი ხნის უვარჯიშებლობამ თავი პირველივე ვარჯიშზე იჩინა, ტრავმა მივიღე. ამან მთელი ათი დღე გამაცდენინა. მკურნალობაში მასპინძლები დამეხმარნენ. ვარჯიში შეჯიბრებამდე ათიოდე დღით ადრე განვაახლე. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ჩემი მწვრთნელის — ზაურ სულაშვილის პროფესიონალიზმი. მან მზადების სწორი გეგმა დამისახა. გერმანიაში დაკავებული მეოთხე ადგილიც ამის შედეგია.

**— მოდით, ამ ტურნირზე უფრო დაწვრილებით მოგვიყევით.**

— აახენში 11 მაისს გავემგზავრეთ და დიდი წვალებით მოვეწყვეთ. ჩვენ ხომ უფულობის გამო წინასწარ ვერასოდეს ვიჯავშნით ვერც სასტუმროს, ვერც სამგზავრო ბილეთებს. საბოლოოდ ყველაფერი მოვაგვარეთ, მაგრამ ამან დროსთან ერთად ენერგიაც ბევრი წაიღო. მე კი ისედაც გადაღლილი ვიყავი, რადგან მთელი დღე ვვარჯიშობდი. აახენშიც და სანკტ-პეტერბურგშიც მსოფლიოს ყველა უძლიერესი ბატუტისტი ჩამოვიდა ჩინელებისა და ამერიკელების გარდა, მაგრამ მათ ძლიერები არც ჰყავთ. მსაჯობა ძალიან არაობიექტური იყო. ეს რომ არა, სამეულშიც შევიდოდი. თუმცა იმ დროისთვის მეოთხე ადგილიც კარგი იყო. ისე, გერმანელები და უკრაინელები მსაჯთა აშკარა კეთილგანწყობით სარგებლობდნენ.

**— რატომ მაინცდამაინც ესენი?**

— გერმანელები მასპინძლები იყვნენ და გასაგებია, რატომაც. უკრაინელებს მსაჯები ახლდათ და ისინიც თავისიანებს ყოველნაირად ხელს უწყობდნენ. ჩვენ კი მსაჯი არ გვყოლია. იქ საპრიზო სამეული ასე განაწილდა — „გერმანელი“ ანა დოლონაძე, უკრაინელი ოქსანა ციგულოვა და რუსი ირინა კარავაევა. გერმანიაში მინდოდა უმაღლესი, 13,0 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შემესრულებინა, ეს ერთხელ ვარჯიშზე შევძელი, მაგრამ მწვრთნელმა არ მირჩია.

**— სანკტ-პეტერბურგში რა მოხდა?**

— იქამდეც დიდი წვალებით მთელი დღე ვიმგზავრეთ. ქალაქში შუაღამისას ჩავედით. შეჯიბრის დაწყებამდე ორი საათით წაძინება ძლივს მოვასწარით. ფინალში მესამე ადგილით შევედი. საბოლოო ჯამში ფინალში ნაჩვენები შედეგი გვეთვლება. ამიტომ ფინალამდე აღარ გავრისკე და შედარებით დაბალი სირთულის ვარჯიშები შევასრულე. სამაგიეროდ, ფინალში ყველაზე მაღალი — 12,1 სირთულით ვიხტუნე. ჩვენთან წესია, პირველი ილეთი საწყის ერთ წუთში უნდა შესრულო. მე პირველი მალაყი რომ გავაკეთე, მიუჩვეველი ფეხები როგორღაც არ დამემორჩილა და დროს გადავაცილე. ამისთვის ტექნიკაში ქულები ჩამომაკლეს, მაგრამ რადგან კოეფიციენტი ყველაზე მაღალი მქონდა, მაინც გავიმარჯვე. მეორეზე კანადელი მარი სვენჯაკი გავიდა, მესამეზე — ოქსანა ციგულოვა. დოლონაძე მეოთხე, ხოლო კარავაევა მეხუთე იყო.

იქ ერთი კურიოზიც შემემთხვა. როცა მონაწილეთა შედეგებს შევხედე და თან ჩემი დაკლებული ქულებიც გამახსენდა, ნერვიულობისგან ის ველარ გავიხსენე, რომ ყველაზე მაღალი კოეფიციენტი მქონდა. ვიფიქრე, ისევ მეოთხეზე გავედი-მეთქი და ისეთი ტირილი ამივარდა, ზაურ მასწავლებელმა ვერაფრით დამაწყნარა. რომ მეუბნებოდა, გ[illegible], ჩემს დასამშვიდებლად მოგონილი ტყუილი მეგონა.

**— მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში რომელ ადგილზე ხართ და სუპერფინალში გასვლის შანსი როგორია?**

— ამ ორი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში 17-17 ქულით სამნი ვლიდერობთ — მე, ანა დოლონაძე და ოქსანა ციგულოვა. სუპერფინალში ათნი გავდივართ. მე მგონი, ეს 17 ქულა გვეყოფა იქ მოსახვედრად. იქ კი ყველაფერი თავიდან იწყება. ახალი წესებით, სპორტსმენი თასის ოთხი ეტაპიდან სამში უნდა გამოვიდეს, მეოთხეში კი ქვეყანა მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი.

**— დანარჩენი ეტაპები და სუპერფინალი სად და როდის გაიმართება?**

— ეტაპები ოქტომბერში გაიმართება პრაღასა და ავსტრალიაში. თარიღები ჯერ უცნობია, ისევე როგორც სუპერფინალის გამართვის დრო და ადგილი. მანამდე კი, სექტემბერში, სამხრეთ აფრიკის ქალაქ სან სიტიში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ის ჩემთვის უმთავრესია. ყველა შეჯიბრზე პირველობას ის მიჯობს, ოლიმპიადისთვის მივაღწიო მზადყოფნის პიკს.

რუსიკოს და ზაზას მწვრთნელს, ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ზაურ სულაშვილს** კმაყოფილება არ დაუმალავს...

— ასეთ შედეგებს ნამდვილად არ ველოდი. ორივემ შეუძლებელი შეძლო. ხოფერიამ დაამტკიცა, რომ ადრინდელივით შეუძლია ჩვენი გახარება მედლებით. ამას აბრამიშვილის შედეგიც დაემატა. მან ეს ყველაფერი იმ ორ კვირაში მოასწრო, როცა გერმანიაში ემზადებოდა. არადა, თავიდან მხოლოდ ათეულთან მიახლოებაზე ვოცნებობდით.

**— ხოფერიას ის ახალი, 13,0 სირთულის კოეფიციენტიანი ვარჯიში რატომ არ შეასრულებინეთ?**

— ეს ვარჯიში ჯერ კიდევ დასახვეწია. ურთულესი ილეთია. მისი ახლა შესრულება გარისკვა იქნებოდა, რასაც შეიძლება ტრავმა მოჰყოლოდა. ამიტომ არ გავრისკეთ. ისე, რეკორდი მაინც ხოფერიას ეკუთვნის — 12,5, რომელიც ათი წლის წინ დაამყარა. ეს შედეგი კარავაევამ მხოლოდ ახლა გაიმეორა, სხვათათვის კი მიუღწეველია. მჯერა, რუსიკო რეკორდს გააუმჯობესებს.

აბრამიშვილზეც მინდა ვთქვა. ადრე ის 15,2-ს აკეთებდა. ამ შედეგისთვის ჯერ არავის მიუღწევია. ახლა მისი შედეგი გაცილებით ნაკლებია, მაგრამ თუ ორ კვირაში ამდენს მიაღწია, იმ შედეგის გამეორებაც შეუძლია.

**— ესე იგი, ორივე 21-ე საუკუნის ნახტომს უმიზნებს?**

— ჩვენ ასე ვფიქრობთ.

**— ანა დოლონაძე ძველებურად ბევრ პრობლემას გიქმნით.**

— ის თავისი წარმატებებით მართლაც გვიქმნის პრობლემებს, მაგრამ მისი გამარჯვებები მაინც ძალიან გვახარებს ისევე, როგორც მას — ჩვენი. როცა გერმანიაში ჩავდივართ, მისი ოჯახისგან დახვედრა, გამოცილება, სითბო, ყურადღება ნამდვილად არ გვაკლია.

**— ლია ბენდიანიშვილისა რა იცით?**

— ლიაც ახლახან დაუბრუნდა სპორტს. ის გერმანიაში ვარჯიშობს და მალე ერთ-ერთ კლუბთან კონტრაქტსაც მოაწერს ხელს. ამ ეტაპებზე უსახსრობის გამო ვერ ჩამოვიდა. ისე კი უნდოდა.

**— როგორც ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რა მიზნები გაქვთ?**

— 26-29 სექტემბერს სან სიტიში სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ლიცენზიას მიიღებს მოწინავე ათი ქვეყნის თითო სპორტსმენი. ჩვენი მიზანი მაქსიმალურია — როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის ლიცენზიების მოპოვება.

*ბუნებრივია, ანა დოლონაძის სანაცვლოდ მისაღები უახლესი ბატუტების ბედითაც დავინტერესდით. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ომარ ლონლაძემ გვითხა, ამ საქმეში ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო და ოლიმპიური კომიტეტიც ჩაერივნენ. გერმანულმა მხარემ მათ აცნობა, რომ ეს ბატუტები ახალციხის საბაჟომდე უკვე მოვიდა, იქიდან კი მათი ტრანსპორტირება რატომღაც ყოვნდება. ლონლაძე იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში ეს მრავალტანჯული ბატუტები ფედერაციამდეც მიაღწევს.*

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქაქამ, ჯირო ჯგიროო

„ჯიროს“ მეოთხე ეტაპი იტალიის სამხრეთში, კალაბრიაში გაიმართა. ტერმე ლუიჯიანეში ფინიშის ხაზი პირველმა ლორან ჟალაბერმა გადაკვეთა (ონსე).

საფრანგეთის დროშის ფერებიან მაისურაში გამოწყობილი საფრანგეთის ჩემპიონისთვის ეს „ჯიროში“ მოგებული პირველი ეტაპია. საერთოდ კი ჟალაბერი თავისი კარიერის მანძილზე ამ ტურნირში მხოლოდ მეორედ მონაწილეობს. „ჩემი პროგრამა-მინიმუმი სწორედ ერთ-ერთი ეტაპის მოგება იყო, თუმცა ამას ხვალისთვის ვვარაუდობდი“ — თქვა მან. სწორედ ასე თავმდაბლად ისაუბრა მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ნომერმა ორიოდ კვირის წინ „რომანდის ტურის“ პროლოგის მოგების შემდეგ. პროგნოზისგან თავს შევიკავებ, ისე კი შეგახსენებთ, რომ მაშინ საბოლოო გამარჯვება სწორედ ჟალაბერს დარჩა.

„ქაქამ“, ვისაც ფინიშზე პირველობა მონტე სირინოში უფრო ეამებოდა, პელოტონთან საქმეები ბოლო კილომეტრზე გაარკვია. თერმული კურორტის „ოქროს წიგნში“ იგი რუსი დიმიტრი კონიშევის და იტალიელი მაურიციო ფონდრიესტის შემდეგ ჩაიწერება, რომელთაც შესაბამისად 1993 და 1995 წლებში უმარჯვიათ.

ბოლო კილომეტრზე ჟალაბერი ძალიან ყურადღებით იქცეოდა და ოსკარ კამენზინდმა (შვეიცარია, ლამპრე) შეუტია თუ არა, მაშინვე კონტრიერიში განახორციელა. საფრანგეთის ჩემპიონმა მსოფლიოსას მალე გადაასწრო და იტალიელებს — ფანინისა და რებელინსაც არ მისცა დაწევის საშუალება.

ჟალაბერი 30 წლისაა და თერთმეტწლიანი პროფესიული კარიერის მანძილზე 117-ე ეტაპი მოიგო. იტალიის გზებზე ადრეც ყოფილა პირველი (მილან — სან რემო და „ლომბარდიის ტური“), მაგრამ ეს წარმატება სულ სხვაგვარად ფასობს. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. გზებზე უამრავი ხალხია გამოფენილი და ძალიან კარგი განწყობაც სუფევს, ისევე როგორც „ტურ დე ფრანსზე“. ძალიან მშვიდად ვარ. არანაირ ზეწოლას არ განვიცდი. არავინ ითხოვს ჩემგან ტურნირის მოგებას. ისე, ჩემს საუკეთესო შედეგებს სწორედ ასეთ დროს ვაღწევ ხოლმე“ — მადა ჭამაში მოუვიდა ჟალაბერს.

186-კილომეტრიანი ეტაპის დასაწყისში იტალიელი მაურო რადაელი გამოეყო პელოტონს და 111 კილომეტრიც ეულად ატრიალა პედლები. ფინიშამდე 23 კმ-ით ადრე კი მისი მარტოობა დასრულდა. ამის მერე ბევრმა (ბეტინი, მისალია, პეტიტო, კარანი) სცადა გაქცევა, მაგრამ პელოტონის დიდი სიჩქარის გამო მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლოს კი იყო საფინიშო სპრინტი...

გუშინ გამართული მეხუთე ეტაპი პირველი მთაგორიანი იყო. ფინიშამდე 21,8 კმ სპორტსმენებმა აღმართ-აღმართ ირბოლეს. ზღვის დონიდან 1525 მეტრ სიმაღლეზე ყველას კოლუმბიელმა ხაიმე გონსალესმა აასწრო. ვარდისფერი მაისურა კი... ლორან ჟალაბერმა მოირგო.

**ბაბი ბურული**

19 მაისი

**მეხუთე ეტაპი**

ტერმე ლუიჯიანე — მონტე სირინო (147 კმ)

1 ხაიმე გონსალესი (კოლუმბია, კელმე) 4სთ 11წთ 47წმ
2 დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) +5 წამი
3 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)
4 მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო)
5 ივან გოტი (იტალია, პოლტი) ჩამორჩნენ 6 წამით

**საერთო ჩათვლა**

1 ლორან ჟალაბერი — 21სთ 26წთ 18წმ
2 დანილო დი ლუკა +7 წამი
3 დავიდე რებელინი (იტალია, პოლტი) +14 წამი
4 პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) +16 წამი
5 მარკო პანტანი +16 წამი


ლორან ჟალაბერმა (მარჯვნივ) პირველად მოიგო „ჯიროს“ ეტაპი და საერთო ჩათვლაშიც პირველია




ადექსეი ჟიტნიკს ისევე შემოელახა ჯეისონ ელისონი, როგორც ბუფალოს ბოსტონი

# ზვავთა მრისხანებამ დეტროიტი წალეკა

ყველაფერი დამთავრდა. დეტროიტი ზედიზედ მესამედ ვერ გაჩემპიონდა. ამაში კოლორადომ შეუშალა ხელი. 90-იანი წლების მეორე ნახევრის უეჭველად საუკეთესო გუნდს ერთხელ, 1996 წელს, უკვე გადაუღობა გზა „ეველანშმა“ და მაშინ თასიც მოიპოვა.

STANLEY CUP PLAYOFFS

**დასავლეთი**

18 მაისი

**კოლორადო — დეტროიტი 4:2**

**დეტროიტი — კოლორადო 2:5**

0:1 2:3 0:1

0:1 ფორსბერგი 16'15 (5); 0:2 ჰეიდუკი 24'12 (5); 0:3 დრური 25'46 (3); 0:4 საკიკი 28'14 (4); 1:4 ლიდსტრომი 37'24 (2); 2:4 მაკარტი 37'53 (1); 2:5 ფორსბერგი 53'31 (6)

სენსაცია, მოულოდნელობა, სასწაული — რაც გინდათ, დაარქვით ამ ორი დიდი გუნდის ორთაბრძოლის შედეგს. მას შემდეგ, რაც „ფრთაწითლებმა“ პირველი ორი საგარეო მატჩი მოიგეს, თანაც მეორე თამაშში მეტოქე აბუჩად აიგდეს, ბევრს სერიის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. „ერთადერთი, რისი იმედიც გვქონდა, ის იყო, რომ სტუმრად კარგად ვთამაშობდით. ხოლო როდესაც მეხუთე შეხვედრაშიც გავიმარჯვეთ, ჩვენი გამჩერებელი აღარავინ იყო“ — გაიხსენა მერე კოლორადოელმა ტეო ფლერიმ.

„ზვავების“ მწვრთნელის, ბობ ჰარტლის აზრით კი, სერიაში გარდატეხა მესამე მატჩში მოხდა: „როცა პირველივე წუთებზე კრის დრეიპერმა ჩვენი ახალბედა მილან ჰეიდუკი ბორტს იქით მოისროლა, გუნდი გაცხარდა, ამოქმედდა, მერე სტივ აიზერმანმა აშკარა საგოლე სიტუაციაში ძელს გაარტყა შაიბა, რუაც შეუდარებლად ათამაშდა და“... – და კოლორადომ იძალა. მას შემდეგ აწ უკვე ექსჩემპიონმა მეტოქეს ვერც ერთ თამაშში ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა. ასე იყო ბოლო, მეექვსე მატჩშიც. პირველივე პერიოდში ნათელი გახდა, რომ დეტროიტი განწირულია. მასპინძელთა შეტევებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი იგორ ლარიონოვი დაუბრუნდათ, სიმწვავე აკლდა, მობერებული დაცვაც ვერ ასწრებდა კოლორადოელთა უსწრაფესი ფორვარდების შეჩერებას. როგორც ჩანს, დეტროიტზე რაუნდებს შორის 10-დღიანმა შესვენებამ უარყოფითად იმოქმედა. საბოლოოდ პეტერ ფორსბერგისა და გამოჯანმრთელებული ვალერი კამენსკის კონტრიერიშის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ. მეორე მესამედის პირველ რვა წუთში დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდი ორჯერ შეცდა (მესამე და მეოთხე გოლები გაუშვა), თანაც ჯო საკიკმა უმცირესობაში გაუტანა და, ფაქტობრივად, ყველაფერი გაირკვა. მართალია, დეტროიტმა ორი გოლი გაქვითა, მაგრამ შეუდარებელმა პატრიკ რუამ (35 მოგერიება) მეტის გაკეთების საშუალება აღარ მისცა.

მატჩი კი ლამაზად დასრულდა: სერიის უეჭველად საუკეთესო ფორვარდმა პეტერ ფორსბერგმა (4+4 ბოლო 4 თამაშში) მოედნის შუაგულში იგორ ლარიონოვს შაიბა წაართვა და მიუხედავად იმისა, რომ რუსმა წინააღმდეგობა გაუწია, ზუსტად დაარტყა.

ამგვარად, კოლორადო ნჰლ-ის ისტორიაში მეოთხე გუნდი გახდა, რომელმაც პლეი ოფში პირველივე ექვს საგარეო თამაშში იმარჯვა. დანარჩენი სამიდან ორმა — აილენდერსმა (1980 წელს) და ედმონტონმა (1987) თასი მოიგო.

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი — ბუფალო 2:4**

**ბუფალო — ბოსტონი 3:2**

2:1 1:0 0:1

1:0 პეკა 5'45 (4); 1:1 ჰაინცე 12'49 (4); 2:1 პრიმო 17'29 (2); 3:1 ბრაუნი 21'08 (4); 3:2 ტორნტონი 58'57 (3)

სერიოზული ბრძოლა არც გადამწყვეტ, მეექვსე თამაშში შედგა. პირველი 40 წუთის განმავლობაში აშკარად მასპინძლები ფლობდნენ უპირატესობას და მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ბოლო მესამედამდე ყველაფერს გადაწყვეტდნენ, თუმც დომინიკ ჰაშეკისთვისაც ხომ უნდა მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება. 23 დარტყმიდან 12 ჩეხმა სწორედ ბოლო ოცწუთეულში მოიგერია, რამდენჯერმე ჩვეული, ბრწყინვალე მოძრაობით გადაარჩინა თავისიანები და მეტოქეს იმედი გადაუწურა. ასე რომ, ჯო ტორნტონის 59-ე წუთზე გატანილმა გოლმა ვეღარაფერი შეცვალა. მეტოქეთა უპირატესობა ჰაშეკის ბოსტონელმა კოლეგამ, ბაირონ დაფომაც აღიარა: „პირველი მატჩის გარდა, სულ ბუფალო დომინირებდა, ხოლო მათი დაცვა მართლაც რომ საქებარია“.

კვლავ გამოირჩა „ხმლების“ კაპიტანი მაიკ პეკა. დაცვაში გაწაფული ფორვარდი შეტევაშიც ჩვეული ენერგიით მოქმედებდა. რიცხვმრავლობაში ყოფნისას (აღსანიშნავია, რომ „ხმლებმა“ ყველა საპლეიოფო მატჩში მიაღწიეს რიცხობრივ უპირატესობას) პეკა მეურვეს გაექცა და ჟიუნოს პასის შემდეგ შაიბა ელვისებური დარტყმით გაგზავნა კარში. მეორე გოლი კი მთლიანად ჯეფ სანდერსონის დამსახურებაა. ფორვარდი თავისი ზონიდან გასრიალდა, შაიბა თვით რეი ბურკს გაუძვრინა ფეხებში, დაფოც გამოიყვანა კარიდან და უეინ პრიმოს საქმე გაუიოლა.

სანდერსონი (2 პასი) მესამე საგოლე კომბინაციაშიც მონაწილეობდა და ამის შემდეგ ყველაფერი გადაწყდა. ლინდი რაფი კი ლიგის ისტორიაში მესამე მწვრთნელი შეიქნა, თავის პირველ ორ სეზონშივე გუნდი კონფერენციის ფინალში რომ გაიყვანა. მისმა ერთ-ერთმა წინამორბედმა, ჟან-პერონმა 1986 წელს მონრეალს თასი მოაპოვებინა.

**სამველ ლარიბიანი**


კოლორადოელ „ზვავებს“ სიხარული მოუზღვავდათ, დეტროიტელებმა კი „წითელი ფრთები“ ჩამოყარეს

## 2000 წელს, რუსეთში

მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატი 2000 წელს რუსეთში, სანკტ პეტერბურგსა და იაროსლავლში გაიმართება. IIHF-მ ნორვეგიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას განსაზღვრა ამ ტურნირის ვადები და სისტემა. პირველობა 28 აპრილიდან 14 მაისამდე გასტანს. მასში ისევ 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 4 ჯგუფად დაიყოფა, მაგრამ გასული პირველობისგან განსხვავებით, ამჯერად მედლებისთვის ბრძოლას ყველა ჯგუფიდან ორ-ორი კი არა, სამ-სამი გუნდი გააგრძელებს. შემდეგ 12 გუნდი ორ ჯგუფად გაიყოფა, საიდანაც ოთხ-ოთხი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა. ამის შემდეგ პირველობა საპლეიოფო სისტემით გათამაშდება, თანაც მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში მხოლოდ თითო-თითო მატჩი გაიმართება.

## ათი უკვე იქაა

ნორვეგიაში გამართული ჩემპიონატის ათმა საუკეთესო გუნდმა რუსეთში ასპარეზობის უფლება უკვე მოიპოვა: ჩეხეთი, ფინეთი, შვედეთი, კანადა, რუსეთი, აშშ, სლოვაკეთი, შვეიცარია, ბელარუსი და ავსტრია. ერთი ადგილი აზიის საუკეთესო გუნდს მიეცემა, ხოლო დანარჩენი 5 საგზური საკვალიფიკაციო ტურნირში გათამაშდება. მასში 8 გუნდი იასპარეზებს, აქედან სამი B ჯგუფის ჩემპიონატმა გამოავლინა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 1 | 0 | 30:12 | 13 |
| ბრიტანეთი | 5 | 1 | 1 | 24:16 | 11 |
| ყაზახეთი | 5 | 0 | 2 | 25:11 | 10 |
| გერმანია | 5 | 0 | 2 | 19:17 | 10 |
| სლოვენია | 2 | 1 | 4 | 14:17 | 5 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 4 | 17:25 | 5 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 6 | 15:23 | 2 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 7 | 10:33 | 0 |

სამი საუკეთესო გუნდი ნორვეგიის ჩემპიონატის 5 უილბლოს შეუერთდა და საკვალიფიკაციო ტურნირზე ორ ჯგუფად დაიყო.

I ჯგუფი: უკრაინა, ლატვია, ყაზახეთი და დიდი ბრიტანეთი

II ჯგუფი: საფრანგეთი, იტალი, ნორვეგია და დანია.

ორ-ორი საუკეთესო პირდაპირ მოხვდება უძლიერესთა ჯგუფში, ხოლო ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულები პირად დუელში მეხუთეს გამოავლენენ.

REUTERS არიზონადან





# მე რომ ბურთს გავტყორცნიდი ხოლმე...

საბეისბოლო კლუბ „ნიუ იორკ იანკის" ყოფილ მფლობელსა და გამორჩეულ მოამაგეს დელ უებს ამ დღეებში დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა. ჰოდა, სადღაც იქვე გახსნილ ერთ საბიჭბუჭო არენასაც სწორედ ამ კეთილი მისტერის სახელი უწოდეს... ფოტოებზე „იანკის" 50-იანი და 60-იანი წლების დიადი მოთამაშე უიტი ფორტი კლუბის მისდროინდელ მხარდამჭერ-მოცეკვავეებთან ერთად აღუბეჭდავთ. ერთგან იგი ძველებურად მიმზიდველი ბებიკოების ფონზე საზეიმო პირველ ტყორცნას ასრულებს, მეორეგან კი — ერთ-ერთ მათგანს თეთრ ჩექმაზე ავტოგრაფს უწერს და, ვინ იცის, იქნებ სხვაგან და სხვა დროს დაწერილებსაც იხსენებს...

# ტრფობა ჩემპიონისა

თურმე, მარგიტ დაცმანი პირველად რომ დაინახა, სამგზის ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ მოციგავეს გეორგ ჰაკლს სუნთქვა შეკვრია, სისხლი ამღვრევია და კბილები გაოფლიანებია... ამდაგვარი რამის წამალი კი ვინძლო, ღრუბლიან გერმანიაშიც ის იყოს, რაც მზიურ საქართველოში. ჰოდა, გეოს მაროსათვის ხელი ჩაუვლია და მიუნხენის მახლობლად, რამსაუს ერთ კოპწია საყდარში ჯვარიც დაუწერია. ყველაფერი კაცურად და ბაიერნულად ანუ ჯვრისწერით, მოლხენითა და ნანატრი მოსიყვარულებით დასრულებულა.





REUTERS კანიდან




ფრანგულ ზღვისპირა და ღრანცულა კანში დიდი რამ კინობია გაჩაღებულა. ვის არ შეხვდებით ქალაქის მზიან ქუჩებში, რა ჯურს, რა სქესს, რა ასაკს, რა მასშტაბებსა და რა ბარაქას... აი, ესენი კი ჩვენი მილანელი ახლობლები, რონალდო და ჯორკაეფი არიან. ცოტა ხანიც და იქაური კინოთეატრის ეკრანზე თურმე სომხური წარმომავლობის კანადელი რეჟისორის ატომ ეგოიანის „ფელისიას მოგზაურობა" აციმციმდება.

REUTERS სარაევოდან



# იქით ხალხი კვდება, აქეთ — პაიკები

სარაევოს მეზობლად რა ცოდო-ბრალიც ტრიალებს, მაგას შეხსენებაც არ სჭირდება. თავად სარაევოში უჩვეულო სიმშვიდეა და ის კი არა, ხალხი დიდი ჭადრაკის მასპინძლობაზეც ფიქრობს, დიდისას სახელებითაც და მასშტაბებითაც... გარი კასპაროვი და მისი საძმო ბოსნიის პირველ ქალაქში 29 მაისს სამშვიდობო სუპერმატჩს მართავს და საასპარეზოდ აი, ეგეთი ბუთხუშა დაფა შეურჩევია. მანამდე კი თავიანთ საჭადრაკო განსწავლულობას იქ უბრალო მოქალაქეები ავლენენ. ამის გაკეთებას მათ ვერც მაისის შხაპუნა წვიმა უშლით.



# ეგეთები არ იყოს!

სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან დამარცხება ინდოელ მეკრიკეტეთა ამ ქომაგმა (მარჯვნივ) მოედანზე გაჭრითა და ბიჭების ალვირახსნილი გინებით აღნიშნა. ასეთ შემთხვევებში კი, მოგეხსენებათ, ადუღებულ ბალღამზე ცივი წყლის გადასხმა საგანგებოდ შერჩეულ ჯეელ ბიჭებს ევალებათ. აქ წარმოდგენილ ფოტოზე ერთ-ერთი მათგანი სწორედ ამ სასიამოვნო პროცედურის შესრულებას ცდილობს.

REUTERS ბრისტოლიდან



ინგლისური ბრისტოლ-ქალაქი თურმე ყოველწლიურად მებუშტეების სამდღიან დღესასწაულს მასპინძლობს. ეს მშვენიერი ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. ონავარი ზენაქარის ლაჯებქვეშ გალივლივების მსურველებმა იქ თავი პლანეტის ყველა დაწინაურებული კუთხიდან მოიყარეს... და ამ ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ღმერთმანი, მაგრადაც უნდა ესიამოვნათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29